

**ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს
შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ
სახელმძღვანელო ევროპული კონვენცია**

მადრიდი, 21 მაისი, 1980 წ.

პრეამბულა,

ამ კონვენციის ხელმოწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა და მათ შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ითვალისწინებენ რა რომ ევროპის საბჭოს სტატუტის 1-ლი მუხლის მიხედვით, ამ მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს, კერძოდ, ადმინისტრაციულ სფეროში შეთანხმებების დადების მეშვეობით;

ითვალისწინებენ რა ამ მიზნის მიღწევისათვის ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობის პოტენციურ მნიშვნელობას მოსაზღვრე რაიონებში ისეთ სფეროებში, როგორცაა რეგიონალური, საქალაქო და სასოფლო განვითარება, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების გაუმჯობესება და ურთიერთდახმარება საგანგებო მდგომარეობების დროს;

მხედველობაში იღებენ რა წარსულის გამოცდილებას, რომელიც გვიჩვენებს, რომ თანამშრომლობა ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოებს შორის ევროპაში უადვილებს მათ თავიანთი ამოცანების ეფექტურად შესრულებას და კერძოდ, ხელს უწყობს მოსაზღვრე რეგიონების გაუმჯობესებასა და განვითარებას;

გადაწყვიტეს რა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ამგვარ თანამშრომლობას და ამ გზით წვლილი შეიტანონ მოსაზღვრე რეგიონების ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესსა და მეგობრობის ხელისკვეთების გაძლიერებაში, რაც აერთიანებს ევროპის ხალხებს,

შეთანხმდნენ შემდეგ წე:

მუხლი 1

თითოეული ხელშემკვერი მხარე იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს და წახალისოს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა მის იურისდიქციაში შემავალ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს და სხვა ხელშემკვერი მხარეების იურისდიქციაში შემავალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის. იგი ეცდება ხელი შეუწყოს ნებისმიერი შეთანხმების ან ხელშეკრულების დადებას, რომელიც შეიძლება აუცილებელი იყოს ამ მიზნით, თითოეული მხარის განსხვავებული კონსტიტუციური დებულებების სათანადოდ გათვალისწინებით.

მუხლი 2

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ნიშნავს ნებისმიერ ერთობლივ აქციას, რომელიც მოწოდებულია გააძლიეროს და წაახალისოს კეთილშობილური ურთიერთობები ორი ან მეტი ხელშეშეკრული მხარის იურისდიქციებში შემაჯავალ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის, და ამ მიზნით, ნებისმიერი შეთანხმების ან ხელშეკრულების დადებას. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა განხორციელდება ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების შიდა სამართლით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. ეს კონვენცია არ შეცვლის ამგვარი უფლებამოსილებების მიზანსა და ბუნებას.

2. ამ კონვენციის მიზნებისათვის, გამოთქმა ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები ნიშნავს ერთეულებს, ხელისუფლების ორგანოებს ან სხვა ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ ან რეგიონალურ ფუნქციებს და განიხილებიან ასეთებად თითოეული სახელმწიფოს შიდა სამართლით. ამასთან, თითოეულ ხელშეშეკრულ მხარეს, ამ კონვენციის ხელმოწერის ან ევროპის საბჭოს გენერალური მდიანისთვის შემდგომში შეტყობინების გავზავნის გზით შეუძლია დაასახელოს ის ერთეულები, ხელისუფლების ორგანოები ან სხვა ორგანოები, რომელთა სუბიექტებთან და ფორმებით იგი აპირებს შეზღუდოს ამ კონვენციის გამოყენების სფერო ან რომელთა გამორიცხვასაც იგი აპირებს ამ კონვენციის გამოყენების სფეროდან.

მუხლი 3

1. ამ კონვენციის მიზნისათვის, ხელშეშეკრული მხარეები მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის დაცვით, წაახალისებენ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულებისა და ხელისუფლების ორგანოების ნებისმიერ ინიციატივას, რომლებიც ეფუძნებიან ევროპის საბჭოში შემუშავებულ სახელმძღვანელო შეთანხმებებს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის. თუკი მათ აუცილებლად ესახებათ, მათ შეუძლიათ მხედველობაში მიიღონ ევროპის საბჭოში შემუშავებული ორმხრივი და მრავალმხრივი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების მოდელები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ხელი შეუწყონ თანამშრომლობას ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის.

დადებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები შეიძლება ეფუძნებოდნენ ამ კონვენციისათვის თანდართულ ტიპურ ან სახელმძღვანელო შეთანხმებებს, სტატუტებსა და კონტრაქტებს, რომლებიც დანომრილნი არიან 1.1-დან 1.2-მდე და 2.1-დან 2.61-მდე, თითოეული ხელშეშეკრული მხარის მდგომარეობით მოთხოვნილი ცვლილებების გათვალისწინებით. ეს ტიპური და სახელმძღვანელო შეთანხმებები, სტატუტები და კონტრაქტები განკუთვნილია მხოლოდ სახელმძღვანელოდ და არა აქვთ ხელშეკრულების ძალა.

2. თუ ხელშეშეკრული მხარეები აუცილებლად მიიხვევენ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების დადებას, ამ შეთანხმებებს შეუძლიათ, ინტერ აღია, დაადგინონ ის კონტექსტები, ფორმები და ფარგლები, რომლებშიც ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შეეძლებათ საქმიანობა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განხორციელებისას. თითოეულ შეთანხმებას ასევე შეუძლია განსაზღვროს ის ხელისუფლება ან ორგანოები, რომელთა მიმართაც ის გამოიყენება.

3. ზემო დებულებები არ შეუშლის ხელს ხელშეშეკრული მხარეებს საერთო თანხმობით გამოიყენონ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სხვა ფორმები. ამასთან, ამ კონვენციის დებულებები არ იქნება ახსნა-განმარტებული იმგვარად, რომ ძალადაკარგულად ცხადდებოდეს არსებული შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ.

4. შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადება ხდება საერთაშორისო ურთიერთობებისა და ზოგადი პოლიტიკის მიმართ საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული თითოეული მხარის იურისდიქციისა და კონტროლის ან ზედამხედველობის იმ წესების სათანადოდ გათვალისწინებით, რომლებსაც ექვემდებარებიან ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები.

5. ამ მხრივ, ნებისმიერ ხელშეკრულ მხარეს, წინამდებარე კონვენციის ხელმოწერის ან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მოგვიანებით გაკეთებული შეტყობინების საშუალებით, შეუძლია განსაზღვროს ის ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც მისი შიდა სამართლის მიხედვით კომპეტენტურნი არიან განახორციელონ კონტროლი ან ზედამხედველობა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებზე ან ხელისუფლების ორგანოებზე.

მუხლი 4

თითოეული ხელშეკრული მხარე ეცდება გადაჭრას ნებისმიერი სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან ტექნიკური სიძნელე, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებასა და დაუბრკოლებელ განხორციელებას და გამართავს კონსულტაციებს სხვა შესაბამის ხელშეკრულ მხარესთან ან მხარეებთან იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იქნება.

მუხლი 5

ხელშეკრული მხარეები განიხილავენ ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაში მონაწილე ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულებისათვის ან ხელისუფლების ორგანოებისათვის იგივე შესაძლებლობების მინიჭების მიზანშეწონილობას, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან ეროვნულ დონეზე თანამშრომლობისათვის.

მუხლი 6

თითოეული ხელშეკრული მხარე მაქსიმალურად შესაძლო ზომით მიაწვდის მეორე მხარეს ნებისმიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, იმ მიზნით, რომ დაეხმაროს ამ უკანასკნელს მის მიერ კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებაში.

მუხლი 7

თითოეული ხელშეკრული მხარე ზედამხედველობას უწევს, რომ შესაბამისი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები ინფორმირებულნი იყვნენ ამ კონვენციით მათთვის უზრუნველყოფილი შესაძლებლობების შესახებ.

მუხლი 8

1. ხელშეკრული მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიაწვდიან მთლიან სათანადო ინფორმაციას, რომელიც ეხება მე-3 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს.

2. ერთი ან მეტი ხელშეკრული მხარის ნებისმიერი წინადადება ამ კონვენციაში შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების მოდელის დამატების ან კონვენციის ან სახელმძღვანელო შეთანხმებების ან ხელშეკრულებების გაფართოების შესახებ ეცნობება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი გადასცემს მას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც გადაწყვეტს, თუ რა ზომა უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი წინადადების თაობაზე.

მუხლი 9

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. კონვენცია ძალაში შედის სამთავროს ვადის ამოწურვის შემდეგ მეოთხე სარატიფიკაციო, მიერთების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან, იმ პირობით, რომ სულ მცირე ორ სახელმწიფოს, რომელიც განახორციელებს ამ ფორმალობას, უნდა ჰქონდეს საერთო საზღვარი.

3. იმ ხელმოწერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას, კონვენცია ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 10

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ერთმად გადაწყვიტოს შესთავაზოს ევროპის საბჭოს არაწევრ სახელმწიფოს მიუერთდეს კონვენციას. ამ შეთავაზებაზე უნდა იყოს თითოეული იმ სახელმწიფოს პირდაპირი თანხმობა, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიცირება.

2. ამგვარი მიერთება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 11

1. ნებისმიერ ხელშეკრულ მხარეს, იმ ზომით, რითაც მას ეხება, შეუძლია ამ კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის საშუალებით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 12

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდება წინამდებარე კონვენციას, აცნობებს:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

გ) ამ კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ან მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ;

ე) მე-11 მუხლის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების და იმ თარიღის შესახებ, როდესაც დენონსაცია შედის ძალაში.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმოწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია მადრიდში, 1980 წლის მაისის 21-ე დღეს ინგლისურ და ფარნგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტიკური, შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიწვეული იქნება მიუერთდეს ამ კონვენციას.

**ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს
ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ტიპური ან
სახელმძღვანელო
შეთანხმებები, სტატუტები და კონტრაქტები²**

შეთანხმების მოდელთა ეს თანმიმდევრობითი სისტემა შეიქმნა ორ ძირითად კატეგორიას შორის განსხვავებებიდან გამომდინარე, შეთანხმების დადების დონის შესაბამისად:

- სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების მოდელები ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ;
- სახელმძღვანელო შეთანხმებები, კონტრაქტები და სტატუტები, რომლებითაც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველი.

ისე, როგორც ეს მოცემულია ქვემო ცხრილში, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების მხოლოდ ორი მოდელი შედის სახელმწიფოთა განსაკუთრებულ იურისდიქციაში. სხვა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები უბრალოდ ადგენენ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის შეთანხმებათა ან ხელშეკრულებათა დადების სამართლებრივ ფარგლებს, რომელთა სახელმძღვანელო შეთანხმებები მოცემულია მეორე კატეგორიაში.

შენიშვნები

შენიშვნა 1

მიღებული იქნა ნებართვა დამატებითი შეთანხმებების მოდელებისა და სახელმძღვანელო შეთანხმებების გამოქვეყნებაზე; ისინი თან ერთვებიან ამ კონვენციის დამატებას და დანომრილნი არიან 1.6-დან 1.13-მდე და 2.7-დან 2.15-მდე.

შენიშვნა 2

კონვენციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 ქვე-პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებათა მოდელები და სახელმძღვანელო შეთანხმებები, სტატუტები და კონტრაქტები მოწოდებულნი არიან მხოლოდ სახელმძღვანელოდ და არა აქვთ ხელშეკრულების ძალა.

1. სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების მოდელები

შესავალი შენიშვნა: სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების სისტემა, პირველ რიგში, მიზნად ისახავს სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის კონტექსტების, ფორმებისა და ფარგლების ზუსტ განსაზღვრას და ასევე, იმ სამართლებრივი გაურკვევლობის აღმოფხვრას,

რომლებითაც შეიძლება შეიქმნას გარკვეული პრობლემები (გამოსაყენებელი კანონის განსაზღვრა, სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, აბელაციათა შეტანის შესაძლებლობები და სხვ.).

ამას გარდა, იმ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებების დადება შესაბამის სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებას ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის, უეჭველად სასარგებლო იქნება შემდეგი მიმართულებით:

- თანამშრომლობის ამგვარი პროცედურების ლეგიტიმურობის ოფიციალური აღიარება და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წახალისება მათი გამოყენებისათვის;
- საზედამხედველო ან მაკონტროლებელი ორგანოების ჩარევის მიზანი და პირობები;
- სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლა;
- კავშირები, რომლებიც შეიძლება დამყარდნენ თანამშრომლობის ამგვარ ფორმებსა და შეთანხმებული საქმიანობის სხვა პროცედურებს შორის სასაზღვრო რაიონებში;
- ისეთი სამართლებრივი ნორმების ან მათი ახსნა-განმარტების შესწორება, რომლებმაც შეიძლება დააბრკოლონ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა და სხვ.

მრავალმხრივი არჩევანის შეთანხმებათა მოდელის სისტემა საშუალებას აძლევს მთავრობებს მოათავსონ სათვარათ შორის თანამშრომლობა ისეთ კონტექსტში, რომელიც საუკეთესოდ მიესადაგება მათ საჭიროებებს, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების (1.1) გამოყენების გზით, და შეავსონ იგი ნებისმიერი სხვადასხვა შესაძლებლობებით (შეთანხმებათა მოდელები 1.2-დან 1.5-მდე). სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ ერთი მოდელი ან უფრო მეტი ან ყველა მათგანი და მათ შეუძლიათ ეს გააკეთონ პარალელურად ან ეტაპობრივად. იმ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებების მიმართ, რომლებმაც უკვე აქვთ ერთგვაროვანი სამართლებრივი სისტემა, ისე, როგორც ეს არის სკანდინავიის ქვეყნებში, შეთანხმებების ამ სპეციფიკური მოდელის გამოყენება შეიძლება არც იყოს აუცილებელი.

1.1-დან 1.5-მდე შეთანხმებების მოდელის საერთო პუნქტები *

მუხლი ა

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ნიშნავს ხელისუფლების ორგანოებს, ადმინისტრაციულ ერთეულებს ან ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ ფუნქციებს თითოეული სახელმწიფოს შიდა სამართლის შესაბამისად.

2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ხელისუფლების რეგიონალური ორგანოები ნიშნავს ხელისუფლების ორგანოებს, ადმინისტრაციულ ერთეულებს ან ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ რეგიონალურ ფუნქციებს თითოეული სახელმწიფოს შიდა სამართლის შესაბამისად.

მუხლი ბ

ეს შეთანხმება ზიანს არ მიაყენებს მხარეებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სხვადასხვა მოქმედ ფორმებს და კერძოდ იმათ, რომლებიც ეფუძნებიან საერთაშორისო შეთანხმებებს.

მუხლი გ

მხარეები აცნობებენ ხელისუფლების რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებს მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების მოცულობის შესახებ და დაეხმარებიან მათ ისარგებლონ ამ უფლებამოსილებებით.

მუნლი დ

ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები წინამდებარე შეთანხმებაში გულისხმობს ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომლებიც განსაზღვრებიან თითოეული მხარის მიერ.

მუნლი ე

ამ შეთანხმებით არანაირად არ შეიცვლება მხარეთა შიდა სამართლით განსაზღვრული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებების მოცულობა და ბუნება.

მუნლი ვ

თითოეულ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია განსაზღვროს მისი ტერიტორიის რაიონები, თანამშრომლობის მიზნები და ფორმები, რომლებიც გამოირიცხებიან ამ შეთანხმების გამოყენებიდან.

ამასთან, ამგვარი განსაზღვრა ზიანს არ მიაყენებს არსებული თანამშრომლობით შექმნილ უფლებებს.

მუნლი ზ

მხარეები რეგულარულად აცნობებენ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმ კომისიების, კომიტეტებისა და სხვა ორგანოების საქმიანობის შესახებ, რომლებსაც მიღებული აქვთ დაგეგმვა ამ შეთანხმების შესაბამისად.

მუნლი თ

მხარეებს შეუძლიათ მეორეხარისხოვანი ცვლილებების შეტანა ამ შეთანხმებაში თავიანთი გამოცდილების გათვალისწინებით, შეტყობინებათა უბრალო გაცვლით.

მუნლი ი

1. თითოეული მხარე აცნობებს სხვა მხარეს იმ პროცედურების დასრულების შესახებ, რომლებიც მოითხოვება მისი შიდა სამართლით ამ შეთანხმების განსახორციელებლად; შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების თარიღიდან.

2. ეს შეთანხმება დადებულია ხუთი წლის ვადით მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. თუკი ექვსი თვით ადრე არ იქნება გავზავნილი შეტყობინება მისი შეწყვეტის თაობაზე, შეთანხმება იმავე პირობებით ავტომატურად გრძელდება შემდეგი ხუთი წლის ვადით.

3. მხარეს, რომელიც ავზავნის შეტყობინებას შეთანხმების შეწყვეტის შესახებ, შეუძლია განსაზღვროს, რომ იგი ეხება მხოლოდ კონკრეტულ მუხლებს, გეოგრაფიულ რაიონებს ან საქმიანობის სფეროებს. ამ შემთხვევაში, ეს შეთანხმება ძალაში რჩება დანარჩენი დროის განმავლობაშიც, თუ სხვა მხარე ან მხარეები არ მოახდენენ მის შეწყვეტას ოთხ თვეში, ნაწილობრივი შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

4. მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ წინამდებარე შეთანხმების გამოყენება გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მათ ამგვარადვე შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ შეწყდეს ან არ გავრძელდეს რომელიმე კომიტეტის საქმიანობა.

1.1 სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მხარდაჭერის შესახებ

შესავალი შენიშვნა: ეს არის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი, რომელიც შეიცავს ზოგად დებულებებს და რომელიც შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ან ქვემოთ მოცემულ ერთ ან მეტ სახელმწიფოთაშორის შეთანხმების მოდელთან კავშირში.

.....

და

..... მთავრობები,

ათვითცნობიერებენ რა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციით განსაზღვრული ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის უპირატესობას, შეთანხმდნენ შემდეგ წე:

მუხლი 1

მხარეები ვალდებულებას იღებენ გამოძებნონ და ხელი შეუწყონ რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის საშუალებებს.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ქვეშ ისინი გულისხმობენ ყველა ერთობლივ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ან კულტურულ ღონისძიებას, იმ რაიონებს შორის კეთილმეზობლური თანამშრომლობის განმტკიცებისა და წახალისების მიზნით, რომლებიც მდებარეობენ საზღვრის თითოეულ მხარეს, და შესაბამისი შეთანხმებების დადებას იმ პრობლემათა გადაჭრის მიზნით, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან ამ სფეროში.

ეს ღონისძიებები, ინტერ ალია, მიზნად უნდა ისახავდნენ რეგიონალური და საქალაქო განვითარების გაუმჯობესებას, ბუნებრივი რესურსების დაცვას, უბედური შემთხვევის ან კატასტროფის დროს ურთიერთდახმარებას და საზოგადოებრივი მომსახურებების გაუმჯობესებას.

მუხლი 2

მხარეები ორმხრივი კონსულტაციების საშუალებით ეცდებიან, მათ იურისდიქციაში შემავალი ხელისუფლების ორგანოებისათვის უზრუნველყონ აუცილებელი რესურსები ასეთი თანამშრომლობის განსახორციელებლად.

მუხლი 3

მხარეები ასევე იღებენ ვალდებულებას წაახალისონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებას.

მუხლი 4

ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოებს, რომლებიც ამ შეთანხმების შესაბამისად ჩართულნი არიან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაში, უფლება აქვთ იმავე საშუალებებსა და

დაცვაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მათვის, თუკი ისინი ითანამშრომლებდნენ ეროვნულ დონეზე.

თითოეული მხარის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები უზრუნველყოფენ, რომ ბიუჯეტით გამოყოფილი იყოს სახსრები, რომლებითაც დაიფარება იმ ორგანოთა მიმდინარე ხარჯები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ შეთანხმებით განსაზღვრული თანამშრომლობის განვითარებაზე.

მუხლი 5

თითოეული მხარე მის მიერ დანიშნულ ორგანოს, კომისიას ან დაწესებულებას მისცემს დაფარვებს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესასწავლად, იმ მიზნით, რომ მოხდეს ნებისმიერი დებულების შესწორება, რომელმაც შეიძლება დააბრკოლოს ადგილობრივი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარება. ეს ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ფისკალური და საბაჟო რეგულაციების, უცხოური ვალუტის გადაცვლისა და კაპიტალის მოძრაობის წესების და იმ პროცედურების გაუმჯობესებას, რომელთა მიხედვითაც მოხდება ხელისუფლების შემდგომ ორგანოთა ჩარევა, კერძოდ, ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება.

წინა პუნქტში მითითებული ზომების მიღებამდე, მხარეები გამართავენ ერთმანეთთან აუცილებელ კონსულტაციებს და ვაცვლიან შესაბამის ინფორმაციას.

მუხლი 6

მხარეები ეცდებიან არბიტრაჟის ან სხვა საშუალებების მეშვეობით გადაჭრან ადგილობრივი მნიშვნელობის დავის საკითხები, რომელთა წინასწარი მოწესრიგებაც აუცილებელია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის.

1.2 სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი რეგიონალური ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების შესახებ

შესავალი შენიშვნა: ეს შეთანხმება შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ან ერთ ან მეტ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებასთან კავშირში (ტექსტები 1.1-დან 1.5-მდე).*

მუხლი 1

იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებს იმ რეგიონებს შორის, რომლებიც განსაზღვრულნი არიან ამ ტექსტის დამატებაში, მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას (შემდგომში კომისია) და აუცილებლობის შემთხვევაში, ერთ ან მეტ რეგიონალურ კომიტეტს (შემდგომში კომიტეტი), რომლებიც იმუშავებენ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასთან დაკავშირებული კონსულტაციების საკითხებზე.

მუხლი 2

1. კომისია და კომიტეტები შედგებიან დელეგაციებისაგან, რომელთა წევრებიც აირჩევიან თითოეული მხარის მიერ.

2. დელეგაციები კომისიაში შედგებიან არაუმეტეს მ წევრისაგან, რომელითაგანაც სულ მცირე 3 უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლების რეგიონალურ ორგანოებს. კომიტეტში დელეგაციათა მეთაურები ან მათი წარმომადგენლები კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ სათათბირო წმით2.

3. კომიტეტები შედგებიან დელეგაციისაგან, ხოლო თითოეული მათგანი შედგება ... წევრისაგან და მათი შექმნა მოხდება კომისიის მიერ ამ შეთანხმებით მოცული მოსაზღვრე რაიონების ხელისუფლების რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით. კომიტეტში გამწესებული დელეგაციები შედგებიან ამ ხელისუფლების ორგანოების ან რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებისაგან. ერთი დელეგატის დანიშვნა მოხდება ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ. საჭიროების შემთხვევაში, იგი არჩეული იქნება იმ ორგანოებიდან, რომლებიც წარმოადგენენ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს იმ საზღვრისპირა რაიონებში, რომლებსთვისაც კომიტეტები პასუხისმგებელი არიან.

4. კომისია შეიკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც. კომიტეტები შეიკრიბებიან საჭიროების შესაბამისად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ.

5. კომისია და კომიტეტები შეიძულებენ თავიანთ რეგლამენტს.

მუხლი 3

თითოეული მხარე თავად დაფარავს მისი დელეგაციის ხარჯებს კომისიაში. კომიტეტებში გამწესებული დელეგაციების ხარჯების დაფარვა მოხდება ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ, რომლებიც ადგენენ ამ დელეგაციებს.

მუხლი 4

კომისიისა და კომიტეტების მუშაობის კოორდინაციისა და განგრძობითობის მიზნებისათვის, მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, ქმნიან სამდივნოს, რომლის შემადგენლობის, შტაბბინის, საქმიანობის წესისა და დაფინანსების საკითხები განისაზღვრება მხარეთა ად ჰოც შეთანხმებით, რომლის დადებაც მოხდება კომისიის წინადადებით. თუკი მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, კომისიას თავად შეუძლია შექმნას ასეთი სამდივნო.

მუხლი 5

ამ შეთანხმებით მოცული საზღვრისპირა რაიონები განსაზღვრულნი არიან თანდართულ დამატებაში, რომლის შინაარსიც შეიძლება შესწორდეს შეტყობინებათა უბრალო გაცვლით.

მუხლი 6

1. ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებით გადასაწყვეტი საკითხები შეიძლება გამოძინარეობდნენ შემდეგი სფეროებიდან³:

- საქალაქო და რეგიონალური განვითარება;
- ტრანსპორტი და კომუნიკაციები (საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გზები და შოსეები, საერთო აეროპორტები, საწყალოსნო გზები, საზღვაო პორტები და სხვ.);
- ენერგეტიკა (ელექტროსადგურები, გაზი, ელექტროენერჯია და წყალმომარაგება);
- ბუნების დაცვა (ადგილები, რომლებიც საჭიროებენ დაცვას, თვით აღდგენითი რაიონები, ბუნებრივი პარკები და სხვ.);
- წყლის დაცვა (დაბინძურების კონტროლი, წყლის გაწმენდის დანადგარები, და სხვ.);
- ატმოსფეროს დაცვა (ჰაერის დაბინძურება; ხმაურის შემცირება, უხმაურო ზონები და სხვ.);
- განათლება, პროფესიული მომზადება და მეცნიერული გამოკვლევები;

- ჯანმრთელობის დაცვა (მაგ; რომელიმე რაიონში სამედიცინო საშუალებების გამოყენება სწვა რაიონის მაცხოვრებელთა მიერ);
- კულტურა, დასვენება და სპორტი (თეატრები, ორკესტრები, სპორტული ცენტრები, დასასვენებელი სახლები და ბანაკები, ახალგაზრდული ცენტრები და სხვ.);
- ურთიერთდახმარება უბედური შემთხვევის შედეგების ნეიტრალიზებაში (ხანძარი, წყალდიდობა, ეპიდემია, საჰაერო კატასტროფა, მიწისძვრა, სამთო უბედური შემთხვევები და სხვ.);
- ტურიზმი (ტურიზმის ხელშეწყობის ერთობლივი პროექტები);
- სასაზღვრო რაიონებში მომუშავეთა პრობლემები (სატრანსპორტო საშუალებები, დაბინავება, სოციალური უზრუნველყოფა, დაბეგვრა, დასაქმება, უმუშევრობა და სხვ.);
- ეკონომიკური პროექტები (მრეწველობის ახალი დარგები და სხვ.);
- სხვადასხვა პროექტები (ნავგის ვატანის დანადგარები, კანალიზაცია და სხვ.);
- აგრარული სისტემის გაუმჯობესება;
- სოციალური მომსახურების საშუალებები.

2. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ შეასწორონ ეს სია შეტყობინებათა უბრალო გაცვლით.

მუხლი 7

1. თუ სწვა რამ არ არის დადგენილი, კომისია პასუხს აგებს ზოგადი და პრინციპული საკითხების გადაწყვეტაზე, ისეთებზე, როგორცაა კომიტეტების პროგრამების შემუშავება, კოორდინაცია და კონტაქტები შესაბამის ცენტრალურ ადმინისტრაციასთან და ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე შექმნილ ერთობლივ კომისიებთან.

2. კომისია, კერძოდ, პასუხს აგებს შესაბამისი მთავრობებისათვის მისი და კომიტეტების რეკომენდაციებისა და საერთაშორისო შეთანხმების დადების შესახებ ნებისმიერი პროექტის სათანადოდ გადაცემაზე.

3. კომისიამ შეიძლება ისარგებლოს ექსპერტთა მომსახურებით ცალკეული საკითხების შესწავლის მიზნით.

მუხლი 8

1. კომიტეტების მთავარი ფუნქციაა მე-ნ მუხლით განსაზღვრული სფეროებიდან გამომდინარე პრობლემების შესწავლა და შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების გაკეთება. ასეთი პრობლემები შეიძლება გადაეცეთ მათ კომისიის, მხარეთა ხელისუფლების ცენტრალური, რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოებისა და დაწესებულებების, გაერთიანებების ან სწვა სახელმწიფო ან კერძო ორგანოების მიერ. მათ ასევე შეუძლიათ შეისწავლონ საკითხები საკუთარი ინიციატივით.

2. კომიტეტებს, ამ საკითხების შესწავლის მიზნით, შეუძლიათ შექმნან სამუშაო ჯგუფები. მათ ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ექსპერტთა მომსახურებით და ითხოვონ იურიდიული მოსაზრებებისა და ტექნიკური მოხსენებების მიწოდება. კომიტეტები შესაძლო ყველაზე სრული კონსულტაციების გამართვის მეშვეობით, ეცდებიან მიიღონ ისეთი შედეგები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან შესაბამისი მოსახლეობის ინტერესებთან.

მუხლი 9

1. კომიტეტები აცნობებენ კომისიას მათვის გადაცემული საკითხებისა და მათ მიერ გაკეთებული დასკვნების შესახებ.

2. იმ შემთხვევაში, თუ მათი დასკვნები მოითხოვენ კომისიის ან შესაბამისი მთავრობების მიერ გადაწყვეტილების მიღებას, კომიტეტები კომისიას წარუდგენენ რეკომენდაციებს.

მუხლი 10

1. კომისია, ისევე როგორც კომიტეტები უფლებამოსილნი არიან გადაწყვიტონ მხარეების მიერ მათთვის გადაცემული საერთო ინტერესებში შემავალი საკითხები, იმ პირობით, რომ მათ წევრებს მინიჭებული უნდა ჰქონდეთ სათანადო უფლებამოსილება მხარეთა კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კომისია და კომიტეტები გაცვლიან ინფორმაციას ამ მხრივ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

მუხლი 11

1. კომისიაში ან კომიტეტებში გამწესებული დელეგაციები გაცვლიან ინფორმაციას გაკეთებული რეკომენდაციების ან 7.2 და 9.2 მუხლების თანახმად შემუშავებული შეთანხმებების შესაბამისად ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული ზომების შესახებ.

2. კომისია და კომიტეტები განიხილავენ ღონისძიებებს, რომელთა მიღებაც აუცილებელია 1-ლ პუნქტში მოხსენიებული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ გატარებული ზომებისათვის.

1.3 სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მოდელი ადგილობრივი ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების შესახებ

შესავალი შენიშვნა: ეს შეთანხმება შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ან ერთ ან მეტ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მოდელთან კავშირში (ტექსტები 1.1-დან 1.5-მდე)*.

მუხლი 1

ინფორმაციის უფრო სრული გაცვლის უზრუნველყოფისა და საზღვრის ორივე მხარეს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის კონსულტაციების განვითარების მიზნით, მხარეები მოუწოდებენ ხელისუფლების ამ ორგანოებს მოახდინონ საერთო ინტერესებში შემავალი საკითხების ერთობლივი შესწავლა საკონსულტაციო კომიტეტების მეშვეობით.

მუხლი 2

ამ კომიტეტების რეგლამენტის მიღება მოხდება მათი წევრების მიერ. ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები მონაწილეობას მიიღებენ მათ მუშაობაში ან რეგულარულად იქნებიან ინფორმირებულნი მათი მუშაობის შესახებ.

საკონსულტაციო კომიტეტები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალური ტრანსსასაზღვრო საკონსულტაციო კომისიების მუშაობაში ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული პირობებით, თუკი ასეთი კომისიები შექმნილნი არიან შესაბამის რეგიონებში. ეს კომისიები ასევე გაუწევენ დახმარებას საკონსულტაციო კომიტეტებს მათ მუშაობაში.

მათ ასევე შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის კონტექსტში დადებული სპეციალური სახელმწიფოთა შორის შეთანხმების აღსრულების საკონსულტაციო ორგანოებმა.

მუხლი 3

საკონსულტაციო კომიტეტების ფუნქციაში შედის ინფორმაციის გაცვლა და ორივე მხარეს კონსულტაციების გამართვა, ისევე როგორც, საერთო ინტერესებში შემაჯავალი საკითხების შესწავლა და საერთო მიზნების განსაზღვრა.

მათ საქმიანობაში ისინი ხელმძღვანელობენ თავიანთი წევრების მოვალეობების პატივისცემით; დაუშვებელია წევრების უფლებამოსილებების გადაცემა.

ამასთან, ამ კომიტეტების წევრებს, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების ფარგლებში, შეუძლიათ ერთობლივად გადაწყვიტონ თუ რა ზომებითა და შეზღუდვებით ისარგებლონ თავის საქმიანობაში, ან წინასწარ კონსულტაციათა როგორი პროცედურების გამოყენება იქნება სასურველი.

მუხლი 4 (ალტერნატივა)

ამ საკონსულტაციო კომიტეტებისათვის მათ მუშაობაში დახმარების გასაწევად, ხელისუფლების შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს შიდა კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, შეუძლიათ გადაწყვიტონ ასოციაციების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი თანამშრომლობის სამართლებრივ ჩარჩოებს.

ასეთი ასოციაციები შეიძლება შეიქმნას სამოქალაქო ან კომერციული სამართლის შესაბამისად, რომელიც ერთ-ერთ შესაბამის სახელმწიფოში გამოიყენება ასოციაციების მიმართ. შერჩეული სამართლებრივი სისტემის გამოყენებისას, საჭიროების შემთხვევაში, ყურადღებაში არ მიიღება პირობები, ფორმალობები და ცალკეული რწმუნებებები, რომლებიც ენებიან ასოციაციის წევრების მოქალაქეობას.

ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისათვის მე-2 მუხლის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია მოიცავს მთლიან ინფორმაციას წინამდებარე მუხლში მოხსენიებული ასოციაციების საქმიანობის შესახებ.

1.4 სახელმწიფოთა შორისი შეთანხმების მოდელი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის სახელშეკრულებო ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ

შესავალი შენიშვნა: ეს შეთანხმება შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ან ერთ ან მეტ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებასთან კავშირში (ტექსტები 1.1-დან 1.5-მდე)*.

მუხლი 1

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, ინტერ ალია, განხორციელდება ადმინისტრაციული, ეკონომიკური და ტექნიკური ხელშეკრულებების საშუალებით.

მუხლი 2

ხელშეკრულებები ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ დაიდება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ შიდა სამართლით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

ისინი, ინტერ ალია, უნდა ეხებოდნენ საქონელისა და მომსახურების მიწოდებას, ერთობლივი ღონისძიებების გატარებას, ერთ-ერთი მხარის სამოქალაქო და კომერციულ სამართალზე დაფუძნებული ასოციაციის შექმნას ან ამ ასოციაციის წევრობას⁴.

მუხლი 3

ასეთი ხელშეკრულების მხარეები განსაზღვრავენ გამოსაყენებელ სამართალს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის სახელშეკრულებო სამართალის გამოყენების საშუალებით.

აუცილებლობით მოთხოვნილი ზომით, ისინი ასევე მიუთითებენ დათქმებზე გამოსაყენებელი სამართლის ამ დებულებების მიმართ, რომლებსაც არა აქვთ საგაღდებულო ძალა.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის შესაბამისი დებულება, გამოიყენება იმ მხარის სამართალი, რომლის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოც პასუხისმგებელია შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფაზე, ან თუკი ეს პირობაც არ შეიძლება რომ შესრულდეს, იმ მხარის სამართალი, რომელიც ყველაზე მეტად უზრუნველყოფს დაფინანსებას.

ყველა შემთხვევაში, პირები, რომლებიც იმყოფებიან ხელშეკრულების მხარე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს დაქვემდებარებაში, ინარჩუნებენ უფლებას აღძრან სარჩელი სხენებული ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ ან მოიძიონ სხვა საშუალება მათი უფლებების დასაცავად, თუკი ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სხენებული პირების შესაბამისი საქონელით ან მომსახურებით უზრუნველყოფაზე. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია სარჩელი, ან შესაბამისი პირების მიერ მიღებულია სხვა სამართლებრივი საშუალებები მათი უფლებების დასაცავად, უფლება აქვთ დაიწყონ სამართალწარმოება ხელისუფლების იმ ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ, რომლებმაც იკისრეს პასუხისმგებლობა საქონელის ან მომსახურების უზრუნველყოფაზე.

მუხლი 4

წინადადება ხელშეკრულების დადების ან შეცვლის შესახებ თითოეულ სახელმწიფოში პარალელურად ექვემდებარება ჩვეულებრივ ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებენ ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების ჩარევას. ამასთან, ამაზე არ მოითხოვება ხელშეკრულების მხარე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა თანხმობა. ხელისუფლების ზემდგომი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელმაც შეიძლება შეაჩეროს ტრანსსასაზღვრო ხელშეკრულების დადება ან მისი გამოყენება, ან რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მისი შეწყვეტა, მიღებული უნდა იქნეს მეორე სახელმწიფოს შესაბამის ხელისუფლების ზემდგომ ორგანოსთან წინასწარი კონსულტაციების ჩატარების შემდეგ.

მუხლი 5

დავის არსებობის შემთხვევაში, კომპეტენტური სასამართლო ორგანო განისაზღვრება გამოსაყენებელი სამართლით. ამასთან, ხელშეკრულებები ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ შეიძლება შეიცავდნენ დებულებებს არბიტრაჟის შესახებ. ამგვარი დებულებების ხელშეკრულებაში ჩართვის მიუხედავად, მომხმარებლები და მესამე მხარეები ინარჩუნებენ ნებისმიერი სამართლებრივი საშუალების გამოყენების უფლებას მათი ინტერესების დასაცავად, იმ სახელმწიფოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს წინააღმდეგ, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან, როდესაც ხელისუფლების ამ ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ ანაზღაურება ხელშეკრულების იმ მხარისაგან, რომელიც არ ასრულებს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებს.

ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები, მათი უფლებამოსილებების ფარგლებში, მიიღებენ ყველა ზომას, რათა უზრუნველყონ სასამართლო გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივი აღსრულება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარის სასამართლოს მიერ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება.

მუხლი 6

ამ შეთანხმების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებები ძალაში რჩებიან შეთანხმების დენონსაციის შემდეგაც. ამასთან, ხელშეკრულებები უნდა შეიცავდნენ დებულებას, რომელიც უფლებას მიანიჭებს მხარეებს შეწყვიტონ ხელშეკრულებები იმ პირობით, რომ წინამდებარე შეთანხმების დენონსაციის შემთხვევაში, შეტყობინება 5 წლით ადრე უნდა იქნას გაგზავნილი ხელშეკრულების შეწყვეტამდე. მხარეები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ გამოიყენონ წინამდებარე მუხლის დებულებები.

1.5 სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოების შესახებ

შესავალი შენიშვნა: ეს შეთანხმება შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ან ერთ ან მეტ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებასთან კავშირში (ტექსტები 1.1-დან 1.5-მდე)*.

მუხლი 1

იმ მიზნებისათვის, რომელთა მიღწევაც დაშვებულია შიდა სამართლით გაერთიანების ან კონსორციუმის მეშვეობით, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და სხვა საჯარო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვა მხარის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის შიდა სამართლის შესაბამისად შექმნილი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ასოციაციებში ან კონსორციუმებში.

მუხლი 2

მისი წევრების უფლებამოსილებების ფარგლებში, 1-ლ მუხლში მოხსენიებული ასოციაციები და კონსორციუმები უფლებამოსილნი არიან განავითარონ მათი წესდებიდან გამომდინარე საქმიანობა თითოეული შესაბამისი მხარის ტერიტორიაზე. ამ საქმიანობის განხორციელების დროს, ისინი ინელმძღვანელებენ ამ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით, თუკი თავად ეს სახელმწიფო არ ადგენს რაიმე გამონაკლის შემთხვევებს.

მუხლი 3

1. ასოციაციის ან კონსორციუმის დამფუძნებელი დოკუმენტები, ასოციაციის წესდება და მასში შეტანილი შესწორებები ექვემდებარებიან მონაწილე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ზემდგომი ორგანოების დამტკიცებას. იგივე წესი გამოიყენება უკვე არსებულ ასოციაციაში ან კონსორციუმში წევრად მიღების მიმართ.

2. შესაბამისი მოსახლეობა ინფორმირებული იქნება ამგვარი დოკუმენტებისა და მათი მოწონების შესახებ თითოეულ ქვეყანაში ინფორმაციის გავრცელების ჩვეულებრივი წესების შესაბამისად. იგივე წესი გამოიყენება გაერთიანების ან კონსორციუმის ოფიციალური შტაბბინის გადატანის და იმ პირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ გაერთიანების ან კონსორციუმის სახელით და ასევე, ასოციაციის ან კონსორციუმის უფლებამოსილების ფარგლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

3. ზემოხსენებული დოკუმენტები შედგენილია თითოეული სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე. ტექსტის თითოეული ვერსია ავთენტიკურია.

მუხლი 4

1. ასოციაციის წესდებამ უნდა განსაზღვროს წესები, რომლებითაც დადგინდება ასოციაციის ან კონსორციუმის სამართლებრივი სტატუსი. 1-ლი მუხლის შესაბამისად, იგი აწესრიგებს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით მოთხოვნილ საკითხებს. ყველა შემთხვევაში, იგი განსაზღვრავს ასოციაციის ან კონსორციუმის წევრებს, მის სახელსა და შტაბბინის ადგილსამყოფელს. იგი განსაზღვრავს ასოციაციის ან კონსორციუმის მიზანს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მისი დაწესებულებების ფუნქციებსა და მათ ადგილსამყოფელს. იგი განსაზღვრავს მმართველი და ადმინისტრაციული ორგანოების დანიშვნის წესს, წევრების ვალდებულებათა ფარგლებსა და მათი შესატანის ოდენობას ერთობლივი ხარჯების დასაფარად. მმართველი ორგანოები შედგებიან თითოეული სახელმწიფოს ხელისუფლების იმ ადგილობრივი ორგანოს სულ მცირე ერთი წარმომადგენლისაგან, რომელიც არის ასოციაციის ან კონსორციუმის წევრი. ასოციაციის წესდება განსაზღვრავს გენერალური ასამბლეის შემადგენლობას და გადაწყვეტილების მიღების წესებს, სხდომის ოქმების შედგენის ფორმებს, დაშლის ან ლიკვიდაციის წესსა და ბიუჯეტთან და საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებულ წესებს.

2. წესდება ასევე შეიცავს დებულებას, რომლის მიხედვითაც წევრებს შეუძლიათ ასოციაციიდან გამოსვლა სხვა შესაბამისი მხარისათვის წესდებით განსაზღვრული ვადით ადრე შეტყობინების გავზავნის გზით, მას შემდეგ, რაც გადახდილი იქნება ყველა დავალიანება ასოციაციის წინაშე და ექსპორტების მიერ შეფასებული კომპენსაციის ოდენობა, ასოციაციის მიერ შესაბამისი წევრის სასარგებლოდ ან ამ უკანასკნელის სახელით განხორციელებული კაპიტალდაბანდებების ან გაწეული ხარჯების მიმართ. იგი ასევე განსაზღვრავს ალბულის ვალდებულებების არშესრულებისათვის წევრების დათხოვნის ან ვარიცხვის წესებს.

მუხლი 5

სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, მხარეები იღებენ ვალდებულებას მისცენ უფლება ასოციაციას ან კონსორციუმს თავისუფლად იმოქმედონ მათ ტერიტორიაზე თავისი ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 6

იმ შემთხვევაში, თუ შიდა სამართლის შესაბამისად, ასოციაციას ან კონსორციუმს არ შეუძლია რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე რაიმე უფლებამოსილების განხორციელება, რაიმე უფლებით ან უპირატესობით სარგებლობა, რაც აუცილებელია ამ სახელმწიფოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს სასარგებლოდ მისი ამოცანების შესრულებისათვის, ამ სახელმწიფოს აქვს უფლება და ეკისრება მოვალეობა იმოქმედოს ასოციაციის ან კონსორციუმისათვის ან მათი სახელით, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ამ უფლებამოსილებებით, უფლებებით ან უპირატესობებით სარგებლობა.

მუხლი 7

1. ასოციაციაზე ან კონსორციუმზე ზედამხედველობის ან კონტროლის უფლებამოსილებათა განხორციელება მოხდება შიდა სამართლის შესაბამისად იმ სახელმწიფოს ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოების მიერ, სადაც მდებარეობს ასოციაციის ან კონსორციუმის შტაბბინა. ხელისუფლების ეს ორგანოები ასევე უზრუნველყოფენ, რომ დაცული იქნას სხვა სახელმწიფოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ინტერესები.

2. სხვა სახელმწიფოების ხელისუფლების პასუხისმგებელ ორგანოებს აქვთ უფლება ინფორმირებულნი იყვნენ ასოციაციის ან კონსორციუმის საქმიანობასა და გადაწყვეტილებებზე და იმ ღონისძიებებზე,

რომლებიც მიღებული იქნენ კონტროლის ან ზედამხედველობის განხორციელებისას. კერძოდ, თხოვნის საფუძველზე მათ მიეწოდებათ ასოციაციის ან კონსორციუმის ორგანოთა შეხვედრებზე მიღებული ტექსტები და სხდომის ოქმები, წლიური ანგარიში და ბიუჯეტის პროექტი, თუკი ისინი არსებობენ, იმ ზომით, რითაც მათი გადაცემა მოითხოვება შიდა სამართლით ხელისუფლების იმ ორგანოებისათვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობაზე ან კონტროლზე. მათ შეუძლიათ პირდაპირ დაუკავშირდნენ ასოციაციის ან კონსორციუმის ორგანოებს და საზედამხედველო ან მაკონტროლებელ ორგანოებს, მიაწოდონ თავიანთი დაკვირვებები და ითხოვონ მათთვის კონსულტაციების გაწევა სპეციალურ ინსტანციებსა და სპეციფიკურ საკითხებზე.

3. სხვა სახელმწიფოთა ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს ასევე აქვთ უფლება აცნობონ ასოციაციას ან კონსორციუმს, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან, რომ მათ იურისდიქციაში შემავალმა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა გააგრძელონ ასოციაციის ან კონსორციუმის წევრობა. ასეთი შეტყობინება, საკპარისი მიზეზების არსებობისას, განიხილება როგორც გარიცხვის საფუძველი, რაც სათანადოდ უნდა იქნას აღნიშნული ასოციაციის წესდებაში. ამ მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში მოხსენიებული ხელისუფლების ორგანოები ასევე იქნებიან უფლებამოსილი წარმოდგენილი იყვნენ ასოციაციის ან კონსორციუმის მმართველ ორგანოებში დელეგატი, რომელიც უფლებამოსილი იქნება დაესწროს ყველა ორგანოს შეხვედრას და მიიღოს მათი დღის წესრიგი და ოქმები.

მუხლი 8

საქონლის მიწოდება ან მომსახურებით უზრუნველყოფა, რაც შეიძლება დაევალოს ასოციაციას ან კონსორციუმს მისი წესდებით მისი წევრების ტერიტორიაზე, განხორციელდება მისი პასუხისმგებლობით, რაც მთლიანად ათავისუფლებს მის წევრებს შესაბამისი ვალდებულებებისაგან. ასოციაცია ან კონსორციუმი, ასევე, ვის-ა-ვის პასუხისმგებელია მომხმარებლებისა და მესამე პირების წინაშე. ამასთან, ეს უკანასკნელები, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიმართ, ვისთვისაც და ვისი სახელითაც ასოციაცია ან კონსორციუმი ახორციელებს საქონელის მიწოდებას ან მომსახურებით უზრუნველყოფას, ინარჩუნებენ უფლებას შეიტანონ სარჩელი და გამოიყენონ მათთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებები, რომელიც მათ ექნებოდათ იმ შემთხვევაში, თუკი თავად ხელისუფლების ამ ორგანოების მოვალეობა იქნებოდა მათი უზრუნველყოფა საქონელით ან მომსახურებით. ხელისუფლების ორგანოებს, რომელთა წინააღმდეგაც შეტანილია სარჩელი, შეუძლიათ თავად შეიტანონ სარჩელი ასოციაციის წინააღმდეგ.

მუხლი 9

1. მორიგების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაგები ასოციაციასა და მის წევრებს შორის ან რამოდენიმე წევრს შორის გადაეცემა იმ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებს, სადაც მდებარეობს ასოციაციის ან კონსორციუმის შტაბბინა.

2. ყველა დავა, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული დავების გარდა, ჩვეულებრივი წესების შესაბამისად შეიძლება გადაეცეს მონაწილე სახელმწიფოთა ადმინისტრაციულ ან სასამართლო ორგანოებს, თუ დაინტერესებული მხარეები არ გადაწყვეტენ დავების გადაცემას მათ მიერ შექმნილი საარბიტრაჟო ორგანოსათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ უზრუნველყონ ზემო დებულებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და სასამართლო აქტების აღსრულება თავიანთ ტერიტორიებზე.

მუხლი 10

ამ შეთანხმების მიხედვით შექმნილი ასოციაციები და კონსორციუმები გააგრძელებენ არსებობას ამ შეთანხმების დენონსაციის შემდეგაც, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

1.6 შეთანხმების მოდელი რეგიონებს შორის და/ან საქალაქთა შორისო ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის შესახებ

(ალტერნატივა 1)

სახელმწიფოთა შორისი შეთანხმება

.....

და

..... მთავრობები,

(ალტერნატივა A)

- სურთ რა ხელი შეუწყონ რეგიონებს შორის ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობას თავიანთი საზღვრისპირა რეგიონების განვითარების მიზნით, შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

(ალტერნატივა B)

- სურთ რა ხელი შეუწყონ ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობას. და. რეგიონებს შორის ორივე რეგიონის განვითარების მიზნით, შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

(ალტერნატივა 2)

რეგიონებს შორისი და/ან საქალაქთა შორისი შეთანხმება

..... და სახელმწიფოების

..... და ხელისუფლების რეგიონალური/ადგილობრივი ორგანოები,

- სურთ რა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ რეგიონებს შორის თანამშრომლობას იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ტრანსსასაზღვრო ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების საშუალებები;

- სურთ რა გააძლიერონ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა დასაქმებისა და შემოსავლების სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

- სწამთა რა, რომ რეგიონების ენდოგენური სიმდიდრეები და პოტენციალი შეიძლება გამოყენებული იქნას ბევრად უკეთესად ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით ორივე მხარის სასარგებლოდ,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

მხარეები თანხმდებიან შექმნან ეკონომიკური და/ან სოციალური თანამშრომლობის ერთობლივი რეგიონებს შორისი კომისია.

მუხლი 2

კომისიის მოვალეობებში შედის

(ალტერნატივა 1)

ერთობლივი პროექტების განხორციელების, რეგიონალური განვითარების სფეროში ერთობლივი საქმიანობის პროგრამის შემუშავებისა და მისი განხორციელების დეტალების შემუშავება.

(ალტერნატივა 2)

შემდეგი პროექტის⁵ განხილვა:
და მისი განხორციელების დეტალების შემუშავება

მუხლი 3

კომისია შედგება ხელშეკვრულ მხარეებს შორის თანაბრად განაწილებული .. ადგილისაგან და თითოეული მხარე გადაწყვეტს კომისიაში მისთვის გამყოფი ადგილების დაბალანსებულ განაწილებას მისი შიდა სამართლის შესაბამისად ამ შეთანხმებით მოცულ ტერიტორიული ხელისუფლების ორგანოებს შორის (მთავრობები, კანტონები, ლანდები, ხელისუფლების რეგიონალური და/ან ადგილობრივი ორგანოები).

კომისიას, მასზე დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად, ექნება შემდეგი შემადგენლობა:

მხარე A [. . . . მხარიდან]

- [. წევრი, დანიშნული ხელისუფლების ეროვნული ორგანოებს მიერ]
- . წევრი, დანიშნული ხელისუფლების რეგიონალური ორგანოებს მიერ
- [. წევრი, დანიშნული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ]

მხარე B

- [. მხარიდან]
- [. წევრი, დანიშნული ხელისუფლების ეროვნული ორგანოებს მიერ]
- წევრი, დანიშნული ხელისუფლების რეგიონალური ორგანოებს მიერ
- [. წევრი, დანიშნული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ]

მუხლი 4

კომისია შეიკრიბება აუცილებლობის შესაბამისად და წელიწადში ჩაატარებს ერთ შეკრებას მაინც. კომისიის თავმჯდომარეობა შეიცვლება ორ ქვეყანას შორის ყოველ (.წელიწადში). კომისიას შეუძლია თავის შემადგენლობაში მიიღოს ექსპერტები კოოპტაციის წესით. კომისია მიიღებს თავის რეგლამენტს და მისი სამდივნოს მუშაობისა და დაფინანსების წესებს.

მუხლი 5

თითოეული მხარე თავად დაფარავს კომისიაში მისი დელეგაციის ხარჯებს.

მუხლი 6

წინამდებარე შეთანხმება დადებულია:
< - მე-2 მუხლში განსაზღვრული პროექტის ხანგრძლივობით,

ალტერნატივა 2>;

< - ... წლის ვადით მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. შემდგომში იგი ავტომატურად განახლდება შემდეგი წლის ვადით, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შეთანხმების ვადის გასვლაძდე ერთი წლით ადრე>ნ.

მუხლი 7

თითოეული მხარე აცნობებს სხვა მხარეს წინამდებარე შეთანხმების განსახორციელებლად მისი ეროვნული სამართლით მოთხოვნილი პროცედურების დასრულების შესახებ; შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების მიღების შემდეგ.

შესრულებულია წლის თვის დღეს, ეგ ზემპლარად და ენებზე; თითოეული ტექსტი არის თანაბრად აუთენტური.

1.7 შეთანხმების მოდელი სივრცის ათვისების დაგეგმვის სფეროში სამთავრობათშორისო თანამშრომლობის შესახებ

[ტრანსსასაზღვრო სივრცის ათვისების დაგეგმვის სამთავრობათშორისი კომისიების შექმნა]

სახელმწიფოთა შორისა შეთანხმება

.....

და

- სახელმწიფოთა მთავრობები,
- ითვალისწინებენ რა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპულ კონვენციას (1980);
- ითვალისწინებენ რა ევროპულ ქარტიას რეგიონალური/სივრცის ათვისების დაგეგმვის შესახებ (1983);
- სურთ რა ხელი შეუწყონ და წაახადონ თანამშრომლობა სივრცის ათვისების დაგეგმვის სფეროში, როდესაც იგი ეხება საერთო საზღვრებთან მიმდებარე რაიონებს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

შეიქმნას სივრცის ათვისების დაგეგმვის ერთობლივი კომისია (შემდგომში კომისია).

მუხლი 2

[მე-2 მუხლში, განსახორციელებელი განვითარების პროექტები და კომისიის კონკრეტული მიზნები წარმოადგენენ კომისიაში წარმომადგენლობის განმსაზღვრელ ფაქტორებს.]

კომისია შედგება ... წევრისაგან:

- წევრი დაინიშნება მხარისგან და
- წევრი დაინიშნება მხარისგან;

კომისიას, მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, ექნება შემდეგი უმაღლესობა:

მხარე A [..... მხარიდან]

- [... წევრი, დაინიშნული ხელისუფლების ეროვნული ორგანოებს მიერ]
- წევრი, დაინიშნული ხელისუფლების რეგიონალური ორგანოებს მიერ
- [... წევრი, დაინიშნული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ]

მხარე B [..... მხარიდან]

[... წევრი, დანიშნული ხელისუფლების ეროვნული ორგანოებს მიერ]
.... წევრი, დანიშნული ხელისუფლების რეგიონალური ორგანოებს მიერ
[... წევრი, დანიშნული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ]

მუხლი 3

სივრცის ათვისების დაგეგმვის სფეროში მხარეთა მიერ განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, კომისია პასუხისმგებელი იქნება იმ მოსაზრებებზე რაიონებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფაზე, რომლებსაც მოიცავენ ეს ღონისძიებები, ამ სფეროში შესაბამის რაიონებს შორის მიზნების კოორდინაციაზე და ერთობლივი საქმიანობის განვითარებაზე ყველა სათანადო საშუალებებით მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით.

მუხლი 4

კომისიამ შეიძლება შექმნას კომიტეტები და/ან სამუშაო ჯგუფები, რომელთა ამოცანაც იქნება შესაბამის რაიონთან ან საკითხთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტა.
ამ მიზნით, იგი:

- გააკეთებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს შესაბამისი რაიონების სივრცის ათვისების შესახებ და წარუდგენს მათ ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს;
- ხელს შეუწყობს შეძღვეი ზომების კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას;

მუხლი 5

კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ და წელიწადში ჩატარებს არანაკლებ ორ შეხვედრას. კომისიის თავმჯდომარეობა შეიცვლება ორ ქვეყანას შორის (ყოველ ორ წელიწადში). კომისიას შეუძლია მის შემადგენლობაში მიიღოს ექსპერტები კოოპტაციის წესით. კომისია მიიღებს თავის რეგლამენტს და მისი სამდივნოს მუშაობისა და დაფინანსების წესებს.

მუხლი 6

თითოეული მხარე თავად დაფარავს კომისიაში მისი დელეგაციის ხარჯებს.

მუხლი 7

წინამდებარე შეთანხმება დადებულია ... წლის ვადით მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. შემდგომში იგი ავტომატურად განახლდება შემდეგი ... წლის ვადით, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შეთანხმების ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე.

მუხლი 8

თითოეული მხარე აცნობებს სხვა მხარეს წინამდებარე შეთანხმების განსახორციელებლად მისი ეროვნული სამართლით მოთხოვნილი პროცედურების დასრულების შესახებ; შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების მიღების შემდეგ.

შესრულებულია, წლის თვის დღეს, ევ შემპლარად და ენებზე; თითოეული ტექსტი არის თანაბრად აუთენტური.

1.8 შეთანხმების მოდელი სივრცის ათვისების დაგეგმვის სფეროში რეგიონებსშორის და საქალაქთშორის თანამშრომლობის შესახებ

(ალტერნატივა 1)

სახელმწიფოთაშორის შეთანხმება

[..... და

..... სახელმწიფოების მთავრობები

სურთ რა ხელი შეუწყონ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას გარემოს ათვისების დაგეგმვის სფეროში, შეთანხმდნენ რომ შემუშავდება თანამშრომლობის მექანიზმი

..... სახელმწიფოს ხელისუფლების რეგიონალურ/ადგილობრივ ორგანოსა და

..... სახელმწიფოს ხელისუფლების რეგიონალურ/ადგილობრივ ორგანოს შორის]

(ალტერნატივა 2)

რეგიონებსშორის და/ან საქალაქთშორისო შეთანხმება

.. და სახელმწიფოების და ხელისუფლების რეგიონალური და/ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები,

- ითვალისწინებენ რა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპულ კონვენციას (1980);

- ითვალისწინებენ რა ევროპულ ქარტიას რეგიონალური/სივრცის ათვისების დაგეგმვის სფეროში (1983);

- სურთ რა ხელი შეუწყონ და მხარი დაუჭირონ თანამშრომლობას სივრცის ათვისების დაგეგმვის სფეროში და კერძოდ, მათ საერთო მოსაზღვრე რაიონებში;

- დარწმუნდნენ რა მათ საერთო მოსაზღვრე რაიონებში სივრცის ათვისების დაგეგმვის ღონისძიებათა კოორდინაციისა და ჰარმონიზაციის ხელშეწყობის საჭიროებაში;

- ითვალისწინებენ რა სივრცის ათვისების დაგეგმვის სფეროში არსებულ ეროვნულ და რეგიონალურ გეგმებსა და პროგრამებს,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

ა) მოქმედი კანონებისა და რეგულაციების ფარგლებში, მხარეები იღებენ ვალდებულებას შეიმუშავონ და განავითარონ ორმხრივი კონსულტაციების პროცედურა, რათა გადალახონ სივრცის ათვისების განვითარებისა და საჭიროებისამებრ, რეგიონალური განვითარების დაგეგმვის მომზადების ეტაპი.

ბ) ისინი ეცდებიან მოახდინონ მიზნების კოორდინაცია და შეიმუშავონ ერთობლივი პოლიტიკა სივრცის ათვისების სფეროში, მათი ტერიტორიების განვითარების მიზნით.

გ) მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ აუცილებელი ზომები კომპეტენტური [ეროვნული] [რეგიონალური [ადგილობრივი] ორგანოების მიერ კოორდინირებული პროექტების განსახორციელებლად.

(ალტერნატივა 1):

მუხლი 2

პირველი მუხლის განხორციელების მიზნით, მხარეები ქმნიან გარემოს ათვისების დაგეგმვის ერთობლივ კომისიას [ექსპერტთა ჯგუფს].

მუხლი 3

კომისია [ექსპერტთა ჯგუფი] შედგება ... წარმომადგენლისაგან, რომელთაგანაც წევრი ინიშნება მხარიდან, ხოლო წევრი დაინიშნება მხარიდან. მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

მხარე A [..... მხარიდან]

- [... წევრი, დანიშნული ხელისუფლების ეროვნული ორგანოებს მიერ]
- წევრი, დანიშნული ხელისუფლების რეგიონალური ორგანოებს მიერ
- [... წევრი, დანიშნული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ]

მხარე B

[..... მხარიდან]

- [... წევრი, დანიშნული ხელისუფლების ეროვნული ორგანოებს მიერ]
- წევრი, დანიშნული ხელისუფლების რეგიონალური ორგანოებს მიერ
- [... წევრი, დანიშნული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ]

მუხლი 4

კომისიის [ექსპერტთა ჯგუფის] ფუნქციებში შედის:

- ინფორმაციის გაცვლის ორგანიზება და განხორციელება შესაბამის რეგიონში გარემოს ათვისების დაგეგმვის ყველა ასპექტის შესახებ;
- დაგეგმვის წინა ეტაპებზე კონსულტაციების პროცედურის შემუშავება;
- მისი უფლებამოსილების ფარგლებში გარემოს ათვისების გეგმების ჰარმონიზაცია;
- გაერთიანება გარემოს ათვისების გეგმებისა და პროექტების კოორდინირებული განხორციელების მიზნით.

[მუხლი 5

კომისიას მოემსახურება სამდივნო]

მუხლი 6

კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ და წელიწადში ჩაატარებს არანაკლებ ... შეხვედრას.

მუხლი 7

თითოეული მხარე თავად დაფარავს კომისიაში მისი დელეგაციის მონაწილეობის ხარჯებს.

მუხლი 8

წინამდებარე შეთანხმება დადებულია ... წლის ვადით მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. შემდგომში იგი ავტომატურად განახლდება შემდეგი ... წლის ვადით, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შეთანხმების ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრენ.

მუხლი 9

თითოეული მხარე აცნობებს სხვა მხარეს წინამდებარე შეთანხმების განსახორციელებლად მისი ეროვნული სამართლით მოთხოვნილი პროცედურების დასრულების შესახებ; შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების მიღების შემდეგ.

შესრულებულია, წლის თვის დღეს, ეგ ზემპლარად და ენებზე; თითოეული ტექსტი არის თანაბრად აუთენტური.

(ალტერნატივა 2)

მუხლი 2

მხარეები დააჯალღებენ თავიანთ სივრცის ათვისებისა და რეგიონალური დაგეგმვის კომპეტენტურ სამსახურებს მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა 1-ლი მუხლის ა, ბ და ც პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 3

მხარეთა კომპეტენტური სამსახურები აანაზღაურებენ მე-2 მუხლთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯებს.

მუხლი 4

წინამდებარე შეთანხმება დადებულია წლის ვადით მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ამის შემდეგ, იგი ავტომატურად განახლდება შემდეგი წლის ვადით, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შეთანხმების ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრენ.

მუხლი 5

თითოეული მხარე აცნობებს სხვა მხარეს წინამდებარე შეთანხმების განსახორციელებლად მისი ეროვნული სამართლით მოთხოვნილი პროცედურების დასრულების შესახებ; შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების მიღების შემდეგ.

შესრულებულია, წლის თვის დღეს, ეგ ზემპლარად და ენებზე; თითოეული ტექსტი არის თანაბრად აუთენტური.

1.9 შეთანხმების მოდელი ტრანსსასაზღვრო პარკების შექმნისა და მართვის შესახებ

..... და სახელმწიფოების [და სახელმწიფოს] მთავრობები და/ან და ხელისუფლების კომპეტენტური ადმინისტრაციულ ტერიტორიული ორგანოები, - აცნობიერებენ რა თანამშრომობის საჭიროებას ბუნების, ლანდშაფტისა და გარემოს დაცვისა და იმ ბუნებრივი არეალების განვითარების სფეროში, რომლებიც აუცილებელნი არიან ადამიანთა სიცოცხლის ხარისხისათვის;

- სურთ რა მოახდინონ მათ მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებების ჰარმონიზაცია, რომლებიც ენებიან უდიდესი მნიშვნელობის არეალს მათ საერთო საზღვრებთან მიმდებარე ტერიტორიაზე;
- განზრახული აქვთ რა დაიცვან არეალის ბუნებრივი სიმდიდრეები და ლანდშაფტის თავისებურებანი და საზოგადოებისათვის უზრუნველყონ განსაკუთრებული საშუალებები ბუნებისა და გარემოს შესასწავლად.

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

1. მხარეები თანხმდებიან, რომ ეს არეალი იქნება „..... ტრანსსასაზღვრო პარკი“.

2. პარკი მოიცავს:

..... მხარეს, რომელიც მდებარეობს

..... მხარეს, რომელიც მდებარეობს

[..... მხარეს, რომელიც მდებარეობს]]

3. პარკის ზუსტი საზღვრები ნაჩვენებია რუკაზე, რომელიც თან ერთვის ამ შეთანხმებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 2

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას თავიანთი კანონების შესაბამისად:

- დაიცვან და გააუმჯობესონ ბუნებრივი ლანდშაფტი და მისი სპეციფიკური ხასიათი;
- დაიცვან და გაამდიდრონ მისი ბუნებრივი მემკვიდრეობა (ფაუნა, ფლორა, ბუნებრივი გარემო);
- გადადგან აუცილებელი ნაბიჯები იმ ფაქტორების დასაცავად, რომლებსაც შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეთ ტრანსსასაზღვრო პარკისა და გარემოს ზემონსენებულ ეკოლოგიურ და ფიზიკურ სიმდიდრეებზე;
- დაიცვან და შეინარჩუნონ კულტურული მემკვიდრეობა (არქიტექტურული, არქეოლოგიური, სამეურნეო თუ ისტორიული);
- უზრუნველყონ, რომ საინფორმაციო, საგანმანათლებლო და დამსვენებელთა მიღების საშუალებები წარმოადგენდნენ მათი ეკოლოგიური პოლიტიკის ნაწილს და მათი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის საშუალებას;
- ზედამხედველობა ვაუჭიონ და უხელმძღვანელონ იმ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებს პარკში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ზემოთ მოხსენიებული მიზნების მიღწევას მათი ხასიათის შეუცვლელად.

2. ამ მხრივ, მხარეები თანხმდებიან მოახდინონ მართვის მეთოდების ჰარმონიზაცია და კოორდინაცია გაუჭიონ განვითარებისა და გაუმჯობესების ყველა პროექტს ყოვლისმომცველ ღონისძიებათა პროგრამის საშუალებით, რასაც მივყავართ პარკის ერთობლივ მართვამდე ერთობლივი მართვის გეგმის საფუძველზე. მხარეები ხელს შეუწყობენ ინფორმაციისა და გამოსცდილების გაცვლას.

მუხლი 3

1. შეიქმნას ... წევრისაგან შემდგარი ერთობლივი კომიტეტი, რომელიც შედგება: [სახელმწიფოების, ისევე როგორც ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების წარმომადგენლებისაგან]

- ... წევრისაგან ... მხარიდან
- ... წევრისაგან ... მხარიდან

[– ... წევრისაგან ... მხარიდან]

2. ერთობლივი კომიტეტი დააფუძნებს ადგილობრივ კომიტეტს, რომლის წევრებიც იქნებიან იმ სახელმწიფოთა და ხელისუფლების რეგიონალურ და ადგილობრივ ორგანოთა წარმომადგენლები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ შეთანხმების აღსრულებაზე.

მასში ასევე შედიან აღიარებული ბუნებისდამცავი კერძო ოგანიზაციებისა და იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ბუნებისა და გარემოს დაცვაში. წელიწადში ერთხელ მაინც ადგილობრივი კომიტეტი გადასცემს მოხსენებას მიღწეული პროგრესის შესახებ ერთობლივ კომიტეტს ნებისმიერ წინადადებასთან ერთად, რომელიც ეხება პარკის მართვასა და განვითარებას.

3. ერთობლივ კომიტეტს შეუძლია შექმნას სხვა კომიტეტი ან სამუშაო ჯგუფი.

4. ერთობლივი კომიტეტის ფუნქციებში შედის:

- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა ამ შეთანხმების მე-2 მუხლში მითითებული მიზნების კოორდინირებული განხორციელების მიზნით.
- ყველა სხვა საკითხის გადაჭრა, რომელიც ეხება პარკის მართვას.

5. ერთობლივი კომიტეტი ჩაატარებს შეხვედრას ყოველწლიურად. მას შეუძლია მიიწვიოს ექსპერტები ამ შეხვედრებზე.

- იგი მიიღებს თავის რეგლამენტს.
- ერთობლივი კომიტეტის თავმჯდომარეობა შეიცვლება თითოეული ეროვნული დელეგაციის წევრებს შორის; თავმჯდომარეობის ვადის ნანგრძლივობა განისაზღვრება რეგლამენტით.

მუხლი 4

თითოეული მხარე თავად დაფარავს ერთობლივ კომიტეტში მისი დელეგაციის მონაწილეობის ხარჯებს.

მუხლი 5

წინამდებარე შეთანხმება დადებულია ... წლის ვადით მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ამის შემდეგ იგი ავტომატურად განახლდება შემდეგი ... წლის ვადით, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შეთანხმების ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრეილ.

მუხლი 6

თითოეული მხარე აცნობებს სხვა მხარეს წინამდებარე შეთანხმების განსახორციელებლად მისი ეროვნული სამართლით მოთხოვნილი პროცედურების დასრულების შესახებ7; შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების მიღების შემდეგ11.

შესრულებულია, წლის თვის დღეს, ეგ ზემპლარად და ენებზე; თითოეული ტექსტი არის თანაბრად აუთენტური.

1.10 შეთანხმების მოდელი ტრანსსასაზღვრო სასოფლო სამეურნეო პარკების შექმნისა და მართვის შესახებ

..... და მთავრობები და/ან

..... და..... ხელისუფლების რეგიონალური ორგანოები

..... და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები,

- აცნობიერებენ რა თანამშრომლობის საჭიროებას ბუნების დაცვისა და იმ ბუნებრივი არეალების განვითარების სფეროში, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული თვალწარმტაცი სილამაზე და ბუნებრივი ღირებულება, რაც აუცილებელია ადამიანთა სიცოცხლის ხარისხისათვის;

- ითვალისწინებენ რა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებას გააგრძელონ და განავითარონ ისეთი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა, რომელიც ზიანს არ მიაყენებს ზემოსხენებულ ღირებულებებს;

- სურთ რა უზრუნველყონ და გააგრძელონ ბუნების სფეროში განათლებისა და ბუნებაში დასვენების საშუალებები საზოგადოებასა და ამ რაიონის მოსახლეობაზე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუნლი 1

1. მხარეები თანხმდებიან, რომ ეს არეალი იქნება „..... სასოფლო სამეურნეო პარკი .

2. პარკი მოიცავს:

..... მხარეს, რომელიც მდებარეობს

..... მხარეს, რომელიც მდებარეობს

[..... მხარეს, რომელიც მდებარეობს]]

3. პარკის ზუსტი საზღვრები ნაჩვენებია რუკაზე, რომელიც თან ერთვის ამ შეთანხმებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს.

მუნლი 2

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას თავიანთი კანონების შესაბამისად:

- დაიცვან და გააუმჯობესონ ბუნებრივი ლანდშაფტი და მისი სპეციფიკური ხასიათი;

- დაიცვან და გააუმჯობესონ მისი ბუნებრივი მემკვიდრეობა (ფლორა, ფაუნა, ბუნებრივი ვარემო);

- დაიცვან და გაზარდონ მათი კულტურული მემკვიდრეობა (არქიტექტურული, არქეოლოგიური, სასოფლო სამეურნეო თუ ისტორიული);

- უზრუნველყონ მოსახლეობის განათლება სხვა რაიონების ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის უფრო ფართო ცოდნისა და პატივისცემის დამკვიდრების მიზნით;

- გადადგან აუცილებელი ნაბიჯები იმ ფაქტორების დასაცავად, რომლებსაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეთ ტრანსსასაზღვრო პარკებისა და ვარემოს ეკოლოგიური და ფიზიკური სიმდიდრეებისათვის.

- ხელი შეუწყონ და წარმართონ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა მათი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და თვითაღდგენითი ღირებულების გაზრდისაკენ მიზანმიმართული ერთობლივი ზომებით, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობას.

2. ამ მხრივ, მხარეები თანხმდებიან მოახდინონ მართვის მეთოდების ჰარმონიზაცია და კოორდინაცია გაუწიონ განვითარებისა და გაუმჯობესების ყველა პროექტს ყოვლისმომცველ ღონისძიებათა პროგრამის საშუალებით, რასაც მოვყავართ პარკის ერთობლივ მართვამდე ერთობლივი მართვის გეგმის საფუძველზე. მხარეები ხელს შეუწყობენ ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას.

მუნლი 3

1. შექმნას ... წევრისაგან შემდგარი ერთობლივი კომიტეტი, რომელიც შედგება:

- ... წევრისაგან ... მხარიდან
- ... წევრისაგან ... მხარიდან
- [- ... წევრისაგან ... მხარიდან]

2. ერთობლივ კომიტეტს შეუძლია დააფუძნოს¹² ადგილობრივი კომიტეტი, რომლის წევრებიც იქნებიან იმ სახელმწიფოთა და ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა წინამდებარე შეთანხმების აღსრულებაზე. წელიწადში ერთხელ მაინც ადგილობრივი კომიტეტი გადასცემს მოხსენებას მიღწეული პროგრესის შესახებ ერთობლივ კომიტეტს ნებისმიერ წინადადებასთან ერთად, რომელიც ეხება პარკის მართვასა და განვითარებას.

3. ერთობლივ კომიტეტს შეუძლია შექმნას სხვა კომიტეტი ან სამუშაო ჯგუფი.

4. ერთობლივი კომიტეტის ფუნქციებში შედის:

- ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა ამ შეთანხმების მე-2 მუხლში მითითებული მიზნების კოორდინირებული განხორციელების მიზნით.
- ყველა სხვა საკითხის გადაჭრა, რომელიც ეხება პარკის მართვას.

5. ერთობლივი კომიტეტი ჩაატარებს წესდრას ყოველწლიურად. მას შეუძლია მიიწვიოს ექსპერტები ამ შესჯდრებზე.

- იგი მიიღებს თავის რეგლამენტს.
- ერთობლივი კომიტეტის თავმჯდომარეობა შეიცვლება თითოეული ეროვნული დელეგაციის წევრებს შორის; თავმჯდომარეობის ვადის ხანგრძლივობა განისაზღვრება რეგლამენტით.

მუხლი 4

თითოეული მხარე თავად დაფარავს ერთობლივ კომიტეტში მისი დელეგაციის მონაწილეობის ხარჯებს.

მუხლი 5

წინამდებარე შეთანხმება დადებულია ... წლის ვადით მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ამის შემდეგ იგი ავტომატურად განახლება შემდეგი ... წლის ვადით, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შეთანხმების ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე¹⁰.

მუხლი 6

თითოეული მხარე აცნობებს სხვა მხარეს წინამდებარე შეთანხმების განსახორციელებლად მისი ეროვნული სამართლით მოთხოვნილი პროცედურების დასრულების შესახებ⁷; შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების მიღების შემდეგ¹¹.

შესრულებულია წლის თვის დღეს, ეგ ზემბლარად და ენებზე; თითოეული ტექსტი არის თანაბრად აუთენტური.

1.11 სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი პროფესიული მომზადების, ინფორმაციის, დასაქმებისა და სამუშაო პირობების საკითხებზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ

შესავალი შენიშვნა: ეს შეთანხმება შეიძლება დაიდოს ინდივიდუალურად ან ერთ ან მეტ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებებთან კავშირში (ტექსტები 1.1-დან 1.5-მდე)*.

..... და სახელმწიფოთა მთავრობები, ითვალისწინებენ რა იმის საჭიროებას, რომ საზღვრის ორივე მხარის რაიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობები პროფესიული მომზადების, დასაქმებისა და მუშაობის, ასევე ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

ამ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს იმ რაიონში, რომელიც განსაზღვრულია, როგორც სასაზღვრო რაიონი, აქვს უფლება მისთვის ხელმისაწვდომი იყოს სხვა მხარის (მხარეების) დასაქმების ბაზარი თანაბარ საფუძველზე ამ მხარეთა მოქალაქეებთან. ხელისუფლების რეგიონალური ორგანოები ან დამატებით, სამთავრობო ორგანოები ადგენენ, რომ სასაზღვრო რაიონად განიხილებოდეს შემდეგი ტერიტორია: (განსაზღვრება).

მუხლი 2

საზღვართან მომუშავე პირებს აქვთ დასაქმებისა და შრომის ისეთივე პირობები, რომლებიც დადგენილია არიან დამსაქმებელი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის.

მუხლი 3

სასაზღვრო რაიონებში მომუშავე პირები, სულ მცირე მოსაზღვრე რაიონში, ისარგებლებენ დასაქმების იმავე პირობებით, რაც დადგენილია მათი დამსაქმებელი სახელმწიფოს მოქალაქე მშრომელებისათვის. შესაბამის ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილებების ფარგლებში, უმუშევარი მშრომელები მხედველობაში მიიღებიან სამუშაო ადგილების შექმნის ყველა სქემის შემუშავების დროს.

მუხლი 4

ყველა დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ზოგად და სპეციალურ მომზადებას და ყველა სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს სამიდიდემიით სპეციალურ პროფესიულ მომზადებას, ხელახლა მომზადებას, გადამზადებას და სხვ. ხელმისაწვდომი იქნება მოსაზღვრე რაიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობისა და მშრომელებისათვის იმავე პირობებით, რომლებიც დადგენილია არიან ადგილობრივი მოსახლეობისა და მშრომელებისათვის.

მუხლი 5

შეიქმნას სისტემა პროფესიული კვალიფიკაციისა და სასაზღვრო რაიონების დაწესებულებების მიერ გაცემული სერტიფიკატების აღიარებისათვის, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნას თანასწორი მოპყრობა იმ პირების მიმართ, რომლებიც ცხოვრობენ ერთი მხარის მოსაზღვრე რაიონში და რომლებსაც სურთ იმუშაონ ან გაიარონ შემდგომი პროფესიული მომზადება ან ისწავლონ სხვა ან ერთ-ერთ მხარეში (მხარეებში).

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი პირობები, მხარეები გადადგამენ ნაბიჯებს, რათა ხელი შეუწყონ მეზობელი მოსაზღვრე რეგიონის ენისა და კულტურის ცოდნას.

მუხლი 6

თითოეული მხარე აღიარებს სწვა მხარის უფლებამოსილებას ვასცეს სერტიფიკატები და სწვა დოკუმენტები, რომელთა იურიდიული ძალა აღიარებული იქნება.

მუხლი 7

მოსაზღვრე რაიონების ხელისუფლების კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოები დადებენ შეთანხმებას წინამდებარე სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების დებულებების ვასახლებლად.

მუხლი 8

ხელშეკრული მხარეები ვალდებულია იღებენ ხელი შეუწყონ და ვანახორციელონ თანამშრომლობა სახელმწიფო დამსაქმებელ ორგანოებს შორის, იმ მიზნით, რომ საქონლების შემთხვევაში ვააუქმობესონ დასაქმებასთან და მოსაზღვრე რაიონებში მშრომელების სამუშაო პირობებთან დაკავშირებული ინფორმაციის ვაცვლა და ერთობლივი მართვა.

ისინი ხელს შეუწყობენ ერთობლივი საინფორმაციო ცენტრების შექმნას მოსაზღვრე რაიონებში მშრომელებისათვის, რაც საშუალებას მისცემს ამ უკანასკნელთ მიიღონ დეტალური და ზუსტი ინფორმაცია მათთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

1.12 სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი

სკოლების ტრანსსასაზღვრო ან ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ

შეთანხმების ეს მოდელი იღება არა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, არამედ სახელმწიფოებს შორის. იგი იღება რა შესაბამის სამინისტროთა შორის ვამართივებული ტექნიკური შეთანხმების ფორმით, უზრუნველყოფს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა მონაწილეობას სკოლების ტრანსსასაზღვრო და ტრანსნაციონალური თანამშრომლობის სქემებში.

ასეთი შეთანხმება არ ვამორიცხავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ჩარევას თანამშრომლობის ამგვარ ფორმებში და იგი წარმოადგენს ამგვარი ჩარევის მნიშვნელოვან საფუძველს. ამ სახის შეთანხმების ძირითად მიზანს წარმოადგენს ზოგადი ფარგლების უზრუნველყოფა და ვანსაზღვრა სპეციალური ადგილობრივი შეთანხმებების დადებისათვის.

მუხლი 1

ეს შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრული მხარეების იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის არსებული თანამშრომლობის ვაფართოებას, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ვანათლების სფეროში და იმ მიზნების მიღწევაზე, რომლებიც ვანსაზღვრულნი არიან ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ვერობული კონვენციით.

მისი მიზანია ვანსაზღვროს ტერიტორიული ერთეულების და ხელისუფლების ორგანოების მონაწილეობის ფარგლები სასკოლო ვაცვლით პროგრამებში შესაბამის სახელმწიფოებს შორის.

მუხლი 2

სკოლებს შორის თანამშრომლობა, რაც წარმოადგენს ამ შეთანხმების საგანს, მიზნად ისახავს პარტნიორი სახელმწიფოს ენისა (ენებისა) და კულტურის სწავლების მხარდაჭერას და ამ საფუძველზე, პიროვნული ურთიერთობის, გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლის განვითარებას. კერძოდ, ასეთი თანამშრომლობა მიზნად ისახავს სასკოლო სისტემაში ადრეული ორენოვნების ფორმების განხორციელებას.

იგი განსაკუთრებულად იქნება მიზანმიმართული სწავლების საერთაშორისო მეთოდების შემოღებაზე.

მუხლი 3

მე-2 მუხლში განსაზღვრული ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა თანამშრომლობის სქემებში, წარმოადგენს ამ თანამშრომლობის ეფექტურობის ფაქტორს და მისი მხარდაჭერა მოხდება ხელმძღვანელი სახელმწიფოების ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა სასკოლო საქმიანობაზე.

მუხლი 4

იმ მიზნით, რომ შემუშავებული იქნას სკოლათა თანამშრომლობის ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი სისტემები, ისე, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 მუხლში, თანამშრომლობის პროექტები შეიძლება განისაზღვრონ შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის დადებული შეთანხმებით.

ეს შეთანხმებები განსაზღვრავენ:

- თანამშრომლობის ზოგად და სპეციფიკურ მიზნებს, ისევე როგორც მათი მიღწევისათვის აუცილებლად მიხნეულ მეთოდებს;
- თანამშრომლობის პროექტის განხორციელების საშუალებებს, პროექტის აღმასრულებელი ჯგუფის შემადგენლობის, აღჭურვილობისა და დაფინანსების ჩათვლით, ისევე როგორც ხელისუფლების ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ამას პროექტისათვის;
- სქემებს, რომლებიც განაპირობებს თანამშრომლობას;
- თანამშრომლობის სქემის მონიტორინგს მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ, რომელიც შედგება შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციის და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებისაგან, ისევე როგორც მშობელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლებისაგან და კვალიფიციური ფიზიკური პირებისაგან;
- წესს, რომლის მიხედვითაც მოხდება თანამშრომლობის შედეგების პერიოდული შეფასება.

მუხლი 5

ამ შეთანხმებათა საფუძველზე, შესაბამისი სკოლების ადმინისტრაციებს შეუძლიათ აიღონ ვალდებულება უზრუნველყონ შეთანხმებებით გათვალისწინებული თანამშრომლობის პროექტის და კერძოდ, ორ ენაზე სწავლების პროგრამებისა და გრაფიკების განხორციელება.

თანამშრომლობის სქემით მოთხოვნილი ზომით, შეიძლება შეთანხმდეს გამონაკლისები სტანდარტული პროგრამებისა და გრაფიკებისაგან.

მუხლი 6

სკოლათა ადმინისტრაციები უფლებამოსილი არიან შეთანხმონ მასწავლებელთა გაცვლა იმ მიზნით, რომ განხორციელდეს თანამშრომლობის სქემები. ამ მხრივ, მასწავლებლები გააგრძელებენ ანაზღაურების მიღებას თავიანთი სკოლის ადმინისტრაციისაგან, მაგრამ ისინი დაექვემდებარებიან მიმღები სკოლის ადმინისტრაციას. მე-4 მუხლში მოხსენიებული შეთანხმებები განსაზღვრავენ სპეციფიკური ხარჯების ანაზღაურების პირობებს (მგ ზაფრობა, ყოფნის ხარჯები და სხვ.).

მუხლი 7

მე-4 მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების კონტექსტში, სპეციფიკური გადასახადისაგან სწავლაზე და კერძოდ, პარტნიორი სახელმწიფოს ენის ან ენაზე სწავლისათვის, შეიძლება მოხდეს გათავისუფლება მოწვეული მასწავლებლების მიერ მათი მოქალაქეობის მიუხედავად.

ამ მასწავლებელთა დანიშვნა მოხდება განათლების სფეროში უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოს ან მე-2 მუხლში მოხსენიებული კომიტეტის მიერ. მე-4 მუხლში მოხსენიებული შეთანხმებები განსაზღვრავენ პირობებს, რომელთა მიხედვითაც მოხდება შესაბამისი ხარჯების დაფარვა.

მუხლი 8

შექმნას სკოლათა თანამშრომლობის ორმხრივი საბჭო, იმ მიზნით, რომ ზედამხედველობა გაეწიოს ამ შეთანხმების აღსრულებას. იგი შედგება ამ შეთანხმების ხელმომწერი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებისა და ხელმომწერთა მიერ არჩეული კვალიფიციური პირებისაგან. იგი შეიკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც და წარადგენს საჯარო მოხსენებას ამ შეთანხმების შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 9

საერთაშორისო სასკოლო თანამშრომლობის ღონისძიებათა განხორციელების დროს მოსწავლეთა ან მასწავლებელთა მიერ რაიმე ზარალის მიყენების შემთხვევაში, სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ზარალის მიყენება, იქნება ვალდებული აანაზღაუროს მიყენებული ზარალი, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში, მას შეუძლია მიიღოს სამართლებრივი ზომები ნებისმიერი მესამე მხარის წინააღმდეგ.

მუხლი 10

ეს შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით. იგი შეიძლება შეწყდეს ორივე მხარის მიერ შეტყობინების გავ ზაფნით შეწყვეტამდე ექვსი თვით ადრე.

1.13 სასაზღვრო მდინარეებთან მიმდებარე მიწების გამოყენების თაობაზე ტრანსსასაზღვრო ან ტერიტორიებს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მოდელი

..... [სახელმწიფოები / ხელისუფლების რეგიონალური ორგანოები / ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები]¹³ (შემდგომში ხელშემკვრელი მხარეები), რომელთაგანაც თითოეულის საზღვარს კვეთს მდინარე

აღნიშნავენ რა ევროპის საბჭოს როლსა და მიღწევებს ევროპაში ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წახალისებაში;

ითვალისწინებენ რა 1980 წლის სახელმძღვანელო ევროპულ კონვენციას ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ, 1968 წლის ევროპულ ქარტიას წყლის შესახებ და 1983 წლის ევროპულ ქარტიას რეგიონალური/გარემოს ათვისების დაგეგმვის შესახებ;

განზრახული აქვთ რა მოახდინონ მდინარე გამოყენებისა და მართვის კოორდინაცია იმ მიზნით, რომ შეამცირონ ნეგატიური შედეგები იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც კვეთს ეს მდინარე,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1 (ერთობლივი კომიტეტი)

1. ხელშეკვრელი მხარეები ქმნიან ერთობლივ კომიტეტს (შემდგომში ერთობლივი კომიტეტი), რომელიც შედგება თითოეული ხელშეკვრელი მხარის თითო წარმომადგენლისაგან და რომელიც ჩაატარებს რეგულარულ შეხვედრებს.

2. ერთობლივი კომიტეტი მისი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტს მისი ფუნქციონირებისა და ხანგრძლივობის საკითხებს, მიიღებს თავის რეგლამენტს, შეხვედრების თარიღებსა და დღის წესრიგს და მიიღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელსაც სათანადოდ მიიჩნევენ ხელშეკვრელი მხარეები.

3. ერთობლივი კომიტეტის გადაწყვეტილებები სავალდებულოა ერთობლივი კომიტეტის წევრებისათვის. მათი მიღება ხდება შეხვედრაზე დამსწრე ხელშეკვრელი მხარის წარმომადგენელთა ხმების უბრალო უმრავლესობით. თითოეულ წარმომადგენელს აქვს ერთი ხმა.

4. ერთობლივი კომიტეტი ვის-ა-ვის იქნება წარმოდგენილი მესამე მხარის წინაშე ხელშეკვრელი მხარეების მიერ ერთობლივად¹⁴.

5. თითოეული ხელშეკვრელი მხარე თავად დაფარავს მისი წარმომადგენლის მონაწილეობას ერთობლივ კომიტეტში. ერთობლივი კომიტეტის საერთო ხარჯების დაფარვა თანაბრად მოხდება ხელშეკვრელი მხარეების მიერ.

პირველი მუხლის ალტერნატივა: მუხლი 1

1. ხელშეკვრელი მხარეები ჩაატარებენ რეგულარულ შეხვედრებს (შემდგომში საკონსულტაციო შეხვედრები) ამ შეთანხმების განხორციელების და ერთმანეთისათვის კონსულტაციების გაწევის მიზნით იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან მდინარე გამოყენებას ან არგამოყენებას.

2. საკონსულტაციო შეხვედრის თარიღები, დღის წესრიგი და სხვა დაკავშირებული საკითხები გადაწყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით; თითოეულ ხელშეკვრელ მხარეს აქვს ერთი ხმა. იგივე ეხება საკონსულტაციო შეხვედრის დროს მიღებულ სხვა გადაწყვეტილებებს.

3. თითოეული ხელშეკვრელი მხარე თავად დაფარავს შეხვედრებში მისი მონაწილეობის ხარჯებს. საკონსულტაციო შეხვედრაზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული საერთო ხარჯების დაფარვა მოხდება თანაბრად მხარეთა მიერ.

მუხლი 2 (საქმიანობის სფეროები)

1. ხელშემკვერელი მხარეები რეგულარულად შეამოწმებენ მდინარე წყლის დონეს, სინქარესა და ხარისხს; ისინი რეგულარულად გააკეთებენ მდინარის, მასთან დაკავშირებული წყლებისა და მდინარის ნაპირებიდან კილომეტრის რადიუსში ტერიტორიების გეოგრაფიულ რუკებს¹⁵; ეს რუკები მიუთითებენ მიმდებარე მიწების, მდინარისა და მასთან დაკავშირებული წყლების გამოყენებას და წყლისა და მიწის მდგომარეობას.

2. ხელშემკვერელი მხარეები [ერთობლივ კომიტეტს / ერთმანეთს საკონსულტაციო შეხვედრაზე] მიაწვდიან ნებისმიერ ინფორმაციას, დაკავშირებულს მდინარე წყლის გამოყენებას და მართვასთან, კერძოდ, კი ინფორმაციას:

ა) იმ ტერიტორიათა განახლებული გეოგრაფიული რუკების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულნი არიან ამ მუხლის 1-ლ პუნქტში;

ბ) ძირითადი დაგეგმილი ან მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შესახებ (ან იმ სამუშაოების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობენ ამ შეთანხმების დადების დროს), ან მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ, რამაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს მდინარის ან მასთან დაკავშირებული წყლების დონეზე, მათ მარშრუტზე, გამოყენებაზე (კერძოდ, სანაოსნოდ გამოყენებაზე) ან წყლის ხარისხზე.

გ) ხელისუფლების ორგანოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ნებართვის შესაბამისად მათი ტერიტორიიდან მდინარეში ნივთიერებების ჩადენის და ასევე, ნივთიერებების ცნობილი, მაგრამ უნებართვო წყალში ჩადენის შესახებ;

დ) მდინარის წყლების ძირითადი განშტოებების შესახებ.

3. [ერთობლივი კომიტეტი / ხელშემკვერელი მხარეები მათ საკონსულტაციო შეხვედრებზე] მოახდენენ მდინარე..... და ამ მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული ტერიტორიების გამოყენების ან არგამოყენების პირობების ფორმულირებას, იმ ზომით, რომლითაც ამ გამოყენებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მდინარის ან მასთან დაკავშირებული წყლების დინებაზე, მათ მარშრუტზე, გამოყენებაზე (კერძოდ, სანაოსნოდ გამოყენებაზე) ან წყლის ხარისხზე. ასეთი სახელმძღვანელო პირობები სავალდებულონი არ არიან, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებულნი ხელშემკვერელი მხარეების მიერ მათი უფლებამოსილებების განხორციელებისას.

4. ფინანსური პირობების შეთანხმების შემდეგ [ერთობლივ კომიტეტს / ხელშემკვერელ მხარეებს მათ საკონსულტაციო შეხვედრებზე] ხმების ერთსულლოვნებით შეუძლია გადაწყვიტოს ჩაატაროს კვლევები ან მიიღოს პოზიტიური ზომები მდინარედინების, მისი მარშრუტის, გამოყენების (კერძოდ, სანაოსნოდ გამოყენების), წყლის ხარისხთან დაკავშირებით. თუკი ვერ მოხერხდება ფინანსური პირობების შეთანხმება ხმების ერთსულლოვნებით, ცალკეულ ხელშემკვერელ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ განახორციელონ შესაბამისი საქმიანობა.

მუხლი 3 (მუშაობის მიზნები)

ხელშემკვერელი მხარეები ეცდებიან მხარი დაუჭიროონ ამ შეთანხმების მიზნებს და კერძოდ, მიაღწიონ შემდეგ მიზნებს¹⁶:

ა) (წყალდიდობის საწინააღმდეგო ზომები)

- მდინარე და მასთან დაკავშირებული წყლების ბუნებრივი დინება არ უნდა შეიცვალოს;
- არ უნდა მოხდეს მდინარის დინების სისწრაფის პირდაპირ ან არაპირდაპირ შეცვლა;
- უნდა მოხდეს მეანდრების, მდინარის ბუნებრივი ნაპირების, მდინარის განშტოებების, დაჭაობებული ადგილებისა და წყალდიდობისაგან დამცავი ხელოვნული ჯებირების დაცვა და აღდგენა;

- უნდა მოხდეს წყლის საქაჩი დანადგარების, რაბების და წყალდიდობის რაბების დაცვა და დაყენება იქ, სადაც აუცილებელია მათი არსებობა.
- უნდა მოხდეს წვიმის წყლის მდინარეში ბუნებრივი ჩადინების მხარდაჭერა;
- მაღალმთიან რაიონებს, რომლებიც გარს აკრავენ მდინარეს ან მასთან დაკავშირებულ წყლებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ზემოხსენებული მიზნების გათვალისწინებით.

ბ) (დაბინძურების საწინააღმდეგო ზომები)

- თავიდან უნდა იქნას აცილებული ტოქსიკური ნივთიერებების ნიჩადინება მდინარე და მასთან დაკავშირებულ წყლებში, ისევე, როგორც გამოსაყენებელ წყლებში;
- თავიდან უნდა იქნას აცილებული მდინარის ან მასთან დაკავშირებული წყლების მიერ გავლილი მიწების გამოყენება და განსაკუთრებით სასოფლო საშეურნეო დანიშნულებით გამოყენება, როდესაც ამას შეუძლია ნეგატიური შედეგები ჰქონდეს მიწის ხარისხზე;
- საწიფათო ტვირთის გადატანა მდინარე შეიზღუდება და შემუშავდება სამაშველო ზომები აგარიების შემთხვევაში.

მუხლი 4 (საგანგებო ზომები)

1. ხელშემკვრელი მხარეები დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების ან ამ ცვლილებების მსგავსი მოვლენის შესახებ მდინარე დინების, მისი დონის ან წყლის ხარისხის თაობაზე, თუკი ეს ცვლილება შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს მდინარეში ან მასთან დაკავშირებულ წყლებში არსებული ცოცხალი ორგანიზმების ან მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტში მოხსენიებული რაიონების მაცხოვრებელთათვის. ამ მიზნით, თითოეული ხელშემკვრელი მხარე მიუთითებს საკონტაქტო რეკვიზიტებს ასეთი ინფორმაციის მისთვის მისაწოდებლად.
2. თუკი სახეზე იქნება ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ხელშემკვრელი მხარეები მოიწვევენ ად ჰოც შეხვედრას, იმ მიზნით, რომ გადაწყვიტონ შესაბამისი ზომების მიღების საკითხი.
3. თითოეული მხარე თავს შეიკავებს ნებისმიერი ზომის გატარებისაგან, რამაც შეიძლება გააუარესოს ცვლილების დროს მომხდარი ნეგატიური შედეგები.

მუხლი 5 (დასკვნითი დებულებები)

1. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გამოვიდეს ამ შეთანხმებიდან [ერთობლივი კომიტეტისათვის / სხვა ხელშემკვრელი მხარეებისათვის] წერილობითი შეტყობინების გავზავნის საშუალებით, მიუხედავად ნებისმიერი წინასწარი ვალდებულებისა. ახალი ხელშემკვრელი მხარეები შეიძლება მიუერთდნენ შეთანხმებას არსებული ხელშემკვრელი მხარეების თანხმობით.
2. ნებისმიერი დავა, რომელიც ეხება ან წარმოიქმნება ამ შეთანხმებიდან, მოგვარდება ხელშემკვრელი მხარეების მიერ კეთილი ვანზრახვით. მესამე მხარეთა უფლებები, მიიღონ სამართლებრივი ზომები რომელიმე ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ კომპეტენტური სასამართლოების წინაშე, არ იქნება შეზღუდული.
3. ხელშემკვრელი მხარეები აცნობებენ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ შეთანხმების შესახებ.
4. ეს შეთანხმება დადებულია [განუსაზღვრელი ვადით / წლის ვადით, იგი განახლდება შემდგომი ... წლის ვადით, თუკი არ მოხდება მისი შეწყვეტა ხელშემკვრელი მხარეების მიერ ხმათა ერთსულოვნებით მისი ვადის ვასვლამდე].

შესრულებულია, წლის თვის დღეს, ეგ ზემდობარად და ენებზე; თითოეული ტექსტი არის თანაბრად აუთენტური.

1.14 (ორმხრივი ან მრავალმხრივი) სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი იურიდიული პირის სტატუსის მქონე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფის შესახებ

მუხლი 1 - განსაზღვრებები და მიზანი

1. ამ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი – „ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა“ გაგებულნი იქნება ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის (შემდგომში სახელმძღვანელო კონვენცია) მე-2 მუხლის აზრის შესაბამისად; ტერმინი – „შეთანხმება“ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ გაგებულნი იქნება სახელმძღვანელო კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი და მე-3 მუხლების აზრის შესაბამისად;

2. ეს შეთანხმება გამოიყენება:

- ა) ხელშეკვრულ მხარე –ს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, მათი საჯარო სამართლის ჯგუფების ან ასოციაციებისა და . მიმართ.
- ბ) ხელშეკვრულ მხარე –ს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, მათი საჯარო სამართლის ჯგუფების ან ასოციაციებისა და . მიმართ.
- გ)

3. თითოეულ ხელშეკვრულ მხარეს სწავა ხელშეკვრულ მხარეებთან შეთანხმებით და მისი შიდა სამართლის შესაბამისად შეუძლია განსაზღვროს სწავა ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები ან სწავა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ შეთანხმების დებულებების გამოყენება. იგი უგზავნის ამ ინფორმაციას ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

4. ამ შეთანხმების მიზნებისათვის ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები წარმოადგენენ მე-2 და მე-3 პუნქტებში განსაზღვრულ ინსტიტუტებს.

მუხლი 2 - ჯგუფის შექმნა

1. საზღვართან მიმდებარე რაიონების (მითითებული უნდა იქნას ხელშეკვრული მხარეების მიერ), ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც შედიან ხელშეკვრული მხარის იურისდიქციაში, სახელმძღვანელო კონვენციის 1-ლი და მე-3 მუხლებით განსაზღვრული პირობების დაცვით, შექმნიან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის საჯარო სამართლებრივ ჯგუფებს იმ ფუნქციების ერთობლივად განხორციელების მიზნით, რომლებიც თითოეული ხელშეკვრული მხარის შიდა სამართლის მიხედვით შეიძლება შესრულებული იქნას ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის შექმნილი ასოციაციების ან ჯგუფების მიერ.

2. იმ ზომით, რითაც ამ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შესაბამისი სახელმწიფოს კანონები ნებას რთავენ მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ან კომერციული სამართლის მიხედვით შექმნილ ასოციაციებში ან ჯგუფებში, თავიანთი ამოცანების ერთობლივად შესრულების მიზნით მათ ასევე შეუძლიათ შექმნან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის კერძო

სამართლებრივი ჯგუფები სახელმძღვანელო კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი და მე-3 მუხლებით განსაზღვრული პირობების დაცვით.

მუხლი 3 - იურიდიული პირის სტატუსი, ქმედუნარიანობა, საჯარო და კერძო სამართლის ჯგუფისადმი გამოსაყენებელი სამართალი

1. ჯგუფის ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ხელშეშკვრელი მხარის სამართლით, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა. შეთანხმება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ, რომლითაც შეიქმნა ჯგუფი, განსაზღვრავს ჯგუფი იქნება საჯარო თუ კერძო სამართლის გაერთიანება და დაუქვემდებარებს მას იმ წესებს, რომლებიც გამოიყენებიან ხელშეშკვრელი მხარის სამართლებრივი სისტემის მიხედვით ასოციაციების ან ჯგუფების კატეგორიათა მიხედვით, რომელშიც ამ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს აქვთ მონაწილეობის მიღების უფლება.

2. ჯგუფს აქვს იურიდიული პირის სტატუსი. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ჯგუფის დამფუძნებელი შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, თითოეული ხელშეშკვრელი მხარე მისი შიდა სამართლის შესაბამისად აღიარებს საჯარო ან კერძო სამართლის ჯგუფის იურიდიული პირის სტატუსს იმ წილით, რითაც ეს მოითხოვება ჯგუფის ამოცანების შესრულებისა და მიზნების რეალიზებისათვის.

მუხლი 4 - მომგებიანი საქმიანობის აკრძალვა

ჯგუფი არ შეიძლება ეწეოდეს მომგებიან საქმიანობას. მისი წევრების უფლებები არ შეიძლება წარმოდგენილი იქნას ფასიანი ქაღალდებით.

მუხლი 5 - ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების მიერთება არსებული ჯგუფებისადმი

საზღვრისპირა რაიონებში ერთი ან მეტი ხელშეშკვრელი მხარის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სწავა ხელშეშკვრელი მხარის შიდა სამართლის მიხედვით შექმნილ საჯარო ან კერძო სამართლის ჯგუფებში.

მუხლი 6 - ჯგუფში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და მათზე ზედამხედველობა

ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებითაც ხდება ჯგუფის შექმნაში მონაწილეობის მიღება ან ჯგუფისადმი მიერთება, ექვემდებარება იმავე პროცედურებსა და ზედამხედველობას, რომელიც გამოიყენება თითოეული ხელშეშკვრელი მხარის სამართლით ხსენებული ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების აქტებისა და გადაწყვეტილებების მიხედვით.

მუხლი 7 - საჯარო სამართლის ჯგუფში კერძო სამართლის პირების მონაწილეობა

კერძო სამართლის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შეუძლიათ ითანამშრომლონ საჯარო სამართლის ჯგუფის შექმნასა და მიუერთდნენ მას იმ პირობით, რომ ეს ნებადართული უნდა იყოს იმ მხარის შიდა სამართლით, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა.¹

მუხლი 8 - ჯგუფის წესდება

1. ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც თანამშრომლობენ ჯგუფის შექმნისას, იღებენ ჯგუფის წესდებას. წესდება წარმოადგენს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შემადგენელ ნაწილს.

2. ჯგუფის წესდება შედგენილი უნდა იყოს თითოეული ხელშეკრული მხარის შიდა სამართლით განსაზღვრულ ენაზე ან ენებზე, რომლებიც გამოიყენებიან ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების აქტებისა და გადაწყვეტილებების მიმართ.

მუხლი 9 - ჯგუფის წესდების შინაარსი

ჯგუფის წესდება უნდა შეიცავდეს დებულებებს შემდეგ საკითხებზე:

- ჯგუფის სახელწოდება, მისი შტაბ-ბინის ადგილსამყოფელი და ჯგუფის მიერ მოცული გეოგრაფიული არეალი;
- მისი მიზნები, ფუნქციები, კომპეტენციები და უფლებამოსილებები;
- კანონი, რომლითაც ხდება ჯგუფის საქმიანობის რეგულირება;
- მისი საწესდებო ორგანოების შემადგენლობა და უფლებამოსილებები, ჯგუფში გაწევრიანებული ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების ჯგუფში წარმომადგენლობა; გზები, რომლითაც ხდება წარმომადგენლების დანიშვნა საწესდებო ორგანოებში;
- შესვედრათა მოწვევის პროცედურები, მათი საჯარო თუ არა-საჯარო ხასიათი;
- კვორუმი, გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა და გადაწყვეტილების მიღებისათვის ხმათა უმრავლესობის განსაზღვრა;
- შესვედრათა ოქმების ენა და ფორმა;
- ჯგუფის იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებთან ან ხელისუფლების ადგილობრივ ურთიერთობა, რომლებიც მონაწილეობენ მასში, კერძოდ, მათი სახელით შესრულებულ ამოცანებზე პასუხისმგებლობა;
- ჯგუფის საქმიანობის პროცედურები და კერძოდ, ჯგუფის აპარატის მართვა;
- ჯგუფის საქმიანობის დაფინანსება;
- ჯგუფის მიმართ გამოსაყენებელი საბიუჯეტო და საბუღალტრო წესები;
- წესდების შეცვლის და კერძოდ, ახალი წევრების მიღებისა და ჯგუფიდან გამოსვლის პირობები;
- ჯგუფის ხანგრძლივობა, მისი დაშლა ან ლიკვიდაცია.

მუხლი 10 - ჯგუფის საწესდებო ორგანოები

1. ჯგუფის საწესდებო ორგანოებია საერთო კრება, საბჭო და თავმჯდომარე. წესდებამ შეიძლება გაითვალისწინოს სხვა საწესდებო ორგანოები იმ სახელმწიფოს შიდა სამართლის დაცვით, რომელიც გამოიყენება თანამშრომლობის ორგანოს შექმნისას.

2. საერთო კრება არის ჯგუფის მთავარი საწესდებო ორგანო. იგი წევრი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოებისათვის უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას რეგულარული ინტერვალებით.

3. ჯგუფის თითოეულ წევრ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულს ან ხელისუფლების ორგანოს უნდა ჰქონდეს ერთი ხმა მაინც საერთო კრებაზე. ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების დანიშვნა საერთო კრებაზე და მათი უფლებამოსილებები განისაზღვრება იმ მხარის შიდა სამართლით, რომელსაც მიეკუთვნებიან შესაბამისი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები. ეს

წარმომადგენლები რეგულარულად მოახსენებენ მათ დაძინშნავ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს მათ მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელების შესახებ.

4. საბჭო ამზადებს და განახორციელებს საერთო კრების გადაწყვეტილებებს.

5. თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საერთო კრების ან კოლეგიის მუშაობას; იგი წარმოადგენს ჯგუფს სასამართლო და არასასამართლო ხასიათის საქმეებში.

მუხლი 11 - ჯგუფის კომპეტენცია და უფლებამოსილებები

1. ჯგუფი უფლებამოსილი არ არის გამოსცეს ზოგადი გამოყენების სამართლებრივი ნორმები (რეგულაციები); მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ფიზიკური პირების უფლებებსა და თავისუფლებებზე (საპოლიციო უფლებამოსილებები) ან გაზარდონ გადასახადები.

2. ჯგუფს არ შეიძლება მიენიჭოს კომპეტენცია, რომელსაც ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ, როგორც სახელმწიფო ორგანოები, ან რომელთა დელეგირება მოხდა მათ სასარგებლოდ სახელმწიფოების მიერ (გადაცემული უფლებამოსილებანი).

(სათანადო შემთხვევაში:

3. შეთანხმება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ შეიძლება, კერძოდ, პირობად აყენებდეს, რომ საჯარო ან კერძო სამართლის ჯგუფს შეეძლოს ამოცანების შესრულება იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის ან ხელისუფლების ორგანოს სახელითა და დაჯვალებით, რომელიც მიეკუთვნება ხელშეკვრულ მხარეს, რომლის შიდა სამართალიც არ გამოიყენება ჯგუფის მიმართ. ამ შემთხვევებში ჯგუფისათვის ამოცანების დელეგირება ექვემდებარება ორი შესაბამისი მხარის შიდა სამართლით განსაზღვრულ დებულებებსა და პროცედურებს.

4. ჯგუფის მიერ დადებული საჯარო ყიდავა-გაყიდვის ხელშეკრულებები ექვემდებარება იმ მხარის შიდა სამართალს, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა. ამასთან, სარეკლამო პროცედურების, ტენდერის გამართვისა და ფირმების შერჩევის დროს, ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ამგვარი ოპერაციების დაფინანსებაში, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში პირდაპირ მიუთითებენ თავიანთი შიდა სამართლით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებზე ოპერაციის ბუნებისა და ღირებულების გათვალისწინებით. ხელშეკრულებისადმი გამოსაყენებელი კანონისათვის ზიანის მიყენების ვარაუდი, ისინი მიიღებენ ზომებს, რომლებიც საშუალებას მისცემენ თითოეულ მათგანს პატივი სცეს მის ვალდებულებებს, რომლებიც დადგენილნი არიან იმ ხელშეკვრული მხარის შიდა სამართლით, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან.

5. ჯგუფში გაწევრიანებულმა ადმინისტრაციულ ტერიტორიულმა ერთეულებმა ან ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები ჯგუფის გადაწყვეტილებების განხორციელების ან აღსრულებისათვის მათი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ იმ ხელშეკვრული მხარის შიდა სამართლით, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან.

მუხლი 12 ჯგუფის დაფინანსება და მასზე ზედამხედველობა

სახელმძღვანელო კონვენციის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2-ც და მე-2-დ პუნქტები და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი გამოიყენებიან ამ შეთანხმების შესაბამისად შექმნილი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფების მიმართ.

მუხლი 13 - ჯგუფის აპარატი

1. ჯგუფის მიერ პირდაპირ დაქირავებული აპარატის შრომის ანაზღაურება ხდება ჯგუფის ბიუჯეტიდან.
2. ასეთი აპარატი ექვემდებარება იმ ხელშეკვრელი მხარის სამართალს, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა.

მუხლი 14 - ჯგუფის დაშლა და ლიკვიდაცია

1. ჯგუფის დაშლა ხდება იმთო ფაქტო, მაშინ, როდესაც ვადა, რომლის ხანგრძლივობითაც მოხდა ჯგუფის შექმნა, ამოიწურება, ან შეწყდება ის საქმიანობა, რომლის განხორციელებასაც მიზნად ისახავდა ჯგუფი. ჯგუფი ასევე შეიძლება დაიშალოს მისი წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.
2. ჯგუფის ლიკვიდაციის პირობებით დაცული იქნება მესამე მხარეთა უფლებები.

მუხლი 15 - ჯგუფის ბათილობა

შეთანხმებები ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ, რომლებითაც ხდება ჯგუფების შექმნა და მათი წესდების ჩამოყალიბება, იქნება ბათილი და არაქმდითი, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან ამ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების დებულებებს. ისინი გამოცნადდებიან ბათილად შესაბამისი მხარის შიდა სამართლის შესაბამისად, ხოლო სხვა მხარეებს ეცნობებათ ამის შესახებ.

მუხლი 16 - დაგები

1. ჯგუფს ან მის ერთ ან მეტ წევრს შორის ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დავის არსებობის შემთხვევაში, დავის განხილვის განხჯადობა განისაზღვრება იმ ხელშეკვრელი მხარის შიდა სამართლით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხის შტაბ-ბინა.
2. თუ ჯგუფში გაწევრიანებულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებზე ან ხელისუფლების ორგანოებზე დაკისრებული ამოცანები დელეგირებული არიან ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ, მესამე მხარეები ხსენებული ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების წინაშე ვის-ა-ვის ინარჩუნებენ ყველა უფლებას სასამართლო ზომების მიღების ჩათვლით, რომელიც მათ ექნებოდათ იმ შემთხვევაში, თუ თავად ამ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების მოვალეობა იქნებოდა ამ ამოცანების შესრულება.
3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშეება საჯარო ან კერძო სამართლის ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, გადაეცემა სასამართლოებს, რომლებსაც გააჩნიათ იურისდიქცია თითოეული ხელშეკვრელი მხარის შიდა სამართლით ან საერთაშორისო შეთანხმებით.

დასკვნითი მუხლი

ამ შეთანხმების დებულებები უნევენ თითოეული ხელშეკვრელი მხარის შიდა სამართლიდან მხოლოდ იმ ზომით, რითაც ისინი შეუსაბამონი არ არიან ამ სამართალიდან.

დამატება განმარტებითი შენიშვნა, რომელიც ენება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებისა და წესდების მოდელებს იურიდიული პირის სტატუსის მქონე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფის შესახებ.

I. ზოგადი მოსაზრებები

1. ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ 1980 წლის 21 მაისის სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით გათვალისწინებულია (აღვილობრივი) ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს შექმნა. ამ ორგანოს შეიძლება ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი და იყოს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რაც დამოკიდებულია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე.

როგი სიძნელებისა წარმოიქმნა ასეთი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს წესდების მოდელის შემუშავებისას. პირველი სიძნელე იყო საერთაშორისო სამართალში სტატუტების კატეგორიის შესაძლო გაფართოება (პუნქტი N2); მეორე სიძნელე იყო საკითხი, შესაბამისი ორგანო უნდა ყოფილიყო საჯარო თუ კერძო სამართლის ტიპის ორგანიზაცია (პუნქტი N3). მესამე პრობლემა იყო იმის გადაწყვეტა, აუცილებელი იყო თუ არა წესდებათა პროექტის მომზადება, რომლებიც ასევე უნდა მისადაგებდნენ იურიდიული პირის სტატუსის არ მქონე ორგანოებს (პუნქტი N4). მეოთხე საკითხი ენებოდა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს შექმნის სამართლებრივ საკითხებს (პუნქტი N5). მეხუთე სიძნელე იყო იმის გადაწყვეტა, უნდა გამოიყენებოდეს თუ არა შიდა სამართლებრივი ნორმები (პუნქტი N6). და ბოლოს, მიღებული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილება გარკვეულ მნიშვნელოვან დებულებებზე, რომლებიც ენებიან ორგანოს ორგანიზაციას, უფლებამოსილებებსა და საქმიანობას (პუნქტი N6).

2. **საერთაშორისო და შიდა სამართლის როლი სტატუტების მიმართ.** სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ იძლევა ადეკვატურ საფუძვლებს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს წესდების მოდელისათვის. აუცილებელი იყო, რომ წესდებები დაყრდნობდნენ ერთ ან მეტ ეროვნულ კანონმდებლობას ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორც არის ორგანოს ცალკეული უფლებები საჯარო სამართლის მიხედვით, მისი აპარატის სამუშაო და საბუნსო რეგულაციები და ორგანოსა და მისი აპარატის მიმართ გამოსაყენებელი სავადასახადო წესები. ორგანოს იურიდიული პირის სტატუსის, გადაწყვეტილებებისა და ზედამხედველობის განსაზღვრის მიზნით, ფაქტიურად, თავად ოქმი პირდაპირ მიუთითებს ერთ ან მეტ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაზე, სადაც დაფუძნებულია ორგანო, ისევე, როგორც ყველა შესაბამისი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაზე.

იმის აღიარებით, რომ ეროვნული კანონების გამოყენება არ შეიძლებოდა მოლიანად ყოფილიყო განხორციელებული, საკითხი, რომელიც წამოიჭრა იყო ის, შეიძლებოდა თუ არა ორგანოს წესდების შემუშავება ერთი ან მეტი შიდა სამართლებრივი სისტემის გამოყენებით ან პირიქით, დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი შევსებული უნდა ყოფილიყო თუ არა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელით (სახელმძღვანელო კონვენციისადმი თანდართული 1.5 სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელზე დაყრდნობით), რომელიც მოაწესრიგებდა ერთი ან მეტი მხარის შიდა კანონმდებლობის გამოყენების ფარგლებს (გამოყენება პრინციპზე ან შიდა კანონმდებლობის დამხმარე გამოყენება).

არჩეული იქნა მეორე ალტერნატივა. მომზადდა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი (ინილიეთ ნაწილი II). მან წევრი სახელმწიფოები უზრუნველყო სახელმძღვანელო ინსტრუმენტით, რომელიც იძლევა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფის შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს, ადგენს რა მათი სამართლებრივი სისტემების ძირითად პრინციპებს და სხვაგვარად ეყრდნობა რა ეროვნულ კანონმდებლობას. ამ გზით, შეთანხმების პროექტი ავსებს დამატებით ოქმს მასთან შეუსაბამობის თავიდან აცილებით (ინილიეთ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების პროექტის დასკვნითი მუხლები). იგი განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების ფარგლებს, რომლებიც შემუშავებული იქნა სახელმძღვანელო წესდება (ინილიეთ ნაწილი III).

3. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს საჯარო ან კერძო სამართლებრივი სტატუსი. ასეთი სტატუსი შეიძლება დადგინდეს თითოეული შესაბამისი სახელმწიფოს შიდა სამართლით ნებადართული ასოციაციებისა ან ფონდების კატეგორიების შედარებით. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს წესდებს არ შეუძლია მიანიჭოს სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებანი ან საჯარო იურიდიული პირის სტატუსი ორგანოს, თუ არ იყენებს შეთანხმების ან ერთგული კანონის მიხედვით მიხედვით შექმნილი საჯარო სამართლის ორგანოს ფორმას.

მიიჩნევა, რომ საჯარო სამართლის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს უპირატესობაა ის, რომ მისით უზრუნველყოფილია სტრუქტურების მქონე ორგანიზაციის არსებობა და უფრო ეფექტური სახელმწიფო სამსახური ძლიერი დემოკრატიული კონტროლით.

საჯარო სამართლის ორგანოს მიმართ გამოყენებული წესების შედარებისას იმ წესებთან, რომლებიც გამოიყენებიან კერძო სამართლის ორგანოს მიმართ, აღინიშნა, რომ სამართლებრივ რეგულაციებში განსხვავებები ეხებოდნენ მხოლოდ ორგანოს შექმნის პირობებს, კერძო სამართლის იურიდიული პირების მონაწილეობას საჯარო სამართლის ორგანოში (მუხლი 7) და საჯარო კონტრაქტების დადებას (მუხლი 11, პუნქტი 4). ამიტომ შემუშავდა ერთი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი, რომელიც მოიცავს შიდა სამართლებრივი სისტემის მიხედვით შექმნილ იურიდიული პირის სტატუსის მქონე ყველა ტრანსსასაზღვრო ორგანოს საჯაროს და კერძოს.

4. იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ერთობლივი ორგანოები. უნდა მოხდეს თუ არა მოქმედი ერთობლივი და საკოორდინაციო ჯგუფების არსებობის ფორმალიზება სპეციფიკური ნორმებისადმი მათი დაქვემდებარების საშუალებით? ასეთი ჯგუფები შეიძლება უკვე შექმნილი არიან მთლიანად არაფორმალურ საფუძველზე, რის გამოც, გადაწყდა, რომ დეტალიზებული რეგულაციები ამას კიდევ უფრო გაართულებდნენ და არცერთ შემთხვევაში ვერ დაეხმარებოდნენ მიზნის მიღწევას, რადგან რთული იქნებოდა შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება და დარღვევათა დასჯა. ამიტომ, გადაწყდა არ შემუშავებულიყო რაიმე წესდების მოდელი ასეთი ორგანოებისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული პირობები შეიძლება დაწესებული იქნას იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანოს შექმნაზე, რისი მოკლედ გადმოცემაც შეიძლება შემდგენიარად:

1. საზღვრისპირა რაიონებში ხელშეკვრელი მხარის იურისდიქციაში შემავალ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს სახელმძღვანელო კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლ და მე-3 მუხლებში განსაზღვრული პირობების დაცვით, შეუძლიათ შექმნან ერთობლივი იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოები ინფორმაციის გაცვლის, საერთო ინტერესებში შემავალი საკითხების შესწავლის, მათი წევრი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობის თაობაზე წინადადებების გაკეთების და მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად მისაღებ ზომებზე შეთანხმების მიღწევის მიზნით.

2. შეთანხმება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ, რომლითაც იქმნება იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ერთობლივი ორგანო, უნდა შეიცავდეს დებულებებს:

- იმ სფეროების შესახებ, რომელშიც უნდა იმოქმედოს ორგანომ;
- ორგანოს შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ;
- ორგანოს არსებობის ხანგრძლივობის შესახებ;
- ორგანოს დაფინანსებისა და მასზე ზედამხედველობის შესახებ;
- ერთ-ერთი ხელშეკვრელი მხარის შიდა სამართლის შესახებ, რომელსაც ექვემდებარება ორგანო.

3. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ერთობლივ ორგანოებს არ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც სავალდებულონი იქნებიან მათი წევრებისა და მესამე მხარეებისათვის, თუ წევრმა ადმინისტრაციულ ტერიტორიულმა ერთეულებმა ან ხელისუფლების ორგანოებმა არ მისცეს ამის უფლებამოსილება ორგანოს. ამ შემთხვევაში მესამე მხარეები ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების წინაშე ინარჩუნებენ ყველა უფლებას სამართლებრივი ზომების გამოყენების ჩათვლით, რომელიც მათთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებები მიღებულნი იქნებოდნენ თავად ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების მიერ.

ამ მუხლის რედაქცია ეფუძნება 1996 წლის 23 იანვარს კარლსრუეში დადებული შეთანხმების მე-9 მუხლს და 1995 წლის 10 მარტს ბაიონში ხელმოწერილ საფრანგეთ-ესპანეთის შეთანხმების მე-7 მუხლს, რომლებიც ითვალისწინებენ შესაძლებლობას, რომ ერთობლივი ორგანოს სასარგებლოდ დელეგირებული იყოს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც სავალდებულონი იქნებიან მისი წევრებისა და მესამე პირებისათვის. იხილეთ პუნქტი 10 ქვემოთ.

5. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს შექმნის სამართლებრივი პროცედურები. რამდენიმე დასავლეთ ევროპული ქვეყანა, სურთ რა გააძლიერონ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი სამართლებრივი ფუნქციები ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებით, რომლებიც ხელს უწყობენ კონვენციის იმპლემენტაციას, კერძოდ, საშუალებას აძლევს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს მიუერთდნენ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის საზოგადოებებს, ასოციაციებს ჯგუფებს ან ფედერაციებს. ეს შეთანხმებები ზოგადად ადგენენ, რომ შეთანხმება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი და მე-3 მუხლების შესაბამისად, უნდა დაიდოს ადგილობრივი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს შექმნამდე.

ეს არის მეთოდი, რომლის გამოყენებაც არ არის განზრახული მხოლოდ ტრანსსასაზღვრო ორგანოს შესაქმნელად დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, არამედ ასევე მისი წესდების შესაძუშავებლადაც. წესდება, ამასთან, უნდა იყოს ორგანოს შექმნელი შეთანხმების ნაწილი. ამდენად, იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანოების შექმნის პროცედურებს მივყავართ სამი განსხვავებული ჰიპოთეზის იდენტიფიკაციამდე, რომლებსაც ჩვეულებრივ მოიცავენ ასეთი საერთაშორისო შეთანხმებები.

პირველი ჰიპოთეზაა უცხოეთის ქვეყნების ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოებისათვის საშუალების მიცემა მონაწილეობა მიიღონ იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანოს შექმნაში შესაბამის ეროვნულ სისტემაში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს შესაბამისი კანონმდებლობით პირდაპირ არის თუ არა უზრუნველყოფილი უცხოეთის ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა.

მეორე ფორმულა, ე.წ. ფრანგულ-გერმანული, საშუალებას იძლევა, რომ ადმინისტრაციულ ტერიტორიულმა ერთეულებმა ან ხელისუფლების ორგანოებმა სხვადასხვა სახელმწიფოებთან ერთად შექმნან ტრანსსასაზღვრო ჯგუფი იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი უნდა შედიოდეს ერთ-ერთ ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში არსებულ კატეგორიაში. შესაბამისი სამართლებრივი სისტემა ამ შემთხვევაში იქნება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ფუძნდება ორგანო (იხილეთ პუნქტი 6 ქვემოთ). მესამე ჰიპოთეზა მოიცავს საჯარო სამართლის ტრანსსასაზღვრო ორგანოების შექმნას. იგი საშუალებას იძლევა, რომ შეიქმნას საჯარო ტრანსსასაზღვრო ორგანოები იმ ამოცანების ერთობლივად შესრულების მიზნით, რომლებიც თითოეული შესაბამისი სახელმწიფოს შიდა სამართლის მინდვით შეიძლება შესრულებული იქნას ერთი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოებისაგან შემდგარი ჯგუფების მიერ. ამ შემთხვევაში,

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საჯარო სამართლის ორგანოების ეროვნული კატეგორიები, რომელთა ანალოგიური ორგანოები მოიძებნებიან სხვა შესაბამისი სახელმწიფოების შიდა სამართალში. სამივე ჰიპოთეზა შესაბამისობაშია დამატებითი ოქმის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებთან.

არჩეული იქნა მე-2 და მე-3 ჰიპოთეზის კომბინაცია. ეს არჩევანი მოცემულია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის მე-2 მუხლში (იხილეთ ნაწილი II).

6. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოებისადმი გამოსაყენებელი სამართალი. სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლში განსაზღვრული სისტემით, ისევე როგორც, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების უმრავლესობაში დასავლეთ ევროპაში, სამართლებრივი სისტემა, რომელიც გამოიყენება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს მიმართ, არის ის შიდა სამართლებრივი სისტემა, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბბინა, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულნი არიან ზემოხსენებულ საერთაშორისო შეთანხმებებში.

მეორეს მხრივ, დამატებითი ოქმის მე-5 მუხლში მოხსენიებულ სისტემაში, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს წესდება შესაბამისობაში უნდა იყოს ყველა იმ სახელმწიფოს შიდა სამართალთან, რომელსაც მიეკუთვნებიან ორგანოს დამფუძნებელი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები. ამდენად, ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს აქვთ ისეთივე ძალა თითოეული სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, როგორც მათ ექნებოდათ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მიღებული იქნებოდნენ დამფუძნებელი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების მიერ.

პრინციპი, რომ ორგანოს წესდება არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში ნებისმიერი სახელმწიფოს შიდა სამართალთან, გულისხმობს, რომ ეს წესდებები წარმოადგენენ ამ სახელმწიფოთა სამართლის მოთხოვნების უდიდეს საერთო აღმნიშვნელს; როდესაც შიდა სამართალით დაწესებული მოთხოვნები სხვადასხვა სიმკაცრისანი არიან, საჭირო არის გამოიყენებულ იქნას ყველაზე მკაცრი სამართლებრივი სისტემა იმ მიზნით, რომ არ იქნას დარღვეული შესაბამისი სახელმწიფოებში ძალაში მყოფი ნორმები.

ეს მიდგომა, რომლის მხარდაჭერაც ხდება ბენილუქსის 1986 წლის 16 სექტემბრის კონვენციით, ენება მხოლოდ საჯარო სამართლის ორგანოებს. უფრო მეტიც, იგი გამოიყენება მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ ერთგვაროვანი საკანონმდებლო დებულებები ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების ასოციაციების ან ჯგუფების წესდებების მიმართ.

ამ ორი მიზეზით სასურველი იყო დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სისტემის შენარჩუნება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის პროექტში (იხილეთ ნაწილი II). იმ სახელმწიფოს კანონი, სადაც მდებარეობს ორგანოს შტაბ-ბინა, განსაზღვრავს არა მხოლოდ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს მიმართ გამოსაყენებელ წესებს, მის იურიდიულ სტატუსს, გადაწყვეტილებებსა და მასზე ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე ორგანოს, არამედ იმ წესებსაც, რომლებიც უნდა იქნან გამოყენებულნი ხსენებული ორგანოს მიერ ამ ზედამხედველობის განხორციელებისას, საგადასახადო და სოციალურ რეგულაციებს, რომლებიც მოიცავენ ორგანოსა და აპარატს, წესებს საჯარო ხელშეკრულებების შესახებ და სხვ.

7. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს სამართლებრივი ფორმა. თუ იმ სახელმწიფოს კანონი, სადაც მდებარეობს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს შტაბ-ბინა, გამოიყენება ხსენებული ორგანოს მიმართ, იგი ასევე უნდა გამოიყენებოდეს იმ კატეგორიის უმრავლესობის მიმართ, რომელსაც მიეკუთვნება ჯგუფი. მას შეიძლება ჰქონდეს ასოციაციის ან ფონდის სტატუსი და გააჩნდეს, მაგალითად, კერძო არამომგებიანი ასოციაციის, საჯარო სამართლის ასოციაციის, საზოგადოებრივი დაწესებულების, საქალაქოშორისო სინდიკატის, კომერციული საზოგადოების,

კონსორციუმის, ცეკევერბანდის ან თვენბაარ ლინაპის ფორმა. იმის გამო, რომ ასეთი ორგანო მოიცავს რამდენიმე ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულს ან ხელისუფლების ორგანოს, სახელწოდება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფი ამჯობინეს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს. შესაბამისად, შემთავაზებული იქნა ახალი იურიდიული პირის შემდგვი სახელწოდება: საზღვართშორისი თანამშრომლობის ჯგუფი. ეს სახელწოდება მიღებული იქნა სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელში (იხილეთ ნაწილი II) და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს წესდებაში (იხილეთ ნაწილი III) სახელმძღვანელო კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის აზრის შესაბამისად.

8. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოზე დამოკიდებული წესები. აუცილებელი იყო არჩევანის გაკეთება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფის (შემდგომში ჯგუფი) წესდების რამდენიმე ფუნდამენტური დებულების შესახებ:

- ა) ჯგუფი უნდა იყოს არამომგებიანი სუბიექტი;
- ბ) კერძო სამართლის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიუერთდნენ საჯარო სამართლის ჯგუფს, იმ პირობით, რომ ეს წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს იმ მხარის სამართალთან, სადაც მდებარეობს ორგანოს შტაბ-ბინა.
- გ) ჯგუფის მთავარი ორგანოებია საერთო კრება, საბჭო და თავმჯდომარე.
- დ) შესაძლებელია, რომ ჯგუფს გადაეცეს უფლებამოსილებანი, რომელთა განხორციელებაც მოხდება ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების მიერ იმ სახელმწიფოების სახელით, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან ან ამ სახელმწიფოების მიერ მათთვის დელეგირებული უფლებამოსილებებით.
- ე) ჯგუფს არ შეიძლება ჰქონდეს სარეგულაციო, საპოლიციო ან საგადასახადო უფლებამოსილებები.
- ვ) ჯგუფსა და მის ნებისმიერ წევრს შორის დაფა განიხილება სასამართლოების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმ სახელმწიფოს შიდა სამართლის გამოყენებაზე, რომელშიც დაფუძნებულია მოპასუხე სუბიექტი; ყველა სხვა დაფა გადაეცემა სასამართლოებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ნებისმიერი ხელშეკრული მხარის შიდა სამართლით ან საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით.
- ზ) ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების მიერ იმ ჯგუფისათვის სპეციფიკური ამოცანების დელეგირება, რომლის წევრებიც ისინი არიან, ექვემდებარება წესებს, რომლებიც გამოიყენებიან ყველა სახელმწიფოში, რომლებსაც მიეკუთვნებიან ეს ორგანოები. დავის შემთხვევაში, მესამე პირები ინარჩუნებენ ყველა უფლებასა და სამართლებრივი ზომების მიღების შესაძლებლობას ჯგუფის წევრების წინააღმდეგ, რაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მათთვის იმ შემთხვევაში, თუ თავად ჯგუფის წევრების მოვალეობა იქნებოდა ამ ამოცანების შესრულება.
- თ) საჯარო სამართლის ჯგუფებს შეუძლიათ დადონ საჯარო სამართლის ხელშეკრულებები იმ სახელმწიფოს შიდა სამართლის შესაბამისად, სადაც მდებარეობს მათი შტაბ-ბინა.
- ი) ჯგუფმა უნდა მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტი მისი ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის შესადგენად.

9. ტერმინოლოგია. სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებაში და წესდებაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამებიან სახელმძღვანელო ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის ტერმინოლოგიას.

10. წყაროები. სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი ძირითადად ეყრდნობა შემდეგ საერთაშორისო შეთანხმებებს:

- ბენილუქსის 1986 წლის 12 სექტემბრის კონვენცია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის;
- გერმანიისა და ნიდერლანდების შეთანხმება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის, რომელიც ხელმოწერილი იქნა ისელებურგ-ანჰოლტში 1991 წლის 23 მაისს;

- ბეიონის 1995 წლის 10 მარტის ფრანგულ-ესპანური ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ;
- კარლსრუხს 1996 წლის 23 იანვრის ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ადგილობრივ საჯარო ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ. წესდების მოდელის შემუშავებისას ავტორები ხელმძღვანელობდნენ შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რეგულაციებით, სტატუტებით და მოდელებით:
 - ბერნის 1949 წლის 4 ივლისის ბასლე-მულჰაუზის აეროპორტის მშენებლობისა და მუშაობის შესახებ ფრანგულ-შვეიცარული შეთანხმებისადმი თანდართული წესდება;
 - 1985 წლის 25 ივლისის (ჩ) რეგულაცია ნომერი 2 157/85 ევროპის ეკონომიკური ინტერესების ჯგუფის შექმნის შესახებ;
 - კარლსრუხს 1996 წლის 23 იანვრის შეთანხმება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს შორის;
 - საფრანგეთის 1993 წლის 27 მარტის 93-571 დეკრეტი რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობის შესახებ 1992 წლის 6 თებერვლის 92-125 სახელმძღვანელო აქტის 133-ე ნაწილის მიხედვით შექმნილი საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფის შესახებ;
 - საფრანგეთის 1995 წლის 95-635 დეკრეტი ბუნების დაცვის სფეროში საქმიანობისათვის შექმნილი სახელმწიფო ინტერესთა ჯგუფის შესახებ;
 - ტრანსსასაზღვრო საჯარო ორგანოების წესდების მოდელი, შემუშავებული ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ბენილუქსის 1986 წლის 12 სექტემბრის ბრიუსელის კონვენციის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით;
 - საფრანგეთის 1994 წლის 16 ივნისის ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ინტერესთა ჯგუფის შესახებ მინისტრთა რეზოლუციისათვის თანდართული შეთანხმების მოდელი, რომლითაც იქმნება სახელმწიფო ინტერესთა ჯგუფი რეგიონებს შორის და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისათვის;
 - ერთობლივი რეგულაციები რაინ-ვაალ ეურეგიონზე.

II. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს წესდების პროექტი. წესდების მოდელს აქვს კლასიკური სტრუქტურა. **I** ნაწილი (მუხლები 1-11) მოიცავს დაფუძნებას, მიზნებს, ხანგრძლივობას და ჯგუფის ტერიტორიას. იგი ასევე ეხება წევრების უფლებებსა და ვალდებულებებს, ახალი წევრების მიღებას, ჯგუფიდან გამოსვლას და გარიცხვას. **II** ნაწილი (მუხლები 12-17) ჩამოთვლის ჯგუფის სახსრებს: წევრების შესატანთა ოდენობას ჯგუფის დაფინანსებისათვის, დაფინანსების სხვა წყაროებს, შეღავათებს, აღჭურვილობასა და პერსონალს. **III** ნაწილი (მუხლები 18-33) ეხება ჯგუფის ორგანიზაციასა და მართვას. იგი მოიცავს საერთო კრების შემადგენლობას, უფლებამოსილებებსა და მუშაობის მეთოდებს, საბჭოს და სამუშაო ჯგუფებს. იგი ადგენს ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესებს. **IV** ნაწილი (მუხლები 34-38) ეხება ფინანსებს. **V** ნაწილი (მუხლები 39-40) ეხება ჯგუფის ხანგრძლივობის გავრძელებას, მის დაშლასა და ლიკვიდაციას. **VI** ნაწილი (მუხლები 41-47) შეიცავს სხვადასხვა დებულებებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა საწესდებო ორგანოებისა და მონელებთა პასუხისმგებლობა, რეგლამენტი, წესდების შეცვლის წესი და წესდების ძალაში შესვლა.

II. კომენტარები სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის მუხლებზე

მუხლი 1

მე-2 პუნქტმა უნდა ჩამოთვალოს ის ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლებების ორგანოები, რომელთა მიმართაც სახელმწიფოები აპირებენ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის გამოყენებას. მე-3 პუნქტით შეთანხმება შეიძლება გავრცელდეს ახალშექმნილ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებზე ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე, ისევე, როგორც საჯარო სამართლის სხვა სუბიექტებზეც.

მუხლი 2

სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის მე-2 მუხლი ერთმანეთს ადარებს საჯარო სამართლის ჯგუფის შექმნის წესებს კერძო სამართლის ჯგუფის შექმნის წესებთან. პირველი ტიპის ჯგუფი უნდა შეიქმნას სასაზღვრო რაიონებში იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც თითოეული ქვეყნის შიდა სამართლის მიხედვით შეიძლება შესრულებული იქნას ადგილობრივი საჯარო დაწესებულებების საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ. მეორე ტიპის ჯგუფს საშუალება უნდა მიეცეს მონაწილეობა მიიღოს მისი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში სამოქალაქო და კომერციული სამართლის მიხედვით შექმნილ ასოციაციებში ან ჯგუფებში. ორივე შემთხვევაში, ორგანოს შექმნა მოითხოვს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებას.

მუხლი 3

ჯგუფის მიმართ გამოიყენება იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა. სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ფარგლებში გამოიყენებიან ის რეგულაციები, რომლებიც აწესრიგებენ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოებისაგან შემდგარი საჯარო სამართლის ჯგუფების საქმიანობას, ან ის რეგულაციები, რომლებიც აწესრიგებენ იმ კერძო სამართლის სუბიექტების საქმიანობას, რომლებსაც სურთ, რომ შეუერთდნენ ჯგუფის დაფუძნებელ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად.

მე-2 პუნქტი შესაბამისობაშია სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტთან.

მუხლი 4

დამატებით იხილეთ ზოგადი მოსაზრებები სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის შესახებ (პუნქტები 6 და 7).

მუხლი 5

გადაწყდა განსაზღვრულიყო, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ინსტიტუტებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფში, რომელიც უკვე შეიქმნა სხვა სახელმწიფოს შიდა სამართლის შესაბამისად.

მუხლი 6

გადაწყვეტილებები ჯგუფში მონაწილეობის მიღებისა და ჯგუფისადმი მიერთების შესახებ ექვემდებარებიან ამ ნორმას სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ძალით.

მუხლი 7

აუცილებლად ჩაითვალოს ნება დაერთოთ კერძო სამართლის სუბიექტებისათვის მიუერთდნენ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს შემდეგ პირობებზე:

- სახელმწიფო ინსტიტუტები სასაზღვრო რაიონებში უნდა იყვნენ წევრები;
- იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც დაფუძნებულია ჯგუფი, არ უნდა კრძალავდეს ამგვარ მონაწილეობას.

მუხლი 8

ეს დებულებები ეფუძნებიან 1995 წლის 10 მარტის ბაიონის ხელშეკრულების მე-6 მუხლს და 1996 წლის 23 იანვრის კარლსრუეს შეთანხმების მე-8 და მე-12 მუხლებს.

მუხლი 9

ზოგად მოსაზრებებში (პუნქტი N10) მოხსენიებული თითოეული შეთანხმება მოითხოვს, რომ იმ ტრანსსასაზღვრო ჯგუფის წესდება, რომლის შექმნის უფლებამოსილებასაც იგი იძლევა, შეიცავდეს დებულებებს საკითხთა ფართო წრეზე (სახელწოდება, შტაბ-ბინა, მოვალეობები, წევრები, ორგანოთა ამოცანები, წევრების მიერთება და გამოსვლა, ჯგუფის დაშლა და ლიკვიდაცია, სსგ).

ჯგუფის დამფუძნებელი საერთაშორისო ტექსტების შემუშავება უნდა მოხდეს სახელმწიფოთაშორის შეთანხმების მოდელის მე-9 მუხლის მიხედვით, რომელიც ჩამოთვლის იმ დებულებებს, რომლებთა ჩართვაც აუცილებელია მომავალი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფის წესდებაში.

ცხადია, რომ დებულებების ეს მინიმუმი გამოიყენება გამოსაყენებელი შიდა სამართლის მიხედვით იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანოების მიმართ. იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანოებს იგი არ ეხება.

მუხლი 10

ეს დებულებები ეფუძნებიან კარლსრუეს შეთანხმებას.

მუხლი 11

1-ლი პუნქტი შეესაბამება სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-2.ბ პუნქტით გათვალისწინებულ აკრძალვას.

მე-2 პუნქტი ეფუძნება ბაიონის ხელშეკრულებას და კარლსრუეს შეთანხმებას.

მე-3 ნაწილი ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ჯგუფი ასრულებს სამუშაოს მისი ერთ-ერთი წევრის სახელით. თითოეულ ამგვარ შემთხვევაში, იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, გამოიყენება სსგა სახელმწიფოს სამართალთან ერთად, რომელსაც მიეკუთვნება ერთ-ერთი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული ან ხელისუფლების ორგანო. ასეთ პარალელურ, ერთობლივ გამოყენებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ჯგუფის წევრებს პირდაპირ ან არაპირდაპირ შეაქვთ თავიანთი წვლილი საჯარო სამართლის კონტრაქტების დაფინანსებაში (პუნქტი 4).

და ბოლოს, მე-5 პუნქტი პირობად აყენებს, რომ ჯგუფის წევრები ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდნენ ჯუფის გადაწყვეტილებების შესრულებასა და აღსრულებას.

მუხლი 12

ამ მხრივ, ჯგუფის დაფინანსება და მასზე ზედამხედველობა წესრიგდება სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმით გათვალისწინებული დებულებებით.

მუხლი 13

იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, გამოიყენება ჯგუფის აპარატის მიმართაც.

მუხლი 14

ეს დებულება ეფუძნება კარლსრუეს შეთანხმების მე-15 მუხლს.

მუხლი 15

ეს დებულება ეფუძნება ბაიონის შეთანხმების მე-20 მუხლს და კარლსრუეს შეთანხმების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს.

მუხლი 16

ეს რეგულაციები მიზანდ ისახავენ, რომ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად არ დაუშვან რაიმე ცვლილება ეროვნული სამართლით გათვალისწინებულ სასამართლო საშუალებებით დაცვის მიმართ, რაც უზრუნველყოფილია მესამე პირებისათვის ხეხუნებული შეთანხმების დადებამდე; იგი ასევე შეიძლება იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ ჯგუფის წევრი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები გათავისუფლებულნი იქნან უცხოეთის სასამართლოს იურისდიქციისაგან.

III კომენტარები წყდების მოდელის მუხლებზე

მუხლი 1

სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების 1-ლი მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ არც ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებსა და არც სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, შეუძლიათ ითანამშრომლონ ჯგუფის შექმნისას და მოუერთდნენ მას. შეთანხმების მოდელის მე-7 მუხლის დაცვით; ეს გამოიყენება კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ იმ პირობით, რომ იმ სახელმწიფოს შიდა სამართალი, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, არ უნდა კრძალავდეს ამას. ფიზიკური პირების მონაწილეობა უნდა განხორციელდეს გამონაკლის საფუძველზე და გამართლებული უნდა იქნას იმ საზოგადოებრივ სამსახურთან დაკავშირებული მოსაზრებებით, რომლებსაც უზრუნველყოფენ ეს პირები.

მუხლი 2

სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების 1-ლი მუხლის გამოყენებისას, ჯგუფში გაწევრიანებული ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მიიხსნება ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულად ან ხელისუფლების ორგანოდ. საერთო კრების წევრები, ამასთან, შეიძლება იყვნენ არა ჯგუფში გაწევრიანებული იურიდიული პირები, არამედ, მათი წარმომადგენლები.

მუხლი 3

სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჯგუფის შტაბ-ბინის განსაზღვრისას, წესდება უქვემდებარებს მას შესაბამისი სახელმწიფოს შიდა სამართალს. ამ მიზეზით, არ არის სასურველი მოხდეს შტაბ-ბინის გადატანა ამ სახელმწიფოს ტერიტორიის გარეთ წესდებაში ცვლილების შეტანის გარეშე.

მუხლი 4

უქვემდებარებს რა ჯგუფს კანონმდებლობას, რომლითაც რეგულირდება იმ ასოციაციის ან ჯგუფის ერთ-ერთი კატეგორიის საქმიანობა, რომლებსაც ამ სახელმწიფოში შეიძლება მიუერთდნენ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები, წესდება განსაზღვრავს საჯარო ან კერძო სამართლებრივ სტატუსს და ანიჭებს მას იურიდიულ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფილია იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც მდებარეობს შტაბ-ბინა.

მუხლი 5

ჯგუფის მიერ იურიდიული პირის სტატუსის შექმნის თარიღი განისაზღვრება იმ სახელმწიფოს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელსაც წევრების 27-ე მუხლის შესაბამისად მიეკუთვნებიან ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები.

მუხლი 6

ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს ზოგადი მიზნები, ან პირიქით, შეიძლება იყოს შეზღუდული ზოგად ინტერესებში შემავალი ობიექტების უზრუნველყოფით ან მართვით.

ჯგუფის წევრებს შეუძლიათ გადასცენ მათ მიერ შესასრულებელი გარკვეული ამოცანები ჯგუფს.

წესდების მოდელის მე-4 მუხლის მიხედვით, ჯგუფი არ შეიძლება მიზნად ისახავდეს მოგების მიღებას.

თუ ჯგუფი არის საჯარო სამართლის სუბიექტი, მას შეუძლია დადოს ყიდვა-გაყიდვის საჯარო კონტრაქტები, რაც მოწესრიგდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, იმ პირობით, რომ წევრები, რომლებიც მონაწილეობენ ამ ოპერაციების დაფინანსებაში, არ უნდა არღვევდნენ თავიანთი ქვეყნების სამართლით დაკისრებულ ვალდებულებებს სარეგლამო პროცედურების, ტენდერის გამართვისა და ფირმების შერჩევის მხრივ. ეს არის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებების ხელახლა გადმოცემა.

და ბოლოს, დადგენილია, რომ ჯგუფს არ შეიძლება ჰქონდეს სარეგულაციო, საპოლიციო ან ფისკალური უფლებამოსილებები სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7

თუ ჯგუფი შექმნილია დროის შეზღუდული ვადით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთი ან მეტი პირობით ვადით, რომელიც არ აჭარბებს თავდაპირველად განსაზღვრულ ვადას (წესდების 39-ე მუხლი).

მუხლი 8

თითოეული წევრის წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს მის საწესდებო უფლებებთან, რომლებიც თავის მხრივ პროპორციაში უნდა იყვნენ წევრების ფინანსურ შენატანებთან. თუმცა, არ არსებობს მიზეზი რომელიმე სხვა კრიტერიუმის არგამოყენებისა; მაგალითად, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის ან ხელისუფლების ორგანოს მოსახლეობა (ისე, როგორც ეს განსაზღვრულია რაინ-გაალ ეურეგიოს შემთხვევაში).

წევრები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ვალებზე მათ საწესდებო უფლებებთან პროპორციაში. ეს დებულება ასევე გამოიყენება მათი ვალდებულებების მიმართ სხვა წევრების ან მესამე პირების წინაშე. ისინი პასუხს არ აგებენ ერთობლივად და ცალ-ცალკე.

მუხლი 9

მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული განსაზღვრულიყო ახალი წევრების მიერთების პირობები წესდების პროექტებში. ახალი წევრების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება წესდების დამატებით.

მუხლი 10

იგივე ეხება წევრების გამოსვლასაც. წევრებს, რომლებსაც სურთ ჯგუფიდან გამოსვლა, შეუძლიათ ასე მოიქცნენ მხოლოდ საბიუჯეტო წლის ბოლოს. ისინი ჩაიბარებენ მათ სასრუებლოდ შექმნილ საშუალებებს და გადაუხდიან ჯგუფს კომპენსაციას ამისათვის.

ჯგუფში გაწევრიანებულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულზე ან ხელისუფლების ორგანოზე წესდამდგველობისათვის პასუხისმგებელ ხელისუფლების ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს ერთეულს ან ორგანოს ჯგუფიდან გამოსვლა (წესდების 32-ე მუხლი).

მუხლი 11

იგივე სისტემა გამოიყენება ვარიცხვის მიმართ და ნებისმიერმა ვარიცხულმა წევრმა უნდა გადაუხადოს ჯგუფს კომპენსაცია ზარალისათვის, რომლის მიყენებაც მოხდა წევრის მიერ თავისი ვალდებულებების არ შესრულების გამო.

მუხლი 13

წევრების ფინანსურ შენატანებთან ერთად, ჯგუფს შეუძლია მიიღოს ანაზღაურება შესრულებულ სამუშაოზე და თუ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, ამის ნებართვას იძლევა, აიღოს კრედიტები.

მუხლი 15

აპარატის დაქირავება მოხდება არა საჯარო სამსახურის, არამედ სახელშეკრულებო საფუძველზე.

მუხლი 17

სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მე-13 მუხლის შესაბამისად ჯგუფის მიერ მხოლოდ პირდაპირ დაქირავებული აპარატის წევრები ექვემდებარებიან იმ სახელმწიფოს სამართალს, სადაც მდებარეობს მისი შტაბ-ბინა.

მუხლი 18

ჯგუფის თითოეული წევრი საერთო კრებაში ვ ზავნის მის საწესდებო უფლებებთან პროპორციაში მყოფ წარმომადგენელთა ოდენობას (იხილეთ შენიშვნა წესდების მე-8 მუხლზე).

სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ წარმომადგენლების დანიშვნისა და უფლებამოსილების საკითხები მოწესრიგდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომელსაც მიეკუთვნებიან იურიდიული პირები.

მუხლი 21

გადაწყვეტილებების მიღება საერთო კრებაზე ხდება დამსწრეთა ხმების აბსოლიტური უმრავლესობით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება წესდებაში ცვლილების შესატანად, ჯგუფის ნახევრდღივობის გასაგრძელებლად ან მის ვადაზე ადრე დასაშლელად (წესდების 39-ე, მე-40 და 46-ე მუხლები).

მუხლი 22

ოქმის შედგენის ენის მიმართ გამოსაყენებელი წესები ანალოგიურია თავად წესდების მიმართ გამოსაყენებელი ენებისა.

მუხლი 23

სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის მე-10 მუხლი მოითხოვს, რომ ჯგუფის წევრ იურიდიულ პირებს რეგულარულად მიეწოდოთ ინფორმაცია.

მუხლი 26

გადაწყვეტილებები კოლეგიის სხდომაზე მიიღება დამსწრეთა ხმების აბსოლიტური უმრავლესობით უფრო მეტი მომხრე, ვიდრე წინააღმდეგი.

მუხლი 29

თუკი ჯგუფს სურვილი აქვს, მას შეუძლია დანიშნოს დირექტორი/გენერალური მდივანი, რომელიც იმოქმედებს როგორც საბჭოს აღმასრულებელი მოხელე.

მუხლი 31

სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის მე-12 მუხლის შესაბამისად, ჯგუფის მიერ მიღებული ზომები ექვემდებარებიან იმ სახელმწიფოს სამართლით გათვალისწინებულ ზედამხედველობას, სადაც მდებარეობს მისი შტაბ-ბინა, თუმცა ასევე უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოთა ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების ინტერესების პატივისცემა.

მუხლი 32

ჯგუფის წევრ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებზე ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე ზედამხედველობისათვის პასუხისმგებელი ხელისუფლების ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ მათ ჯგუფიდან გამოსვლა (წესდების მე-10 მუხლი).

მუხლი 34

იმის გამო, რომ ჯგუფი არის არამომგებიანი სუბიექტი, შემოსავლების ზრდამ უნდა გამოიწვიოს იმ ყოველწლიური ფინანსური შესატანის შემცირება, რომელსაც იხდიან წევრები.

მუხლი 36

დამოუკიდებელი აუდიტის როლი ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშის შედგენაში ეფუძნება კარლსრუეს შეთანხმების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტს და ბაიონის 1995 წლის 10 მარტის შეთანხმების მე-6 მუხლის ბოლო პუნქტს.

მუხლი 37

მუხლი სახსრების არასწორი გამოყენების ანაზღაურების შესახებ ეფუძნება შეთანხმების მოდელის 29-ე მუხლს, რომელიც ქმნის ჯგუფს რეგიონებს შორის და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ და რომელიც თან ერთვის საფრანგეთის მინისტრთა 1994 წლის 16 ივნისის რეზოლუციას. იგი ენება ევრობის კავშირის სტრუქტურული ფონდების გამოყენებას კავშირის რეგიონალური პოლიტიკის ნაწილად.

მუხლი 38

იმ სახელმწიფოს საგადასახადო წესების გამოყენება, სადაც მდებარეობს შტაბ-ბინა, შესაბამისობაშია სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მოდელის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპთან.

მუხლი 39

იხილეთ შენიშვნა წესდების 21-ე მუხლზე.

მუხლი 42

თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კოლეგიის წევრებისა და დირექტორის/გენერალური მდივნის პასუხისმგებლობაზე ნორმები შესაბამისობაში არიან კანონებთან, რომლებიც ზოგადად გამოიყენებიან კომპანიათა შეზღუდული ოდენობის მიმართ.

მუხლი 43

ეს მუხლი შეიცავს დებულებებს იურისდიქციის შესახებ, რომლითაც შესაძლებელი ხდება ჯგუფსა და მის წევრებს შორის წარმოქმნილი დავის გადაწყვეტა იმ სასამართლოს მიერ, რომელსაც გააჩნია იურისდიქცია იმ სახელმწიფოს კანონით, სადაც დაფუძნებულია მოპასუხე და ამგვარად, თავიდან არის აცილებული სიტუაცია, რომელშიც წევრი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები შეიძლება დაექვემდებარონ უცხოეთის სასამართლოების იურისდიქციას. ეს წესი ეფუძნება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ გერმანიისა და ნიდერლანდების შეთანხმების მე-11 მუხლის 1-ლ პუნქტს, რომელიც ხელმოწერილი იქნა ისელბურგ-ანჰოლტში 1991 წლის 23 მაისს. იგი ასევე გამომდინარეობს სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტიდან.

მუხლი 45

ეს დებულება, რომელიც ეფუძნება 1995 წლის 10 მარტის ბაიონის ხელშეკრულების მე-6 მუხლს, შესაბამისობაშია სახელმწიფოთა შორის შეთანხმების მოდელის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტთან.

მუხლი 46

იხილეთ შენიშვნა წესდების 21-ე მუხლზე.

მუხლი 47

ინილეთ შენიშვნა წესდების მე-5 მუხლზე.

გარდამავალი დებულებები

როგორც გამონაკლისი წესდების მოდელის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტიდან და მე-11 მუხლიდან, ჯგუფის თითოეული წევრის ფინანსური შესატანი პირველი წლისათვის განსაზღვრება წესდების გარდამავალ დებულებებში.

შენიშვნები

* ინილეთ შენიშვნა 1 - გვერდზე

1 მე-2 პუნქტის ჩართვა არ მოხდება 1.3, 1.4 და 1.5 შეთანხმებათა პროექტებში.

2 ციფრები, რომლებიც მოცემულნი არიან კომისიის წევრთა განსაზღვრისას, მითითებულნი არიან მხოლოდ სახელმძღვანელოდ და მათი, ისევე, როგორც ამ შეთანხმების ყველა დებულების მისადაგება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად თითოეულ სიტუაციაში. ციფრების განსაზღვრისას შეთანხმების მოდელის ავტორები მიზნად ისახავდნენ ეფექტურად მოძუშავე მცირერიცხოვანი კომისიების შექმნის მნიშვნელობისათვის ხაზის გასმას. მათ ასევე სურდათ მიეთითებინათ იმ თანაფარდობაზე, რომლის შენარჩუნებაც უნდა მოხდეს ერთის მხრივ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებსა და მეორეს მხრივ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს შორის.

3 ეს სია მოცემულია უბრალოდ სახელმძღვანელოდ და მისი მისადაგება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად თანამშრომლობის თითოეულ პროექტთან. იგი არ უნდა იქნას ახსნა-განმარტებული იმგვარად, რომ იცვლებოდეს შიდა სამართლით ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებები. ამასთან, როგორც ცენტრალური, ასევე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოდგენილნი უნდა იქნან კომისიებში.

4 ამ შეთანხმების არსი იგივე დარჩება, მიუხედავად იმისა, ჩართულია თუ არა ეს პუნქტები.

5 ამ მხრივ, ინილეთ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებაში ჩართული ტრანსსასაზღვრო რეგიონალური კონსულტაციების შესახებ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელის მე-6 მუხლში განსაზღვრული სფეროების სია.

6 შესაძლებელია დამატებითი ოქმების დადება, კერძოდ, იმ შეთანხმებების მოდელზე, რომლებიც ჩართულნი არიან ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებაში.

7 შეთანხმება, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო დეტალების დაკონკრეტებით, განსაზღვრავს:

ა) შეთანხმების მხარეთა ერთგული სამართლით მოთხოვნილ პროცედურებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდნენ შემდეგ საკითხებზე:

- კომისიის სახელი და მისამართი;
- კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლების ზუსტი განსაზღვრა;
- გადაწყვეტილების მიღების მეთოდების მომწესრიგებელი რეგულაციები;
- გადაწყვეტილებათა საჯაროდ მიღების წესის გამოყენება;
- ბიუჯეტთან და ხარჯებთან დაკავშირებული საერთო წესების განსაზღვრა;
- პროექტების დაფინანსების მეთოდების განსაზღვრა;
- წესების (ე.ი. შეთანხმების პირობების) შეცვლის მეთოდების განსაზღვრა;
- და ა. შ.

ბ) სპეციფიკურ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია არიან ადმინისტრაციული ერთეულის დირექტივებითა და რეგულაციებით სტრუქტურული ფონდების ხელმისაწვდომობის მიმართ.

8 სხვა რედაქციის ჩამოყალიბებისათვის, მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ 1.1-დან 1.5-მდე მუხლებში მითითებული ზოგადი დებულებები (ინილით შენიშვნა 1), რომლებიც გათვალისწინებულია არიან ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებაში.

9 ერთობლივი კომიტეტის შექმნისას შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის არსებული ინსტიტუტები.

10 შესაძლებელია ოქმების დამატება, კერძოდ, ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებით გათვალისწინებული შეთანხმებების მოდელის მიმართ.

11 ყველა სხვა შეთანხმებაში მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის დამატებით გათვალისწინებული შეთანხმებათა მოდელის საერთო დებულებები.

12 ადგილობრივი კომიტეტის შექმნის საჭიროება დამოკიდებულია ერთობლივი კომიტეტის შემადგენლობაზე და შეთანხმების ამ მოდელის ხელმოწერითა სტატუსზე.

13 ამ შეთანხმების მიზნებისათვის, სასურველია, რომ შეთანხმებაში მონაწილეობას იღებდნენ ხელისუფლების ის ორგანოები, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება რეგიონალური/სივრცის ათვისებისა და მიწის გამოყენების დავკვების, ტვირთების გადატანისა და ნავიგაციის, მეტყვეობის, ტურიზმისა და ეკოლოგიის სფეროში, იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ვადალანაჟს შესაბამისი მდინარე. შესაბამისი ქვეყნების შიდა სამართლის შესაბამისად, შეიძლება აუცილებელი იყოს, რომ ერთი სახელმწიფოს ხელისუფლების ადგილობრივი, რეგიონალური და/ან ცენტრალური ორგანოები ხელს აწერდნენ ამ შეთანხმებას ან ზემდგომმა ორგანოებმა მოახდინონ აუცილებელ უფლებამოსილებათა დელეგირება ქვემდგომი ხელისუფლების ორგანოების მიერ მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფისათვის.

14 ხელშეკრულ მხარეებს შეიძლება სურდეთ იურიდიული პირის სტატუსის მქონე თანამშრომლობის ორგანოს შექმნა. ამ შემთხვევაში, სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციის 1995 წლის დამატებითი ოქმი.

15 ხელშეკრულ მხარეებს შეიძლება სურდეთ მიუსადაგონ შესაბამისი ტერიტორიის სტატუსი მათ სიტუაციას.

16 ამ მიზნების სია არ არის ამომწურავი და ხელშეკრულ მხარეებს შეუძლიათ შეცვალონ ისინი მათი მდგომარეობისა და კომპეტენციების შესაბამისად.

17 გამოიყენებთან სპეციალური მოთხოვნები, თუ ხელშეკრული მხარეები გადაწყვეტენ იურიდიული პირის სტატუსის მქონე ერთობლივი კომიტეტის შექმნას 1-ლი მუხლის შესაბამისად.

2. სახელმძღვანელო შეთანხმებები, სტატუტები და კონტრაქტები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის

შესავალი შენიშვნა:

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო შეთანხმებები, კონტრაქტები და სტატუტები

ისევე როგორც სახელმწიფოების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვისაც შესაძლებელია შეთანხმებების, კონტრაქტებისა და სტატუტების არჩევის შესაძლებლობის შეთავაზება. ფაქტიურად,

ასეთი არჩევანი უკვე არსებობს როგორც ქვეყნებში, როგორც ეს სჩანს დადებული შეთანხმებების შესახებ შეკრებილი დოკუმენტაციის მნიშვნელოვანი მოცულობიდან.

შემოთავაზებული სისტემა ითვალისწინებს ექვს სახელმძღვანელო შეთანხმებას, კონტრაქტსა და სტატუტს, რომლებიც შეესაბამებიან ადგილობრივი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სწავლას და ხარისხსა და ფორმულას. ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებსა და მდგომარეობის შესაბამისად, ეს სახელმძღვანელო დოკუმენტები შეიძლება დაექვემდებარონ უშუალო გამოცენებს ან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მიღებას, რომელიც მოაწესრიგებს მათი გამოცენების საკითხებს.

ზოგადად, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების დადება, მაშინაც კი, როდესაც ეს შეიძლება აუცილებელი არც იყოს, შეიძლება განსაზღვროს ის პირობები, რომლებზედაც მოხდება ქვემო შეთანხმებათა გამოცენება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ. ყველა შემთხვევაში, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების დადება შეიძლება განხილული იქნას, როგორც წინაპირობა 2.6 შეთანხმების (ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოები) გამოცენებისათვის.

სახელმძღვანელო შეთანხმებათა ეს სისტემა, რომელიც განკუთვნილია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის, შეესაბამება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელს. მიმართება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებაზე ვაკეთებულია თითოეული სახელმძღვანელო შეთანხმების მოდელი.

შესაძლებელია ადგილობრივ დონეზე დადებული შეთანხმებებისა და შექმნილი ორგანოების ინტეგრირება რეგიონალურ ან ეროვნულ დონეზე შექმნილ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სისტემაში. მაგალითად, ადგილობრივი საკონტაქტო კომიტეტი (სახელმძღვანელო შეთანხმება 2.1) შეიძლება ინტეგრირებული იქნას რეგიონალური ტრანსსასაზღვრო კონსულტაციების შესახებ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელით (1.2) გათვალისწინებული კომისიების, კომიტეტების ან სამუშაო ჯგუფების სტრუქტურაში.

ამასთან, ეს მოდელი შეიქმნა სქემატურ საფუძველზე, რადგან შეუძლებელი იყო ყველა იმ პრობლემის გლობალურად გათვალისწინება, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. სახელმძღვანელო შეთანხმებები წარმოადგენენ ღირებულ სახელმძღვანელოს, მაგრამ მათში შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები იმ საჭიროებების შესაბამისად, რომლებიც წარმოიქმნებათ იმ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც იყენებენ მათ.

ამის მსგავსად, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა განსაზღვროს სოციალურ-კულტურულ სფეროში ტრანსსასაზღვრო კონსულტაციებში მოქალაქეთა მონაწილეობის წახალისების საშუალებები. ასეთი მონაწილეობა უეჭველად დასძლავს ფსიქოლოგიურ ბარიერს, რომელიც ზოგჯერ სერიოზულად აბრკოლებს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას. საზოგადოებრივი ინტერესით მხარდაჭერილ კონსულტაციას ასევე ექნება სოლიდური საფუძველი. ერთ-ერთი გზა საზოგადოების მონაწილეობის მხადსაჭერად არის ასოციაციების გამოცენება. ამდენად, ერთ-ერთი სახელმძღვანელო შეთანხმება (2.3) ეხება კერძო სამართლებრივი ტიპის ასოციაციის შექმნას.

2.1 სახელმძღვანელო შეთანხმება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის საკონსულტაციო ჯგუფის შექმნის შესახებ.

შესავალი შენიშვნა: ჩვეულებრივ, ასეთი ჯგუფის შექმნა შესაძლებელია სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების გარეშე. არსებობს ამ შესაძლებლობის უამრავი მაგალითი. ამასთან, თუკი სახეზეა სამართლებრივი ან სწავლადი გაურკვევლობა, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებას შეუძლია განსაზღვროს ასეთი კონსულტაციების გამოცენების პირობები. (შეთანხმების მოდელი 1.3)

ჯგუფის მიზანი და მისი შტაბბინა

მუხლი 1

ამ შეთანხმების მხარე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ვალდებულებას იღებენ მოახდინონ მათი ძალისხმევით კოორდინაცია მათი უფლებამოსილებების ფარგლებში შემდეგ სფეროებში (მითითებული უნდა იქნას საქმიანობის სფერო(ებ)ი ან დასახელებული უნდა იქნას ადგილობრივი ამოცანები). ამ მიზნით, ისინი ქმნიან საკონსულტაციო ჯგუფს (შემდგომში ჯგუფი, რომელსაც შტაბბინა ექნება)

ჯგუფის ფუნქციებში შედის ინფორმაციის გაცვლის, მის წევრებს შორის კოორდინაციისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა წინა ქვე-პუნქტით განსაზღვრულ სფეროებში. წევრი ხელისუფლების ორგანოები ვალდებულებას იღებენ მიაწოდონ მას ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ჯგუფის ფუნქციების განხორციელებისათვის და ერთმანეთს შორის გამართონ კონსულტაციები ჯგუფის საშუალებით ზემოხსენებული სფეროების შესახებ გადაწყვეტილებების ან ზომების მიღებად.

წევრობა მუხლი 2

თითოეული მონაწილე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო ჯგუფში წარმოდგენილი იქნება მის მიერ დანიშნული წევრისაგან შემდგარი დელეგაციით. თითოეულ დელეგაციას, ჯგუფის თანხმობით, შეიძლება თან ახლდეს კერძო სოციალურ-ეკონომიკური ორგანოების წარმომადგენლები ან ექსპერტები (ეს ალტერნატივა გამოიციხავს ჯგუფის შემადგენლობიდან ნებისმიერ ორგანოს, რომლებიც არ წარმოადგენენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რაც განასხვავებს ამ შეთანხმებას 2.3 პუნქტით გათვალისწინებული კერძო სამართლებრივი ასოციაციისაგან).

შესაძლო ვარიანტი: თითოეულ დელეგაციაში წევრთა რაოდენობა შეიძლება განსხვავებული იყოს. წევრობა ღიაა ამ შეთანხმების ხელმოწერილი ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური ორგანოებისათვის და კერძო პირებისათვის. ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას ახალი წევრების მიღების თაობაზე. თითოეულ დელეგაციას, ჯგუფის თანხმობით შეიძლება თან ახლდეს კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები.

ჯგუფის ფუნქციები მუხლი 3

ჯგუფს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება 1-ლ მუხლში განსაზღვრულ ყველა საკითხზე. ყველა საკითხი, რომელზედაც მიიღწევა კონსენსუსი და რეკომენდაცია, რომელსაც გააკეთებს ჯგუფი შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ან ჯგუფების მიმართ, შეტანილი იქნება ოქმში.

ჯგუფი უფლებამოსილია ჩაატაროს გამოკვლევები და გამოძიება მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

მუხლი 4

ჯგუფის წევრები შეიძლება შეთანხმდნენ დაავალონ ჯგუფს კარგად განსაზღვრული პრაქტიკული მოვალეობების შესრულება. ჯგუფს ასევე შეუძლია შეასრულოს მისთვის სხვა ორგანოს მიერ დაკისრებული რაიმე ამოცანა.

საქმიანობის წესი
მუხლი 5

ჯგუფი შეიმუშავებს თავის რეგლამენტს.

მუხლი 6

როგორც წესი, ჯგუფის შესვედრის მოწვევა მოხდება წელიწადში ორჯერ ან მისი წევრების მესამედის მოთხოვნით, რომლებსაც ამის შესახებ წინადადება შეაქვთ დღის წესრიგში.

ცნობა შესვედრის ჩატარების შესახებ და მისი დღის წესრიგი გავზავნილი უნდა იქნას არანაკლებ 15 დღით ადრე, იმ მიზნით, რომ თითოეულმა წარმომადგენელმა დაწესებულებამ შეძლოს განხილვებისათვის მომზადება.

მუხლი 7

ჯგუფი მის წევრთა რიგიდან ნიშნავს მუდმივმოქმედ ბიუროს, რომლის წევრობის საკითხებსა და უფლებამოსილებებსაც თავად განსაზღვრავს. თავმჯდომარის დანიშვნა ხდება რეგლამენტის შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც რეგლამენტი არ გამოიყენება, თავმჯდომარეობა ევალება უხუცეს წევრს.

ურთიერთობები ჯგუფის არაწევრ პირებთან და ზემდგომ ორგანოებთან
მუხლი 8

არაწევრ პირებთან ურთიერთობებში ჯგუფი წარმოდგენილი იქნება მისი თავმჯდომარის მიერ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ჯგუფის წარმომადგენლობა სხვაგვარად არის დადგენილი რეგლამენტით. ზემდგომ ორგანოებს, რომლებსაც ექვემდებარებიან ჯგუფის წევრები, შეუძლიათ მიიღონ ჯგუფისაგან მისი საქმიანობის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია და ისინი უფლებამოსილნი არიან გაავზავნონ დამკვირვებლები ჯგუფის კრებებზე.

სამდივნო და ფინანსები
მუხლი 9

სამდივნოს მომსახურეობა უზრუნველყოფილი იქნება ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი დაწესებულების მიერ (ყოველწლიური შეცვლით ან ამის გარეშე).

ხელისუფლების თითოეულ ორგანოს მოეთხოვება გადაიხადოს მისი შესატანი მომსახურეობის ხარჯების დასაფარად შემდეგი წესით:

ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც წესი, იგზავნება იმ სახელმწიფოს ენაზე, რომლის ტერიტორიიდანაც მოხდება მისი გავზავნა.

მიერთება და გამოსვლა
მუხლი 10

ჯგუფის წევრობა ღიაა დამატებით იმ ხელისუფლების რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოებისათვის, რომლებიც შეიძლება განისაზღვრონ ამ შეთანხმებით. ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას ახალი წევრების მიღების შესახებ.

მუხლი 11

ნებისმიერ წევრს შეუძლია გამოვიდეს ჯგუფიდან თავმჯდომარისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით. წევრის გასვლა ჯგუფიდან ზეგაფლენას არ მოახდენს ამ უკანასკნელის მოქმედებაზე, თუ მხარეები სხვაგვარად არ გადაწყვეტენ.

მუხლი 12

მხარეები აცნობებენ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ შეთანხმების დადების შესახებ და მიაწვდიან მას შეთანხმების ტექსტს.

2.2 სახელმძღვანელო შეთანხმება ტრანსსასაზღვრო ადგილობრივი საქმეების მართვის კოორდინაციის შესახებ

შესავალი შენიშვნა: რამდენიმე სახელმწიფოში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ამ ტიპის დადება უკვე შესაძლებელია. იქ, სადაც ეს შესაძლებელი არ არის, ამგვარი შეთანხმების გამოყენების პირობები უნდა განისაზღვროს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ფარგლებში (ინილეთ შეთანხმების მოდელი 1.3).

შეთანხმების მიზანი

მუხლი 1

1-ლი მუხლი განსაზღვრავს შეთანხმების მიზანს (მაგ; მოსაზღვრე რეგიონების ჰარმონიული განვითარება) და შესაბამის სფეროებს.

შეთანხმებით მოცული ტერიტორია

მუხლი 2

მე-2 მუხლი განსაზღვრავს შეთანხმებით მოცულ ტერიტორიებს საზღვრის ორ ან ყველა სამხარეს.

ვალდებულებები

მუხლი 3

მე-3 მუხლმა უნდა განსაზღვროს შეთანხმების მიზნების (მუხლი 1) მიღწევის საშუალებები. შეთანხმების მატერიალური მიზნების შესაბამისად, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ვალდებულებები:

- მხარეები ვალდებულებას იღებენ დაიცვან წინასწარი კონსულტაციების პროცედურა იმ ზომების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომელთა მიღებაც უნდა მოხდეს მათი უფლებამოსილების ფარგლებში და მათ მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიებზე;
- მხარეები ვალდებულებას იღებენ მათ ტერიტორიებზე და მათი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ აუცილებელი ზომები ამ შეთანხმების მიზნების შესასრულებლად;
- მხარეები ვალდებულებას იღებენ არ განახორციელონ რაიმე ქმედება, რაც საზიანო იქნება ამ შეთანხმების მიზნებისათვის.

კოორდინაცია
მუხლი 4

მე-4 მუხლი თითოეული შეთანხმების კონკრეტული გარემოებებისა და მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრავს კოორდინაციის პირობებს:

- კოორდინაციის მიზნებისთვის საერთო დანიშნულების ჯგუფის შექმნით, 2.1 სახელმძღვანელო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯგუფის მაგალითზე; ან
- ამ შეთანხმების მიზნებისათვის სპეციალური საკონსულტაციო ჯგუფის შექმნით; ან
- უბრალოდ პირდაპირი ორმხრივი კონტაქტების საშუალებით შესაბამის ხელისუფლების ორგანოებს შორის.

მორიგება
მუხლი 5

ჯგუფის თითოეულ წევრს (თითოეულ მხარეს, თუკი ჯგუფი არ არსებობს) ჯგუფის წინაშე (სხვა მხარის წინაშე, თუკი ჯგუფი არ არსებობს) შეუძლია დააყენოს საკითხი რომელიმე შემთხვევის შესახებ, რომელშიც მისი აზრით, არ იქნა დაცული შეთანხმება, კერძოდ:

- არ იქნა ჩატარებული წინასწარი კონსულტაციები;
- ან მიღებული ზომები შეუსაბამონი არიან შეთანხმებასთან;
- ამ შეთანხმების მიზნების მისაღწევად აუცილებელი ზომები არ იქნენ მიღებულნი.

თუკი მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, დავა შეიძლება გადაეცეს მომრიგებელ საბჭოს, რომელსაც ევალება მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.

მაკონტროლებელი ორგანო
მუხლი 6

მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ შექმნან სპეციალური მაკონტროლებელი ორგანო აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფისათვის, რომელიც შედგება თითოეული მხარის მიერ დანიშნული ექსპერტების თანაბარი რაოდენობისაგან და ნეიტრალური ექსპერტისაგან, რომლის დანიშვნა ან დანიშვნის წესი განისაზღვრება წინასწარ.

მაკონტროლებელი ორგანო იძლევა მოსაზრებას, იქნა თუ არა დაცული შეთანხმება და მას აქვს უფლებამოსილება საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს თავისი მოსაზრება.

მუხლი 7

მხარეები აცნობებენ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ შეთანხმების დადების შესახებ და მიაწვდიან მას შეთანხმების ტექსტს.

2.3 სახელმძღვანელო შეთანხმება კერძოსამართლებრივი ტრანსსასაზღვრო ასოციაციების შექმნის შესახებ

შესავალი შენიშვნა: მიიხევა, რომ ერთი სახელმწიფოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო შეიძლება შედიოდეს სხვა სახელმწიფოს კერძოსამართლებრივ ასოციაციაში იმავე წესებისა და პირობების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენებიან ამ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს წევრობის მიმართ მისი სახელმწიფოს კერძო სამართლებრივ გაერთიანებაში. თუკი ეს შეთანხმების

დადების დროისათვის შეუძლებელია, ამის შესაძლებლობა პირდაპირ უნდა იქნას გათვალისწინებული შესაბამის სახელმწიფოებს შორის დადებული სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით (ინილეთ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მოდელი 1.3 და 1.4).

კერძო სამართლებრივ ასოციაციებს ჩვეულებრივ მოეთხოვებათ დაიცვან იმ ქვეყნის სამართლის წესები, სადაც მდებარეობს მათი შტაბბინა. შემდეგი სია მიუთითებს იმ დებულებებზე, რომელთა ჩართვაც უნდა მოხდეს წესდებაში, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი გათვალისწინებულნი არ არიან კანონით. დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ საკონსულტაციო ჯგუფების საქმიანობას, ასევე შეიძლება *mutatis mutandis* იქნას გამოყენებული ამ სახის ასოციაციების მიმართ (ინილეთ სახელმძღვანელო შეთანხმება 2.1).

ასოციაციის წესდებამ უნდა განსაზღვროს:

1. მისი დამფუძნებელი წევრები და ახალი წევრების მიღების პირობები;
2. მისი სახელი, შტაბბინის მისამართი და სამართლებრივი ფორმა (შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით);
3. მისი მიზანი, მიღწევის გზები და ასოციაციის სახსრები;
4. მისი ორგანოები და კერძოდ, მისი გენერალური ასამბლეის ფუნქციები და საქმიანობის წესი (წარმოამდგენლობა და ხმის მიცემა);
5. ადმინისტრატორთა ან აღმასრულებელ მოხელეთა დანიშვნა და მათი ფუნქციები;
6. წევრების მესამე პირებთან ვის-ა-ვის პასუხისმგებლობის ფარგლები;
7. წესდების შეცვლის და ასოციაციის ლიკვიდაციის პირობები;
8. მხარეთა ვალდებულება აცნობონ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტრანსსასაზღვრო ასოციაციის შექმნის შესახებ და მიაწოდონ მას მისი წესდება.

2.4 სახელმძღვანელო კონტრაქტი (კერძო სამართლებრივი ტიპის) ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო რაიონებში საქონელის ან მომსახურეობის მიწოდების შესახებ

შესავალი შენიშვნა: მიიჩნევა, რომ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს აქვთ უფლება დადონ ასეთი კონტრაქტი სხვა ქვეყნების ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან. იმ შემთხვევაში, თუ ეს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია, ამის შესაძლებლობა პირდაპირ უნდა იქნას უზრუნველყოფილი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების ფარგლებში (ინილეთ სახელმძღვანელო შეთანხმება 1.4).

ეს წარმოადგენს იმ ტიპის კონტრაქტს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ყიდვა-გაყიდვისათვის, სამუშაო კონტრაქტების დადებისათვის, საქონელისა და მომსახურეობის მიწოდებისათვის, კონცესიების მინიჭებისათვის და ა. შ. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ კერძო სამართლებრივი კონტრაქტების დადება სხვადასხვა ზომით არის ნებადართული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით და რთულია გამყოფი ხაზის გავლება კერძო სამართლებრივ და საჯარო სამართლებრივ ხელშეკრულებებს შორის. მიუხედავად ამისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სახის კონტრაქტი გამოიყენება იმ შემთხვევაში,

როდესაც თითოეულ კონკრეტულ სახელმწიფოში პრევალირებული ახსნა-განმარტების შესაბამისად, შეთანხმება ენება კომერციული ან ეკონომიკური სახის ოპერაციას, რომლის განხორციელებისთვისაც შესაძლებელია კონტრაქტის დადება კერძო და იურიდიულ პირებთანაც. იმ ოპერაციების შემთხვევაში, რომლებიც ითვალისწინებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ საჯარო ხელისუფლების ორგანოებისათვის მინიჭებული ფუნქციების განხორციელებას, გათვალისწინებულნი უნდა იქნან საჯარო სამართლის კონტრაქტებით (ინილეთ 2.5) გათვალისწინებული დამატებითი წესები ქვემოთ მითითებულ დებულებებთან ერთად.

მხარეები

1-ლი მუხლი განსაზღვრავს მხარეებს (და იმას, არის თუ არა შეთანხმება ღია ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ორგანოებისათვის).

მე-2 მუხლი განსაზღვრავს ძირითად საკონტრაქტო უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ საკითხებს და კერძოდ, კონტრაქტით მოსარგებლეებს, მის ვადებსა და პირობებს. საჭიროების შემთხვევაში, მას ასევე შეუძლია განსაზღვროს აუცილებელი დათქმები ზემდგომი ორგანოების მიერ უფლებამოსილებების მინიჭების შესახებ, როდესაც საკითხი ენება კონტრაქტის გამოყენებას.

კონტრაქტის მიზანი

მე-3 მუხლი განსაზღვრავს კონტრაქტის ობიექტს შემდეგ საკითხებზე დაყრდნობით:

- სპეციალური საკითხები;
- გეოგრაფიული რაიონები;
- იურიდიული პირები (მუნიციპალიტეტები, ხელისუფლების ეროვნული ორგანოები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილებანი და სხვ.);
- სპეციალური იურიდიული ფორმები.

მე-4 მუხლი განსაზღვრავს კონტრაქტის ხანგრძლივობას, განახლების პირობებს და შესრულების ვადებს.

სამართლებრივი რეჟიმი და ფინანსური ვალდებულებები

მე-5 მუხლი მიუთითებს ხელმოწერის ადგილსა და კონტრაქტის შესრულებაზე და განსაზღვრავს იმ სამართლებრივ რეჟიმს, რომლითაც მოხდება მისი რეგულირება (საერთაშორისო კერძო სამართალი) და გამოსაყენებელ სამართალს.

მე-6 მუხლი, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს ფინანსურ საკითხებს (ვალუტას, რომელშიც უნდა მოხდეს გადახდა და ფასების რეგულირების წესებს გრძელვადიანი მომსახურების გაწევის შემთხვევაში) და დაზღვევას.

არბიტრაჟი

მე-7 მუხლი, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს მორიგების პროცედურას და გაითვალისწინებს საარბიტრაჟო პროცედურებს.

არბიტრაჟის შემთხვევაში, შეიქმნება საარბიტრაჟო საბჭო შემდეგი ვზით:

- თითოეული მხარე, რომელსაც აქვს საწინააღმდეგო ინტერესი (ვარიანტი: ადმინისტრაციული სასამართლოების თავმჯდომარეები, რომლებსაც გააჩნიათ იურისდიქცია მხარეთაგან თითოეულზე), დანიშნავს ერთ წევრს საარბიტრაჟო სასამართლოში და მხარეები ერთობლივად დანიშნავენ ერთ ან ორ დამოუკიდებელ წევრს, მაგრამ ისე, რომ სახეზე იყოს საბჭოს წევრთა კენტი რაოდენობა;

- თუ საარბიტრაჟო საბჭოს წევრთა რაოდენობა ლუწი იქნება და ხმები თანაბრად გაიყოფა, დამოუკიდებელ წევრს ექნება გადაამწყვეტი ხმის უფლება.

კონტრაქტის შეცვლა და შეწყვეტა

მე-8 მუხლი განსაზღვრავს იმ წესებს, რომლებიც გამოიყენებიან კონტრაქტის შეცვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში.

მუხლი 9. მხარეები აცნობებენ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ შეთანხმების დადების შესახებ და მიაწვდიან მას შეთანხმების ტექსტს.

2.5 სახელმძღვანელო კონტრაქტი (საჯარო სამართლებრივი ტიპის) ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო რაიონებში საქონელის ან მომსახურების მიწოდების შესახებ

შესავალი შენიშვნა: კონტრაქტის ეს სახე ანალოგიურია 2.4 შეთანხმებისა, იმით, რომ მას გააჩნია კონკრეტული მიზნები. ეს სახე უფრო მეტად ეხება კონცესიებს ან კონტრაქტებს საზოგადოებრივი მომსახურების ან სამუშაოების შესახებ (ან მომსახურებას ან სამუშაოებს, რომლებიც განხილვება საზოგადოებრივად ერთ-ერთი ქვეყნის მიერ), ან ხელისუფლების ერთი ორგანოს მიერ საზღვრის მეორე მხარის ხელისუფლების ორგანოს დამატებით დაფინანსებას. ასეთი საზოგადოებრივი კონცესიები მოიცავენ ვარკვეულ რისკს და პასუხისმგებლობას უზრუნველყოფილ საზოგადოებრივ მომსახურებასთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვენ კონტრაქტში სხვა დებულებების ჩართვასაც, იმათ გარდა, რომლებიც განსაზღვრულნი არიან კერძოსამართლებრივი კონტრაქტების მოდელში.

ამ ტიპის ტრანსსასაზღვრო კონტრაქტები არ არიან ნებადართულნი ყველა ქვეყანაში. შესაბამისად, მათი დადების შესაძლებლობანი და გამოყენების პირობები ხშირად განსაზღვრულნი უნდა იყვნენ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით (ინილეთ შეთანხმების მოდელი 1.4)

ამგვარი კონტრაქტების გამოყენებამ, რომელთა შემუშავება და განხორციელება საკმაოდ ადვილია, ზოგჯერ შეიძლება თავიდან აიცილოს ერთობლივი ორგანიზაციის – ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ტრანსსასაზღვრო სინდიკატის საქმიანობის აუცილებლობა, რაც წინ სწევს სხვა იურიდიული ხასიათის პრობლემებს.

კონტრაქტის დებულებები

იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტი ითვალისწინებს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი კუთვნილი საზოგადოებრივი ქონების, საზოგადოებრივი მომსახურების ან ობიექტის შექმნასა და მართვას ერთ ქვეყანაში მაინც, სახელშეკრულებო გარანტიები განსაზღვრულნი უნდა იქნან შესაბამის ქვეყანაში ან ქვეყნებში დადგენილი წესების შესაბამისად.

კონტრაქტი, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ სპეციფიკურ პირობებს:

1. რეგულაციები, რომლებითაც ხდება შესაბამისი ობიექტის ან მომსახურების შექმნისა და მოქმედების მოწესრიგება (მაგ; გრაფიკი, ხარჯები, გამოყენების პირობები და სხვ.);
2. სპეციალური პირობები, რომლებითაც რეგულირდება შესაბამისი ობიექტის ან მომსახურების შექმნა (მაგ; აუცილებელი ნებართვები, პროცედურა და სხვ.);
3. ობიექტის ან მომსახურების შესახებ კონტრაქტის პირობები;
4. კონტრაქტის მისადაგება საზოგადოებრივ ინტერესებთან და შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია;

5. ურთიერთობების უზრუნველყოფა ობიექტის ან მომსახურების მომხმარებლებსა და ოპერატორს შორის (მაგ; ხელმძისაწვდომობის პირობები, ვადასახადები და სხვ.);

6. კონტრაქტიდან გამოსვლა, მასზე უარის თქმა ან შეწყვეტა.

ამ სპეციალურ მოთხოვნებთან ერთად, ასევე გამოიყენება 2.4 სახელმძღვანელო კონტრაქტში განსაზღვრული პირობები.

2.6 სახელმძღვანელო შეთანხმება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოთა შექმნის შესახებ

შესავალი შენიშვნა: მიიჩნევა, რომ რამდენიმე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს შეუძლია გაერთიანდეს და კანონიერ საფუძველზე შექმნას ორგანიზაცია, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს და აამოქმედოს რაიმე საზოგადოებრივი კომუნალური მომსახურების ორგანიზაცია, სამსახური ან ობიექტი.

ასეთი ასოციაციის ან სინდიკატის შექმნა და ფუნქციონირება ძირითადად დამოკიდებულია მოქმედ კანონმდებლობაზე და მანამდე დადებულ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებაზე, რომელიც იძლევა თანამშრომლობის ამ ფორმის ნებართვას (იხილეთ შეთანხმების მოდელი 1.5).

ქვემოთ მოცემულია იმ დებულებების სია, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს ასოციაციის წესდება, იმდენად, რამდენადაც ეს მოითხოვება გამოსაყენებელი კანონმდებლობით.

ასოციაციის წესდება, ინტერ ალია, უნდა ითვალისწინებდეს:

1. ასოციაციის დამფუძნებელი წევრების სახელებს და ახალი წევრების მიღების პირობებს;
2. ასოციაციის სახელს, შტაბბინის მისამართს, ხანგრძლივობას და სამართლებრივ სტატუსს (იმ კანონის დებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც ანიჭებენ მათ სამართლებრივ სტატუსს);
3. ასოციაციის მიზანს, იმ გზებს, რომლებითაც მიიღწევა ეს მიზანი და ასოციაციის გამგებლობაში არსებულ სახსრებს;
4. გზას, რომლითაც ხდება საწესდებო კაპიტალის შექმნა;
5. წევრების პასუხისმგებლობის მოცულობასა და ფარგლებს;
6. ასოციაციის ადმინისტრატორთა და მენეჯერთა დანიშვნისა და ვათავისუფლების პროცედურას და მათ უფლებამოსილებებს;
7. ასოციაციის ურთიერთობას მის წევრებთან, მესამე მხარეებთან და ზემდგომ ორგანოებთან, კერძოდ, შეტყობინებებს ბიუჯეტის, ბალანსის და ანგარიშის შესახებ;
8. იმ პირებს, რომლებსაც აკისრიათ ასოციაციის საქმიანობაზე ფინანსური და ტექნიკური კონტროლის და ამ კონტროლის შესახებ მოხსენებების გაკეთების ვალდებულებანი;
9. ასოციაციის წესდების შეცვლის და ასოციაციის ლიკვიდაციის პირობებს;

10. ასოციაციის მომსახურე პერსონალის მიმართ გამოსაყენებელ წესებს;

11. წესებს გამოსაყენებელი ენების შესახებ.

2.7 შეთანხმების მოდელი რეგონებს შორისო და/ან საქალაქთ შორისო ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის შესახებ (ინილეთ პუნქტი 1.6)

2.8 შეთანხმების მოდელი სივრცის ათვისების სფეროში რეგონებს შორისო და/ან საქალაქთ შორისო ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ (ინილეთ პუნქტი 1.8)

2.9 შეთანხმების მოდელი ტრანსსასაზღვრო პარკების შექმნისა და მართვის შესახებ (ინილეთ პუნქტი 1.9)

2.10 შეთანხმების მოდელი ტრანსსასაზღვრო სასოფლო სამეურნეო პარკების შექმნისა და მართვის შესახებ (ინილეთ პუნქტი 1.10)

2.11 კერძო სამართლებრივ ასოციაციებს შორის შეთანხმების მოდელი ტრანსსასაზღვრო პარკების შექმნისა და მართვის შესახებ

ასოციაცია
ასოციაცია
[და ასოციაცია],²

ათვითცნობიერებენ რა ერთობლივი მუშაობის საჭიროებას, რაც აუცილებელია ცხოვრების სათანადო ხარისხის შესანარჩუნებლად;

სურთ რა მოახდინონ მათი საქმიანობის კოორდინაცია, იმ მიზნით, რომ დაიცვან რაიონის ბუნებრივი სიმდიდრეები და ლანდშაფტის თავისებურებები;

შეიკრიბნენ რა დამფუძნებელ ასამბლეაზე, რომელიც ჩატარდა ში, წლის

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

შეიქმნას კერძო სამართლებრივი ტრანსსასაზღვრო ასოციაცია:

1. ასოციაციის დამფუძნებელი წევრები არიან:

- ა) წარმოდგენილი
- ბ) წარმოდგენილი
- გ) წარმოდგენილი

- ახალი წევრების მიღება მოხდება შემდეგი პირობების დაცვით:

-
- ა)
- გ)

2. ასოციაციის სახელია

შემდგომში იგი მოხსენიებული იქნება, როგორც ასოციაცია.

- მისი შტაბბინა მდებარეობს სახელმწიფოს ტერიტორიაზე.
- გამოიყენება მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობა და რეგულაციები, სადაც მდებარეობს შტაბბინა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც სხვა რამ არის განსაზღვრული შეთანხმების დამატებით.

3. ასოციაციის მიზანს წარმოადგენს და ზოგადად, ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია ასოციაციის რომელიმე მიზანთან.

4. ასოციაციის მართვა ხდება მმართველი კომიტეტის მიერ, რომელიც ნიშნავს:

- ა) თავმჯდომარეს;
- ბ) თავმჯდომარის მოადგილეს;
- გ) ხაზინაძარს;
- დ) მდივანს;
- ე) ერთ ან ორ თანაშემწეს.

ბიუროს წევრებს ნიშნავს გენერალური ასამბლეა (მისი რიგითი სხდომა).

უფლებამოსილების ვადა არ გადააჭარბებს წელს და შეიძლება განახლდეს ვადით.

გენერალური ასამბლეა იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც. მისი სხდომები არ არის უფლებამოსილი, თუკი მას არ ესწრება წევრთა ორი მესამედი.

გადაწყვეტილების მიღება ხდება წევრების ხმათა (შედარებით) (აბსოლიტური) უმრავლესობით. ნებისმიერ წევრს, რომელსაც არ შეუძლია დაესწროს სხდომას, შეუძლია გასცეს ხმის მიცემის რწმუნება სხვა წევრზე (იმავე ქვეყნის მოქალაქეზე, რომლის მოქალაქეც თავად არის). არცერთ წევრს არ ექნება ..-ზე მეტი ხმა.

5. ასოციაციის წესდების შეცვლა ხდება გენერალური ასამბლეის საგანგებო შეკრებაზე დამსწრეთა ხმების ორი-მესამედის უმრავლესობით. საგანგებო გენერალური ასამბლეა იკრიბება მმართველი კომიტეტის ან მისი არანაკლებ ორი წევრის წინადადებით.

ასოციაციის ლიკვიდაცია შესაძლებელია მხარეებს შორის მეგობრული შეთანხმების გზით ან სათანადო წესით მოწვეულ გენერალურ ასამბლეაზე წევრების ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

6. მხარეები ვალდებულია იღებენ აცნობონ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასოციაციის შექმნის შესახებ და მიაწოდონ მას ასოციაციის წესდება. ასოციაციის დაშლის შესახებ გადაწყვეტილება ასევე შეიძლება მიეწოდოს მას ინფორმაციისათვის.

მუხლი 2

მხარეები ასევე იღებენ ვალდებულებას მათი კანონების შესაბამისად მიიღონ ყველა სათანადო ზომა ტრანსსასაზღვრო პარკის მართვის კოორდინირების მიზნით.

ეს კოორდინაცია, კერძოდ, მოიცავს:

- ბუნებრივი ლანდშაფტისა და მისი სპეციფიკური ხასიათის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას;
- სპეციფიკური მემკვიდრეობის (ფლორა, ფაუნა, ბუნებრივი გარემო) დაცვასა და გამდიდრებას;
- აუცილებელი ნაბიჯების გადადგმას იმ ფაქტორების დასაცავად, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ტრანსსასაზღვრო პარკისა და გარემოს შემოსსენებულ ეკოლოგიურ და ფიზიკურ სიმიდრეებზე;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღონისძიებების ზედამხედველობასა და მართვას პარკში, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი შესაბამისობა შემოთინამოთვლილ მიზნებთან და იმასთან, რომ ტრანსსასაზღვრო პარკის ხასიათი დაცული იყოს.

2. ამ მხრივ, ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ საერთო ინტერესებში შემავალი ერთობლივი საქმიანობის პროგრამას, რომელიც კერძოდ უნდა შედგებოდეს შემდეგი პუნქტებისაგან:

- ინფორმაცია;
- მცენარეთა და ცხოველთა დაცვა და განვითარება;
- ხანძრის, ეპიდემიების და სხვ. აღკვეთა და კონტროლი;
- საწყალოსნო ვზების და ნაპირებისა და მისადგომების დაცვა საზღვრის ორივე მხარეს;
- ტურიზმი;
- დაბინავება;
- ბილიკები.

მუხლი 3

შემოსსენებული საერთო ინტერესებში შემავალი ერთობლივი საქმიანობის პროგრამის მიღება ხდება იმ ასოციაციებს შორის ურთიერთშეთანხმებით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შესაბამისი ბუნებრივი პარკის მართვაზე და რომლებსაც უნდა ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღები ისეთი ორგანო, როგორცაა გენერალური ასამბლეა.

მუხლი 4

საერთო ინტერესებში შემავალი ერთობლივი საქმიანობის პროგრამა განსაზღვრავს გასატარებელი ღონისძიებების გრაფიკებს, მიზნებსა და დაფინანსების საშუალებებს, ისევე როგორც, მართვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებს. ისინი ასევე განსაზღვრავენ თითოეული ხელშემკვრელი მხარის ფინანსური წილის გამოთვლის პროცედურას. ამასთან, პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს დებულებას შენატანების შესაბამისობაში მოსაყვანად ახალ გარემოებებთან, რომლებიც წარმოიქმნებიან პროგრამის განხორციელების დროს.

მუხლი 5

მხარეები იღებენ ვალდებულებას განახორციელონ ამ შეთანხმების (და საერთო ინტერესებში შემავალი ერთობლივი საქმიანობის ხელმოწერილი პროგრამის) დებულებები.

მუხლი 6

ეს შეთანხმება დადებულია წლის ვადით მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. იგი ავტომატურად განახლდება შემდგომი წლის ვადით, თუ რომელიმე მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას შეთანხმების ამოწურვიდან ერთი წლით ადრე.

მუხლი 7

თითოეული მხარე აცნობებს სხვა მხარეს ამ შეთანხმების ძალაში შესასვლელად მისი შიდა სამართლით მოთხოვნილი პროცედურების დასრულების შესახებ. შეთანხმება ძალაში შედის ბოლო შეტყობინების მიღების შემდეგ.

2.12 შეთანხმების მოდელი ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოებს შორის თანამშრომლობის განვითარების შესახებ სამოქალაქო თავდაცვის და სასაზღვრო რაიონებში უბედური შემთხვევების დროს ურთიერთდახმარებისას

(სახელმძღვანელო)

..... და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები (ან რეგიონები), შედიან რა და სახელმწიფოების იურისდიქციებში,

* რომლებიც არიან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მხარეები⁴

* რომლებიც მიუერთდნენ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპულ კონვენციას;

გადაწყვიტეს რა დაეხმარნონ ერთმანეთს საზღვრის ორივე მხარეს მომხდარი უბედურების შემთხვევებში;

დარწმუნდნენ რა ამგვარი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ყველა ღონისძიების ერთობლივად გატარებისა და მაქსიმალურად ეფექტური დახმარების აღმოჩენის საჭიროებაში, რათა გაუმკლავდნენ ამგვარი შემთხვევის შედეგებს,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

ხელშეშეკრული მხარეები თანხმდებიან მათი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში გაუწიონ ერთმანეთს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული დახმარება რომელიმე მხარის ტერიტორიაზე მომხდარი უბედური შემთხვევების დროს.

მუხლი 2

1. დახმარების გაწევა განხორციელდება ერთ-ერთი ხელშეშეკრული მხარის ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს თხოვნის საფუძველზე, რომელიც ეგზავნება მეორე მხარის ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს. ასეთი თხოვნა განსაზღვრავს მოთხოვნილი დახმარების ბუნებასა და ზომას მე-3 მუხლის დებულებების გათვალისწინებით.

2. ხელისუფლების ის ორგანო, რომელსაც სთხოვეს დახმარება, აცნობებს მოთხოვნილ ხელისუფლების ორგანოს იმ დახმარების ხასიათსა და ზომასზე, რომლის გაწევის შესაძლებლობაც მას ექნება.

მუხლი 3

1. ამ შეთანხმების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დახმარების გაწევა შესაძლებელია შემდეგი ერთი ან მეტი ფორმით:

ა) შესაბამისი აღჭურვილობის, ისეთების, როგორცაა ადგილები, კარავები, ტანსაცმელი, საკვები და სამედიცინო მედიკამენტები, მიწოდება, რომელიც დააკმაყოფილებს იმ მოსახლეობის საჭიროებებს, რომელზეც ზეგავლენა იქონია უბედურმა შემთხვევამ;

ბ) პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის, მედიკამენტებისა და სამაშველო ჯგუფების გაგზავნა;

გ) ოპერატიული და ადმინისტრაციული ჯგუფების გაგზავნა;

დ) ტექნიკური, სამედიცინო და პირველადი დახმარებისა და სხვა ჯგუფების გაგზავნა;

ე)

ვ)

(ა) და (ბ) ქვე-პუნქტებში მოხსენიებული საქონელის გაგზავნისას, ხელისუფლების შესაბამისი ორგანო აცნობებს იმ ხელისუფლების ორგანოს, რომელსაც ეს საქონელი ეგზავნება, ეს საქონელი მას მიეწოდება სესხის თუ საჩუქრის სახით.

2. იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ამ დებულების განხორციელებას, ხელშემკვრელი მხარეები რეგულარულად გაცვლიან ინფორმაციას იმ დახმარების ხასიათისა და ზომის შესახებ, რომლის გაწევაც მათ შეეძლებათ უბედური შემთხვევის დროს.

მუხლი 4

1. ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ ყველა სათანადო ზომას, რომ წინა მუხლში მოხსენიებული პერსონალისა და აღჭურვილობის გადატანა მოხდეს რაც შეიძლება ეფექტურად, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება საჰაერო ტრანსპორტი, ისინი მიიღებენ უსაფრთხოების აუცილებელ სპეციალურ ზომებს.

მუხლი 5

1. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელშემკვრელი მხარეები სზგავარად შეთანხმდებიან, სამაშველო ოპერაციების წარმართვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოს, რომელიც მითითვს დახმარებას.

2. ხელისუფლების ის კომპეტენტური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას, აცნობებს მთხოვნელ მხარეს იმ პირების სახელებს, რომლებსაც აკისრიათ უცხოური სამაშველო ჯგუფების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.

მუხლი 6

1. დახმარების გაწევის ხარჯები დაიფარება იმ მრეწველობის მიერ, რომელიც წარმოადგენს უბედურების მიზეზს (ქიმიური, ატომური კატასტროფა და სხვ.), ან იმ ხელშემკვრელი მხარის მიერ, რომელიც მიიღებს დახმარებას, ან ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯები შეიძლება დაიფაროს ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

2. ამასთან, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია იღებს სთხოვოს სხვა შესაბამის მხარეებს გაწეული ხარჯების ანაზღაურება და არა კომპენსაცია დანაკარგებისა და ავტომანქანებისა და მექანიზმების დაკარგვისა და დაზიანებისათვის, რომელთა გამოყენება მოხდა ურთიერთდახმარების გაწევის ან სამაშველო ოპერაციების განხორციელების დროს.

3. ხელისუფლების ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებული ინფორმაციის მიწოდებისას აღნიშნავს, თუ რომელი ხარჯები არ იქნებიან ჩართულნი ოპერაციის განხორციელებიდან გამომდინარე ჩვეულებივ ხარჯებში, იმათ გარდა, რომლებიც მოხსენიებულნი არიან მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში.

ქვემოთ მოცემული ტექსტი, რომელიც ეფუძნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივ კონვენციებს საფრანგეთთან და ლუქსემბურგთან უბედურების, ან სერიოზული უბედური შემთხვევების დროს ურთიერთდახმარების შესახებ, შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც მე-6 მუხლის ალტერნატივა.

მუხლი 6

1. ხარჯები, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკვრული მხარის სამაშველო ჯგუფის მიერ 1-ლი და მე-3 მუხლების შესაბამისად დახმარების გაწევიდან, ნებისმიერი ხარჯების ჩათვლით, რომლის გაწევაც მოხდა რაიმე აღჭურვილობის დაკარგვის ან მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების შედეგად, არ ანაზღაურდება იმ ხელშეკვრული მხარის ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომელსაც გაეწია დახმარება. საჰაერო სომალდით დახმარების გაწევის შემთხვევაში, ხელშეკვრულ მხარეს, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას, შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება იმ ხელშეკვრული მხარისაგან, რომელსაც გაეწია დახმარება იმ ხარჯების ანაზღაურებისას, რომლებიც გამომდინარეობენ საჰაერო სომალდის გამოყენებისაგან.

2. იმ ხელშეკვრული მხარეების სამაშველო ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ დახმარებას, ოპერაციის მიმდინარეობის დროს მიიღებენ საკვებსა და დასაბინავებელ ადგილებსა და ყველა აუცილებელ საქონელს მთხოვნილი მხარის ხარჯზე, იმ ზომით, რითაც მოხდება შესაბამისი მარაგების გამოყენება. ისინი ასევე მიიღებენ შესაბამის მედიკამენტებს.

მუხლი 7

1. ნებისმიერი ზარალი, რომლის მიყენებაც მოხდა იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ დახმარებას ამ შეთანხმების შესაბამისად, კომპენსაციის მიღების მიზნით, ექნებათ უფლება მიმართონ ხელშეკვრულ მხარეს, რომელმაც მოითხოვა დახმარება ამ შეთანხმების შესაბამისად.

2. ამასთან, 1-ლი პუნქტის დებულებები არ გამოიყენებიან იმ პირების ან ქონებისათვის ზარალის მიყენების მიმართ, რომლებიც მიეწოდა დახმარების მთხოვნილ ხელშეკვრულ მხარეს ამ შეთანხმების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემული ტექსტი, რომელიც ეფუძნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივ კონვენციებს საფრანგეთთან და ლუქსემბურგთან უბედურების, ან სერიოზული უბედური შემთხვევების დროს ურთიერთდახმარების შესახებ, შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც მე-7 მუხლის ალტერნატივა.

მუხლი 7

1. თითოეული ხელშეკვრული მხარე უარს იტყვის კონფისკაციის თაობაზე ნებისმიერი სარჩელის შეტანაზე მისთვის კუთვნილი ქონებისათვის ზარალის მიყენების გამო, იმ შემთხვევაში, როდესაც ზარალის მიყენება მოხდა მეორე ხელშეკვრული მხარის სამაშველო ჯგუფის წევრის მიზეზით ამ შეთანხმების აღსრულებასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას.

2. თითოეული ხელშეკვერელი მხარე უარს იტყვის ნებისმიერ სარჩელზე კომპენსაციის მიღების მიზნით სხვა ხელშეკვერელი მხარისაგან სამაშველო ჯგუფის ნებისმიერი წევრის დაზიანების ან გარდაცვალების გამო შეთანხმების აღსრულებასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას.

3. თუ მესამე პირს მიაღება ზიანი დანშარების გამწევი იმ ხელშეკვერელი მხარის სამაშველო ჯგუფის წევრის მიერ, რომელიც ასრულებდა მოვალეობებს ხელშეკვერელი მხარის ტერიტორიაზე, ხელშეკვერელ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა ზიანის მიყენებისათვის იმავე წესებით, რითაც დაეკისრებოდა მას პასუხისმგებლობა მისი სამაშველო ჯგუფების მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში.

4. ხელშეკვერელი მხარეების ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მჭიდროდ ითანამშრომლებენ იმ მიზნით, რომ დააჩქარონ კომპენსაციის შესახებ სარჩელების განხილვა. კერძოდ, ისინი ვაცვლიან მათთვის ხელმისაწვდომ ყველა ინფორმაციას ამ მუხლით განსაზღვრული ზიანის მიყენების შემთხვევაში.

5. ეს მუხლი ასევე გამოიყენება ერთობლივად ორგანიზებული სამაშველო ჯგუფების საქმიანობის შემთხვევაშიც.

N.B. მხარეების ყურადღება მიიპყრობილია იმ ფაქტისადმი, რომ თუკი ისინი შეთანხმებებში მოახდენენ არა ორივე მე-6 და მე-7 ალტერნატიული მუხლების გამოყენებას, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანისას, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ეს გამოყენებული მუხლი შესაბამისობაში იყოს სხვა სათანადო მუხლებთან; შესაბამისად, დანშარების ხარჯების და ქონებისათვის ზარალის და ზიანის მიყენების მხრივ.

მუხლი 8

ამ შეთანხმების შესაბამისად განხორციელებული სამაშველო ოპერაციები შეწყდება იმ ორგანოს თხოვნით, რომელმაც ითხოვა დანშარების გაწევა.

მუხლი 9

იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ამ შეთანხმების გამოყენებას, ხელშეკვერელი მხარეები ეცდებიან რეგულარულად მოახდინონ პერსონალის ვაცვლა და ერთობლივი წვრთნები შესაბამისი სამაშველო პერსონალისათვის.

მუხლი 10

ხელშეკვერელი მხარეები ვალდებულიებას იღებენ აცნობონ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ შეთანხმების დადების შესახებ და გაუგზავნონ მას შეთანხმების ტექსტი.

2.13 შეთანხმების მოდელი სკოლებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის შესახებ

შეთანხმების ეს მოდელი ეხება სხვადასხვა ქვეყნების ორ სკოლას შორის თანამშრომლობას პარტნიორობის ფორმით.

მისით უზრუნველყოფილია ტრანსნაციონალური თანამშრომლობის საკმაოდ თავისუფალი, ზოგადი ფორმა, რომელსაც, ამასთან, აქვს საკმაოდ ამბიციური მიზნები, მაშინ, როდესაც თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს შესაბამის საგანმანათლებლო და ლინგვისტურ კონცეფციებზე დაფუძნებული ხანგრძლივი და საკმაოდ ინტენსიური თანამშრომლობა.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოვალეობას წარმოადგენს თანამშრომლობის ძირითადი ფარგლების განსაზღვრა იმ ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის, სადაც მდებარეობენ სკოლები, და კონსულტაციებით, ისევე როგორც, მატერიალური, ფინანსური და პერსონალით მხარდაჭერა. როგორც ასეთი, ისინი წარმოადგენს თანამშრომლობის ამ სახის სრულყოფილებიან მონაწილეებს.

მუხლი 1

ამ შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის ორგანიზება, ერთის მხრივ, სკოლა ქ-სა და ადმინისტრაციულ ერთეულ X-ს შორის და სკოლა -სა და ადმინისტრაციულ ერთეულ ძ შორის, მეორეს მხრივ, იმ მიზნით, რომ ორივე სკოლის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ ისარგებლონ სკოლათა სიღრმისეული ტრანსნაციონალური თანამშრომლობისაგან.

ამ თანამშრომლობის მიზნებია:

- პარტნიორი ქვეყნის ენის ცოდნის გაუმჯობესება და ბილინგუალიზმის განვითარება;
- სწავლების საერთაშორისო მიდგომის შემოღება ექსპერიმენტების ჩატარებითა და პარტნიორი ქვეყნის კულტურის შესწავლის გაძლიერებით, ერთობლივი პროექტების განხორციელების საშუალებით;
- პირადი კონტაქტების გაღრმავება შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების სკოლების მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის.

მუხლი 2

ამ თანამშრომლობის მიზნების მიღწევისათვის გამოსაყენებელი საშუალებებია:

- მასწავლებელთა ვაცვლა;
- მოსწავლეთა დასწრება პარტნიორ სკოლაში მათი ოჯახების, ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულებისა და შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების დახმარებით;
- მოსწავლეების ყურადღების გამახვილება ორი პარტნიორი ქვეყნის კულტურებზე ისტორიის, გეოგრაფიის, ლიტერატურის და სხვა საგნების სწავლის დროს;
- სასწავლო მასალების, ისეთების, როგორცაა, რუკები, წიგნები, ჟურნალები, კასეტები და აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობის ვაცვლა;
- პარტნიორი ქვეყნის ენის ადრეული შესწავლის ინტენსიური პროგრამების შემუშავება;
- შესაბამისი სკოლების მოსწავლეებისათვის ღია სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრების ორგანიზაცია;
- შესაბამისი სკოლების მოსწავლეთათვის ღია პირა-სასკოლო ღონისძიებების ორგანიზაცია.

მუხლი 3

ხელმოქმედებული სკოლათა ადმინისტრაციები უზრუნველყოფენ, რომ ამ შეთანხმებით მოცული თანამშრომლობა ინტეგრირებული იყოს მათი სკოლების ორგანიზაციაში, კერძოდ, განრიგის, სასწავლო მეთოდების, პირა-სასკოლო საქმიანობისა და შესაძლებლობების მხრივ.

ისინი უზრუნველყოფენ, რომ მათ ქვეყანაში სკოლების მასწავლებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა და დრო დაამყარონ კონტაქტები, ვაცვალონ ინფორმაცია, მოახდინონ მათი საქმიანობის კოორდინაცია და თანამშრომლობის ღონისძიებათა ორგანიზება.

ისინი ეცდებიან მომზადონ მასწავლებლები სწავლების კულტურათშორისი მიდგომის გამოსაყენებლად და გაამყარონ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის შედეგები.

ისინი მიიღებენ ზომებს იმისათვის, რომ პარტნიორი ქვეყნის ენას ჰქონდეს ფუნქციონალური და სიმბოლური დატვირთვა შესაბამისი სკოლების ორგანიზაციაში და ფუნქციონირებაში.

მუხლი 4

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას, იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ მატერიალური დახმარება და კონსულტაციები ამ შეთანხმებით მოცული სკოლათა თანამშრომლობის პროგრამებისათვის.

ისინი უზრუნველყოფენ, რომ ამ შეთანხმებით მოცული თანამშრომლობა სკოლებს შორის ჩართული იყოს მათი საერთო თანამშრომლობისა და პარტნიორობის პროგრამაში. ისინი შეადგენენ სკოლათა თანამშრომლობის სქემებს კულტურულ სფეროში მათი გამოცდილების შესაბამისად.

მუხლი 5

ამ შეთანხმებით მოცული თანამშრომლობის განხორციელების მიზნით, თითოეული მხარე ვაიღებს შეთანხმების დამატებაში განსაზღვრულ თანხებს.

(შენიშვნები: ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულისათვის, თანამშრომლობის შესახებ ასეთ შეთანხმებაში გაღებული თანხები მოიცავს:

- დაფინანსებას (მეზავრობის ხარჯები, უცხოელ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება);
- აღჭურვილობის მიწოდებას;
- პერსონალის გაგზავნას;
- სასკოლო და პარა-სასკოლო ღონისძიებებისათვის შენობების ან გაცვლით პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის დაბინავების უზრუნველყოფას;
- სამდივნის ხარჯების ანაზღაურებას;
- სსგ.).

სკოლების ადმინისტრაციებისა და თავად სკოლების მიმართ, ეს შენატანები შეიძლება შედგებოდნენ პერსონალის გაგზავნის, განრიგისა და კურსების ადაპტაციის, მომსახურების უზრუნველყოფის, დაფინანსების, პარტნიორი სკოლის მოსწავლეების ხარჯების დაფარვისაგან და სსგ.

მუხლი 6

საქმიანობის პროგრამა თითოეული წლისათვის მტკიცდება ამ შეთანხმების მხარეთა მიერ. იგი მიუთითებს გასატარებელ ღონისძიებებზე, გამოსაყენებელ სახსრებსა და თითოეული მხარის ფინანსურ შენატანზე.

მუხლი 7

შეთანხმების ხელმომწერ სკოლათა ადმინისტრაციებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და ადმინისტრაციული ერთეულების, ასევე მშობლების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომიტეტი, ახორციელებს ზედამხედველობას თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე.

ამ კომიტეტის წუსტი შემადგენლობა განსაზღვრულია შეთანხმების დამატებაში.

ეს კომიტეტი ამზადებს მე-ნ მუხლით გათვალისწინებულ ყოველწლიურ სამოქმედო პროგრამებს; იგი განიხილავს პროგრამის პრაქტიკული ორგანიზაციისა და აღსრულების საკითხებს; იგი მოახდენს გარე დამფინანსებლების კოორდინაციას და მოახდენს მიღებული საქმიანობის შეფასებას.

მუხლი 8

ამ შეთანხმების კონტექსტში, შესაბამისი სკოლის მასწავლებლები შეიძლება გაიგზავნონ პარტნიორ სკოლაში. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი ექვემდებარება მიმღები სკოლის ადმინისტრაციას. შეთანხმება მასწავლებლის ვაგზავნის შესახებ განსაზღვრავს დაეკავშირებული ხარჯების ანაზღაურების პირობებს.

მუხლი 9

იმ შემთხვევაში, თუ ზარალის მიყენება მოხდა მოსწავლეების ან მასწავლებლების მიერ ამ შეთანხმების შესაბამისად თანამშრომლობის პროგრამის განხორციელების დროს, ის სკოლა, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა ღონისძიებაზე, რომლის განხორციელების დროსაც მოხდა ზიანის მიყენება, გადაუხადოს კომპენსაციას დაზარალებულს და, ამასთან, შესაძლებლობის შემთხვევაში, მას უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი შესაძე პირის წინააღმდეგ.

მუხლი 10

ამ შეთანხმების დამატებაში ცვლილებების შეტანა შეიძლება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ მხედველობაში იქნას მიღებული თანამშრომლობის განვითარება.

მუხლი 11

ეს შეთანხმება დადებულია ექვსი წლის ვადით და იგი ავტომატურად განახლდება შემდეგი სამი წლის ვადით. მისი შეწყვეტა შეიძლება ერთ-ერთი მხარისათვის ერთი წლით ადრე შეტყობინების ვაგზავნის გზით.

2.14 შეთანხმების მოდელი ტრანსსასაზღვრო სასკოლო მეცადინეობების დაარსების შესახებ

ამ უაღრესად ორიგინალური შეთანხმების მოდელის მიზანს წარმოადგენს ინტენსიური თანამშრომლობის განვითარება სკოლების ადმინისტრაციებს შორის საზღვრის ორივე მხარეს, იმ მიზნით, რომ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დახმარებით დაარსდეს ტრანსსასაზღვრო კურსები, რომლებსაც დაესწრებიან ბავშვები საზღვრის ორივე მხარედან. ეს გაკვეთილები ჩატარდება არსებულ სკოლებში ანალი სკოლის დაფუძნების გარეშე, სახსრების უბრალო გადანაწილებითა და მასწავლებელთა ვაცვლით. ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულები და ხელისუფლების ორგანოები პირდაპირ მიიღებენ მონაწილეობას თანამშრომლობის ამგვარ ფორმაში, როგორც წამყვანი ძალები და უზრუნველყოფენ დამატებით დახმარებას (მაგალითად, სასკოლო ტრანსპორტის დაფინანსებას ან სხვა სპეციფიკურ გარანტიებს) და როგორც პარტნიორები სასწავლო პროგრამების კულტურათმორისი და ორენოვანი სწავლების მიდგომაში.

შეთანხმების ეს ტიპი იდება საზღვრის ორივე მხარის სკოლათა ადმინისტრაციებისა და ხელისუფლების კომპლექტურ ადგილობრივ ორგანოებს შორის.

მუხლი 1

ამ შეთანხმების მიზანს წარმოადგენს იმ სკოლის მუშაობის განრიგის პირობების განსაზღვრა, რომელიც საერთოა ბავშვებისა და მოსწავლეებისათვის X რაიონიდან (საზღვრის ერთ მხარეს) და რაიონიდან (საზღვრის მეორე მხარეს).

(ალტერნატიული დებულება: იგი ექვემდებარება თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების კონტექსტს X და სახელმწიფოებს შორის, რომელიც დადებულია იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ტრანსსასაზღვრო სასკოლო გაცვლებს, როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფართოვება).

შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ბავშვებისათვის თითოეული ქვეყნის ენისა და კულტურის შესწავლა მაღალ დონეზე და თითოეული ქვეყნის განათლების სისტემისათვის დამახასიათებელი აკადემიური ცოდნის მიღება, ისე, რომ შესაძლებელი იყოს თითოეულ საგანმანათლებლო სისტემაში სწავლა რაიმე მნიშვნელოვანი სიძნელის გარეშე.

ამ მხრივ, ის ბავშვები ორივე მოსაზღვრე რაიონიდან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მეცადინეობებში, დაესწრებიან სკოლას ერთად და მიიღებენ იმავე განათლებას, რომლითაც ხდება უზრუნველყოფა ნაწილობრივ საზღვრის ერთ მხარეს და ნაწილობრივ, საზღვრის მეორე მხარეს შესაბამისი სკოლების მასწავლებლების მიერ.

სკოლათა ადმინისტრაციები და ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულები იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ამ მეცადინეობების განვითარებას მათი უფლებამოსილებებისა და სახსრების შესაბამისად.

მუხლი 2

ბავშვები ტრანსსასაზღვრო მეცადინეობების შემდეგ ადმინისტრაციული თვალსაზრისით დარეგისტრირდებიან, როგორც მოსწავლეები თითოეული ქვეყნის შესაბამის სასკოლო სისტემებში და უფლება ექნებათ მიიღონ განათლების მხოლოდ ნაწილი თითოეულ ქვეყანაში.

მუხლი 3

მეცადინეობებს წარმართავენ ორი სახელმწიფოს სკოლების ადმინისტრაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომიტეტი და ასევე მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენლები და შესაძლებლობის შემთხვევაში, კვალიფიციური ფიზიკური პირები.

ეს წარმართვა გულისხმობს:

- ბავშვების შერჩევას, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან მონაწილეობა მიიღონ მეცადინეობებში;
- მეცადინეობის განრიგის შემუშავებას;
- იმ მასწავლებელთა და სპონსორთა დამტკიცებას, რომლებიც ჩართულნი იქნებიან მეცადინეობების განხორციელებაში;
- სასწავლო პროგრამისა და სხვა სასკოლო საქმიანობის განსაზღვრას;
- იმ პირების დანიშნვას, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან კურსების ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო მხარეზე;
- სხვადასხვა სპონსორების საქმიანობის კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას;
- მეცადინეობების პრაქტიკულ ორგანიზაციას;
- მონიტორინგსა და შეფასებას;

- დავის არსებობის შემთხვევაში, არბიტრირებას.

კომიტეტის მოვალეობებში შედის მე-4 და მე-5 მუხლების კონტექსტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად იმ სასკოლო ღონისძიებათა შერჩევა, რომლისთვისაც პასუხისმგებელია თითოეული ორგანო და ასევე, გამოსაყენებელი შენობების შერჩევა. კომიტეტის ზუსტი შეზღუდვებითაა განსაზღვრულია შეთანხმების დამატებაში. კომიტეტის მიერ შედამხედველობის განხორციელების მიზნით, კომიტეტს შეუძლია შექმნას ქვე-კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები. იგი მიიღებს თავის რეგლამენტს, რომლითაც განისაზღვრება მისი მუშაობის პირობები.

კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. ამასთან, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებიან დამატებითი სახსრების მიღებას, იმათ გარდა, რომლებიც განსაზღვრულნი არიან მე-4 და მე-5 მუხლებში მოხსენიებულ დამატებებში, ექვემდებარება იმ ხელისუფლების ორგანოს ან ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის თანხმობას, რომელსაც მოეთხოვება სახსრებით უზრუნველყოფა.

კომიტეტის გადაწყვეტილებები განხორციელდება მასწავლებლებისა და დანიშნული ადმინისტრატორის, ასევე მათი მადგილების მიერ და მათ ევალუატი უზრუნველყონ მეცადინეობათა სწორი წარმართვა. პერსონალის დანიშვნა ექვემდებარება ორი სახელმწიფოს სკოლების ადმინისტრაციათა დამტკიცებას. ეს ადმინისტრაციები ერთობლივად შეადგენენ მოხსენებას მიღწეული პროგრესის შესახებ.

მუხლი 4

მე-3 მუხლში მოხსენიებული კომიტეტის მიერ განსაზღვრულ მეცადინეობათა შინაარსის შესაბამისად, თითოეული სკოლის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია მეცადინეობათა იმ ნაწილის ჩატარებაზე, რომლის განხორციელებაც ხდება მისი სკოლის განრიგის მიხედვით და სწავლების მეთოდებზე და ამ მიზნით, ტრანსსასაზღვრო კურსებისათვის მასწავლებლებით, სასწავლო მასალებითა და შენობებით უზრუნველყოფაზე.

ამ მეცადინეობათა კონტექსტში, ერთი ქვეყნის მასწავლებელი შეიძლება დაექვემდებაროს სხვა ქვეყნის სკოლის ადმინისტრაციას. ამ შემთხვევაში, ეს მასწავლებელი ექვემდებარება მიმღების სკოლის ადმინისტრაციას. შეთანხმება მასწავლებელთა გაცვლის შესახებ ადგენს მასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის პირობებს.

ორი სახელმწიფოს თითოეული სკოლის ადმინისტრაცია მოახდენს თანაბარი სახსრების უზრუნველყოფას მეცადინეობების ჩატარებისათვის, თითოეული სახელმწიფოდან ბავშვების რაოდენობისდა მიუხედავად.

თანდართული დამატება გვიჩვენებს თითოეული სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებათა სფეროებს პერსონალის, აღჭურვილობისა და შენობებით უზრუნველყოფის მხრივ.

შენიშვნა: ამ დამატებით შეიძლება განისაზღვროს სახსრების დაბალანსებული უზრუნველყოფა მეცადინეობათა განვითარების შესაბამისად.

მუხლი 5

ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ მატერიალური, ფინანსური და საჭიროების შემთხვევაში, პერსონალით დახმარება ტრანსსასაზღვრო მეცადინეობების განხორციელებისათვის.

შეთანხმების დამატებაში განსაზღვრულია თითოეული ხელისუფლების ორგანოს მიერ გასაწევი დახმარება.

შენიშვნა: ეს დახმარება შეიძლება ენებოდეს შენობებს, სასწავლო მასალებს, სასკოლო ტრანსპორტს, მასწავლებელთა დაბინავებას, დაფინანსებას, პერსონალის გაცვლას და სხვ.

მუხლი 6

ორი სახელმწიფოს სკოლების ადმინისტრაციებისადმი დაქვემდებარებული მასწავლებლები და შესაბამის ხელისუფლების ორგანოთა მიერ უზრუნველყოფილი სპონსორები ქმნიან განცალკევებულ პედაგოგიურ ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა საქმიანობის კოორდინაციას და იქნება მე-3 მუხლში ვათვალისწინებული წარმომადგენელთა კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი დამატებითი ორგანო.

მუხლი 7

მეცადინეობები შედგენილი უნდა იქნეს იმგაზრად, რომ გარანტირებული იყოს ორი ქვეყნის ენებს, კულტურასა და საგანმანათლებლო ტრადიციებს შორის თანასწორობა.

სასკოლო საქმიანობა და სასწავლო საგნები განაწილდება ორ ენას შორის. ყველა მოსწავლე მეცადინეობების დასრულების შემდეგ გადაიხდის ერთი ოდენობის გადასახადს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ზოგიერთი მოსწავლისათვის აუცილებელი იქნება სპეციალური გაკვეთილების ჩატარება და თუ მათ მიერ ასევე არჩეული იქნება სხვა დამატებითი საგნები.

მეცადინეობათა ჩატარების პირველი სტადიები აღწერილია დამატებაში და შემდგომში განსაზღვრული იქნება მე-3 მუხლში მოხსენიებული კომიტეტის მიერ.

შენიშვნა: როგორც წესი, ბავშვები დაიწყებენ მეცადინეობებს წინა-სასკოლო ეტაპზე. ამდენად, პირველი მეცადინეობები ჩატარდება დაწყებით კლასებში და შემდგომ, უზრუნველყოფილი იქნება ზემო კლასებში მეცადინეობების ჩატარება, როდესაც ბავშვები მიაღწევენ სასკოლო სისტემის მაღალ დონეს. ამასთან, ადგილობრივი გარემოებების ვათვალისწინებით, კერძოდ, უფრო მოზრდილი ბავშვების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც საუბრობენ ორ ენაზე, მეცადინეობები შეიძლება ჩატარდეს უფრო მაღალ კლასებშიც.

მუხლი 8

დამატებითი პარა-სასკოლო და სკოლისგარეთა ღონისძიებები შეიძლება იქნას ორგანიზებული სკოლის ადმინისტრაციის, ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულებისა და მოსწავლეთა მშობლების დახმარებით, იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ორ შესაბამისი სახელმწიფოს ენისა და კულტურის ხელმძისაწვდომობა მოსწავლეთათვის მეცადინეობების შემდეგ და გაძლიერდეს ურთიერთობები ბავშვებს შორის.

მუხლი 9

სკოლის ადმინისტრაცია სწავლების ყველა დონეზე დაეხმარება მოსწავლეებს, რომლებმაც გაიარეს საზღვრათშორისი მეცადინეობები, მოახდინონ თითოეული ქვეყნის ჩვეულებრივი სასკოლო მეცადინეობების რეფორმირება, თუკი ამის სურვილი აქვთ მათ მშობლებს ან თუ ისინი დატოვებენ საზღვრისპირა რაიონს. მოსწავლეთა მიერ საშუალო განათლების დასრულების შემდეგ, სკოლათა ადმინისტრაციები და ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მეცადინეობათა ჩატარებაზე,

ეცდებიან დაეხმარონ მოსწავლეებს მოემზადონ თითოეული ქვეყნის გამოსაშვები სასკოლო გამოცდებისათვის.

მუხლი 10

იმ შემთხვევაში, თუ წარალის მიყენება მონდა მოსწავლეების ან მასწავლებლების მიერ ამ შეთანხმების შესაბამისად თანამშრომლობის პროგრამის განხორციელების დროს, ის სკოლა, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ღონისძიებაზე, რომლის განხორციელების დროსაც მონდა წარალის მიყენება, გადაუხდის კომპენსაციას დაწარალებულს და ამასთან, შესაძლებლობის შემთხვევაში, აქვს უფლება შეიტანოს სარჩელი მესამე პირის წინააღმდეგ.

მუხლი 11

თანდართული დამატებები, რომლებიც განსაზღვარვენ მე-3 მუხლში მოხსენიებული კომიტეტის შემადგენლობას, მეცადინეობათა განვითარების სტადიებისა და ხელმძღვრე ადმინისტრაციული ერთეულების ხელისუფლების ორგანოთა მიერ გამოყოფილ სახსრებს, განახლდება ყოველწლიურად არაუგვიანეს სამი თვისა თითოეული სასწავლო წლის დაწყებამდე, რათა მხედველობაში იქნას მიღებული პროექტის პროგრესი.

მუხლი 12

ეს შეთანხმება დადებულია ექვსი წლის ვადით და მისი ავტომატური განახლება მოხდება შემდეგი სამი წლით. მისი შეწყვეტა შეიძლება ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის შეწყვეტამდე ერთი წლით ადრე შეტყობინების ვაგ ზაგნის გზით.

2.15 შეთანხმების მოდელი სასაზღვრო მდინარეებთან მიმდებარე მიწების გამოყენების საკითხებზე ტრანსსასაზღვრო ან რეგიონებს შორისი თანამშრომლობის შესახებ

(იხილეთ პუნქტი 1.13)

1.16 შეთანხმების მოდელი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ, რომლითაც იქმნება ოურიდიული პირის სტატუსის მქონე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფი

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ამ შეთანხმების მხარეები

ითვალისწინებენ 1980 წლის 21 მაისს ხელმოსაწერად გახსნილ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპულ კონვენციას და მის დამატებით ოქმს, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 1995 წლის 9 ნოემბერს სტრასბურგში;

(სათანადო შემთხვევაში:

ითვალისწინებენ-ში..... წლის..... ხელმოწერილ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებას ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ);
ამასთან,
გადაწყდა

შეთანხმდნენ ამ მხრივ შექმნან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფი და შეიმუშავონ ქვემოთ მოცემული წესდება.

ნაწილი I - შექმნა, მიზანი, ხანგრძლივობა, ტერიტორიული გამოყენება, ჯგუფის წევრები

მუხლი 1

1. ჯგუფი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ იქმნება ამ შეთანხმების ხელმოწერ შემდეგ პარტნიორებსა და სხვა პირებს შორის, რომლებსაც შემდგომში შეიძლება მიენიჭოთ პარტნიორთა უფლებები ან შეიძლება მიღებული იქნას ახალ წევრებად:

- იურიდიული პირები სახელმწიფოდან:

ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები

საჯარო სამართლის ჯგუფები ან ასოციაციები (სათანადო შემთხვევაში)

სხვა ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები (სათანადო შემთხვევაში)

საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირები (სათანადო შემთხვევაში)

კერძო სამართლის იურიდიული პირები (სათანადო შემთხვევაში)

- იურიდიული პირები სახელმწიფოდან

ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები

საჯარო სამართლის ჯგუფები ან ასოციაციები (სათანადო შემთხვევაში)

სხვა ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები (სათანადო შემთხვევაში)

სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სათანადო შემთხვევაში)

კერძო სამართლის იურიდიული პირები

-

- (ასევე მითითებული უნდა იქნას, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ თუ არა ფიზიკურ პირებს მონაწილეობა მიიღონ ჯგუფში მათთვის მინიჭებული საზოგადოებრივი მოვალეობების ძალით

- ფიზიკური პირები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფოს მოქალაქეობა: .

- ფიზიკური პირები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფოს მოქალაქეობა: .

-)

2. ამ შეთანხმების შესაბამისად შექმნილი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანოს სახელწოდებაა (სახელწოდება).

მუხლი 2 - განსაზღვრებები

ამ წესდების მიზნებისათვის, გამოიყენებიან შემდეგი განსაზღვრებანი:

ა) ჯგუფი: ამ შეთანხმების შესაბამისად შექმნილი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ორგანო;

ბ) ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები: ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ .. და .. სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმების 1-ლ მუხლში მოხსენიებული სახელმწიფო დაწესებულებები, როდესაც ეს დაწესებულებები არიან ამ შეთანხმებით შექმნილი ჯგუფის წევრები;

გ) იურიდიული პირები: ზემოთ მოხსენიებული დაწესებულებები, ისევე, როგორც ჯგუფის წევრი კერძო სამართლის იურიდიული პირები;

დ) წარმომადგენლები: ფიზიკური პირები, დანიშნულნი ჯგუფის წევრების მიერ მათ წარმომადგენლებად საერთო კრებაზე.

მუხლი 3 - შტაბ-ბინა და მოცული ტერიტორია

1. ჯგუფის შტაბ-ბინა მდებარეობს (მისამართი). იგი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გადატანილი იქნას იმავე ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა ადგილას, მაგრამ არ შეიძლება მდებარეობდეს წვერი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების ტერიტორიის გარეთ.

2. ჯგუფს შეუძლია დააარსოს ერთი ან მეტი ოფისი ადგილებზე, სადაც არ მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა.

3. ჯგუფი მოიცავს შემდეგ ტერიტორიას:

(მითითებული უნდა იქნას მოცული ტერიტორიები ან ტერიტორიათა ნაწილი).

მუხლი 4 - იურიდიული ფორმა და გამოსაყენებელი სამართალი

1. (თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი და სახელმწიფოთაშორის შეთანხმებაში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ,) ჯგუფი წარმოადგენს საჯარო/კერძო სამართლის (ამოღებული იქნება საჭიროებისამებრ) ორგანოს, რომლის საქმიანობაც წესრიგდება (მითითებული უნდა იქნას ქვეყანა) კანონებით და კერძოდ, შესახებ კანონით (მითითებული უნდა იქნას შესაბამისი კანონმდებლობა).

2. ჯგუფს აქვს ... ფორმა (მითითებული უნდა იქნას ის სამართლებრივი კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნება ჯგუფი: კონსორციუმი, საქალაქო შორისო გაერთიანება, ცვკეკერბანდი, კერძო სამართლებრივი გაერთიანება, კომერციული კომპანია, სსკ).

მუხლი 5 - იურიდიული პირის სტატუსი და ქმედუნარიანობა

1. ჯგუფი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაც წესრიგდება საჯარო/კერძო სამართლით (დატოვებული უნდა იქნას შესაბამისად) და რომელსაც გააჩნია მე-ნ მუხლში განსაზღვრული მისი ამოცანების შესრულებისა და მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი უფლებამოსილებები.

2. იგი იურიდიული პირის სტატუსს იძენს ამ წესდების ძალაში შესვლის თარიღიდან.

მუხლი 6 - მიზნები, ამოცანები [კომპეტენციები და უფლებამოსილებები]

1. ჯგუფის მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრულ ტერიტორიებზე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა, დახმარება და კოორდინაცია შემდეგ სფეროებში: (ჩამონათვალი)

(საჭიროების შემთხვევაში:

ეს მიზანი სხვებთან ერთად შეიძლება მიღწეული იქნას შემდეგი ამოცანების შესრულებით:

- საერთო ინტერესებში შემავალი პროექტების განხორციელება (განსაზღვრული უნდა იქნას პროექტები);
- საერთო ინტერესებში შემავალი საზოგადოებრივი ობიექტებისა და სამსახურების მართვა (განსაზღვრულნი უნდა იქნან ობიექტები და სამსახურები);

- მასაჟე მზარეებისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა;
- წევრების, სახელმწიფო ინსტიტუტების, ფირმებისა და ფიზიკური პირებისათვის მათი ტრანსსასაზღვრო საქმიანობის მიმართ კონსულტაციების გაწევა.
- ...)

(საჭიროების შემთხვევაში:

2. მისი მიზნის მიღწევის მიზნით, ჯგუფს შეიძლება დაეკისროს სპეციფიკური ამოცანების შესრულება მასში გაერთიანებული ერთ-ერთი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის ან ხელისუფლების ორგანოს სახელითა და ინსტრუქტაჟით. ასეთ შემთხვევებში, ჯგუფისადმი ამოცანების დელეგირება ასევე მოწესრიგდება იმ სახელმწიფოს შიდა სამართლით გათვალისწინებული პირობებითა და პროცედურებით, რომელსაც მიეკუთვნება შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეული ან ხელისუფლების ორგანო.

3. ჯგუფი წევრებს შორის არ გაანაწილებს მოვებას.

თუკი ჯგუფი არის საჯარო სამართლის ტიპის:

4. ჯგუფს შეუძლია დადოს საჯარო ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტები მისი მიზნის მიღწევის მიზნით. ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ამ ოპერაციების დაფინანსებაში, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სპეციალურ შეთანხმებაში, რომლითაც უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა, მიუთითებენ იმ მოვალეობებს, რომლებიც მათ ეკისრებათ თავიანთი ქვეყნების შიდა სამართლით რეკლამის, ტენდერის მოწვევისა და ფირმების არჩევის მხრივ. ასეთი საჯარო სამართლის ხელშეკრულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, ისინი მიიღებენ ზომებს, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები.

5. ჯგუფი არ არის უფლებამოსილი მიიღოს რეგულაციები ან გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ფიზიკური პირების უფლებებსა და თავისუფლებებზე, ასევე გაზარდოს გადასახადები/მიიღოს გადაწყვეტილება ფულადი ხასიათის ჯარიმების დაწესების შესახებ.

მუხლი 7 - ხანგრძლივობა

1. ჯგუფი იქმნება ვადით (უნდა განისაზღვროს), წესდების ძალაში შესვლის თარიღიდან.

2. ეს გადა შეიძლება გაგრძელდეს ქვემო 39-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 8 - წევრების უფლებები და ვალდებულებები

1. ჯგუფის წევრების საწესდებო უფლებები განისაზღვრება ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად მათი ფინანსური შენატანის შესაბამისად შემდეგი წესით:

- წარმომადგენელთა რიცხვი, რომელიც ჰყავს თითოეულ იურიდიულ პირს საერთო კრებაზე, პროპორციული უნდა იყოს მის საწესდებო უფლებებთან (შეიძლება განისაზღვროს ადგილების განაწილების სხვა გზები);
- ერთმანეთთან ურთიერთობებში, ზომა, რითაც წევრები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მიერ აღებული ვალდებულებებით, ასევე შესაბამისობაში იქნება მათ საწესდებო უფლებებთან;
- მესამე მხარეებთან ურთიერთობებში წევრები არ არიან ერთობლივად და ინდივიდუალურად პასუხისმგებლები. ისინი ვალდებულნი იქნებიან ჯგუფის მიერ აღებული ვალდებულებებით მათ საწესდებო უფლებებთან პროპორციულად.

2. ჯგუფში გაწევრიანებული ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები უფლებამოსილი იქნებიან გამოიყენონ ჯგუფის ობიექტები, სამსახურები და პროგრამები. მათ უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები ჯგუფის გადაწყვეტილებების განსახორციელებლად თავიანთი ქვეყნების შიდა სამართლით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

მუხლი 9 - ახალი წევრები

1. ჯგუფს შეუძლია მიიღოს ახალი წევრები. განაცხადი წევრობაზე კეთდება წერილობითი ფორმით და ეგზავნება საერთო კრებას.

2. ახალი წევრები ხელს მოაწერენ წინამდებარე შეთანხმებას ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ჯგუფში შესვლისას. საერთო კრების მიერ დამტკიცებული დამატება განსაზღვრავს ახალი წევრების მიერთების პირობებსა და წესებს.

მუხლი 10 - გამოსვლა

1. ნებისმიერ წევრს შეუძლია გამოვიდეს ჯგუფიდან ამ შეთანხმების ვადის განმავლობაში ფინანსური წლის ბოლოს, იმ პირობით, რომ მას მთლიანად უნდა ჰქონდეს შესრულებული მისი ვალდებულებები და ვაგზავნილი უნდა ჰქონდეს შეტყობინება მისი განზრახვის შესახებ ფინანსური წლის დასრულებამდე თვით ადრე.

2. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ამ შეთანხმების დამატება განსაზღვრავს ჯგუფიდან გამოსვლის პრაქტიკულ და, კერძოდ, ფინანსურ ასპექტებს ჯგუფიდან გამომსვლელი წევრის შენატანისა და ჯგუფის სამოქმედო ხარჯების მიმართ. კერძოდ, იგი განსაზღვრავს ჯგუფისადმი იმ ობიექტებისათვის კომპენსაციის გადახდის წესებს, რომელიც ჯგუფმა შექმნა შესაბამისი წევრისათვის.

მუხლი 11 - გარიცხვა

1. საბჭოს მიერ დასაბუთებული წინადადების წარდგენის შემდეგ, საერთო კრებას შეუძლია გარიცხოს ნებისმიერი წევრი, რომელიც სერიოზულად ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს და კვლავ არღვევს მათ თვის შემდეგ თარიღიდან, როდესაც საბჭო გააფრთხილებს მას დარღვევის თაობაზე. წინასწარ უნდა მოხდეს შესაბამისი წევრის წარმომადგენლის მოსმენა.

2. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები გამოიყენება გარიცხული წევრის მიმართ. ეს წევრი ასევე გადაუხდის კომპენსაციას ჯგუფს ზარალისათვის, რომლის მიყენებაც მოხდა წევრის მიერ თავისი ვალდებულებების არ შესრულების გამო; ეს კომპენსაცია შემცირდება ნებისმიერი მოგებიდან, რომელზეც აქვს უფლება წევრს.

ნაწილი II - ჯგუფის სახსრები

მუხლი 12 - წევრების შესატანები ჯგუფის დასაფინანსებლად

1. მე-8 მუხლში მოხსენიებული შესატანები განისაზღვრება ამ წესდებისადმი თანდართული ოქმით. მათ აქვთ ჯგუფის წევრების მიერ ყოველწლიური ფინანსური შესატანის ფორმა და ასევე შეიძლება გამოინატონ:

- ჯგუფისათვის შენობა-ნაგებობების უზრუნველყოფით;
- ობიექტებისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფით;
- ჯგუფისათვის ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების აპარატის წევრების უზრუნველყოფით ან ვაგზავნით;

- ჯგუფის საქმიანობის დასაფინანსებლად შესატანების სხვა ფორმით.

2. ყოველწლიური ფინანსური შესატანის გადახდა სავალდებულოა ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოებისათვის. მათი ოდენობა განისაზღვრება საერთო კრების მიერ კენჭისყრით.

3. სხვა ფორმის შესატანების ღირებულება შეფასდება ჯგუფის წევრებს შორის დადებული საერთო შეთანხმებით.

მუხლი 13 - დაფინანსების სხვა წყაროები

1. ჯგუფი შეიძლება ასევე დაფინანსდეს მის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული მოგებით, მაგრამ არა ფულადი ხასიათის სანქციებით.

თუკი იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, ამის ნებართვას იძლევა:

2. ჯგუფს შეუძლია აიღოს კრედიტები. თითოეული კრედიტის და მისი გადახდის პირობები ექვემდებარება ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელიც იდება ჯგუფის ყველა წევრს შორის.

3. ჯგუფის შემოსავალი ასევე მოიცავს:

- მისი თხოვნის საფუძველზე გაკეთებულ სუბსიდიებს;
- სანუქრებსა და შემოწირულობებს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;
- პროცენტებსა და მისი ქონებიდან შემოსულ სხვა სიკეთეებს.

მუხლი 14 - ობიექტები და აღჭურვილობა

1. ჯგუფის წევრების მიერ უზრუნველყოფილი ობიექტები და აღჭურვილობა არის შესაბამისი წევრების ქონება. ისინი იბრუნებენ მათ ჯგუფის დაშლის შემდეგ.

2. ჯგუფის მიერ შეძენილი ქონება ეკუთვნის ჯგუფს. მათი გაყიდვა მოხდება მე-40 მუხლის შესაბამისად ჯგუფის დაშლის შემთხვევაში.

მუხლი 15 - ჯგუფის აპარატი

ჯგუფის აპარატი შედგება:

- ჯგუფში გაწევრიანებული ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების მიერ უზრუნველყოფილი აპარატისაგან;
- ამ ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების მიერ გაგზავნილი აპარატისაგან;
- ჯგუფის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული აპარატისაგან, რომლის შრომის ანაზღაურებაც მოხდება ჯგუფის ბიუჯეტიდან.

მუხლი 16 - აპარატის უზრუნველყოფა ან გაგზავნა

1. ჯგუფისათვის უზრუნველყოფილი აპარატი ინარჩუნებს მათი დასაქმების თავდაპირველ ვადებსა და პირობებს. მათი თავდაპირველი დამსაქმებელი პასუხისმგებელია მათ ხელფასზე, შეღავათებსა და დასაქმების დაზღვევის შენატანებზე, ისევე როგორც სამსახურეობრივ წინსვლაზე.

2. ჯგუფისადმი უზრუნველყოფილი ან ვაგზავნილი აპარატი პასუხს აგებს ჯგუფის დირექტორის/გენერალური მდივნის წინაშე, ხოლო ამ მოხელეთა არ ყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის წინაშე.

3. ეს აპარატი უბრუნდება იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს, საიდანაც ისინი მოვიდნენ, შემდეგ შემთხვევებში (უნდა განისაზღვროს):

-

-

მუხლი 17 - ჯგუფის მიერ პირდაპირ დაქირავებული აპარატი

1. ასეთი დაქირავება უნდა მოხდეს აპარატის უზრუნველყოფის ან ვაგზავნის შემდეგ, თუ აპარატის წევრების რაოდენობა არასაკმარისი იქნება. ამ აპარატის დაქირავების პირობები განისაზღვრება საბჭოს მიერ.

2. ჯგუფის მიერ პირდაპირ დაქირავებული აპარატი ექვემდებარება იმ სახელმწიფოს კანონს, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, კერძოდ მის კანონებს შრომის და რეგულაციებს ხელფასისა და პენსიების შესახებ.

ნაწილი III - ჯგუფის ორგანიზაცია და მართვა

თავი I - საერთო კრება

მუხლი 18 - საერთო კრების შემადგენლობა

1. საერთო კრება შედგება ჯგუფის წევრების წარმომადგენლებისგან. თითოეულ წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს უფლებამოვალეობები.

2. საერთო კრებაზე წევრების წარმომადგენელთა დანიშვნა და უფლებამოსილებები მოწესრიგდება იმ სახელმწიფოს კანონით, რომელსაც მიეკუთვნება შესაბამისი იურიდიული პირი.

3. ჯგუფში გაწევრიანებული თითოეული იურიდიული პირის წარმომადგენელთა რაოდენობა შესაბამისობაში იქნება მის საწესდებო უფლებებთან, ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია ზემო მე-მ მუხლით. ამასთან, თითოეულ წევრს უნდა ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი მაინც საერთო კრებაზე.

მუხლი 19 - საერთო კრების მოვალეობები

საერთო კრება წარმოადგენს ჯგუფის მთავარ საწესდებო ორგანოს. იგი პასუხისმგებელია:

- ჯგუფის თავმჯდომარის არჩევასა და გათავისუფლებაზე;
- საბჭოს წევრების კოლექტიურ ან ინდივიდუალურ არჩევასა და გათავისუფლებაზე;
- ჯგუფის მართვის შესახებ საბჭოს მოხსენებებისა და მის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების შესახებ მოხსენებების შემოწმებაზე;
- აუცილებლობის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფების შექმნასა და მის წევრთა რიგიდან თავმჯდომარეების არჩევაზე;
- ჯგუფის წევრების ყოველწლიური ფინანსური შესატანების ოდენობის განსაზღვრაზე;
- საქმიანობის ყოველწლიური პროგრამისა და შესაბამისი ბიუჯეტის მიღებაზე;
- ჯგუფის ანგარიშების შესამოწმებლად დამოუკიდებელი აუდიტის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე;

- გასული საბიუჯეტო წლის ისეთი წლიური ანგარიშის დამტკიცებაზე, რომელიც მოიცავს ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშს;
- ახალი წევრების მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე და მიღების პირობების შემუშავებაზე;
- ჯგუფის წევრების გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე;
- ჯგუფის წევრის ჯგუფიდან გარიცხვის ან გამოსვლის პროცედურების დამტკიცებაზე;
- ჯგუფის ვადაზღვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე;
- რეგლამენტის დამტკიცებაზე;
- ამ წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე;
- სხვა ვალდებულებებზე (უნდა განისაზღვროს).

მუხლი 20 - საერთო კრების ფუნქციონირება

1. საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც ჯგუფის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის მიერ, თუ თავმჯდომარეს არ შეუძლია ამის გაკეთება. იგი იკრიბება სავანგებო სხდომაზე ჯგუფის წევრთა წარმომადგენლების უმრავლესობის (უნდა განისაზღვროს უმრავლესობა) თხოვნით, რომლებიც განსაზღვრავენ სხდომის დღის წესრიგს.

2. მოსაწვევი შეტყობინება ეგზავნება ჯგუფის თითოეულ წევრს რეგისტრირებული წერილით სულ მცირე ორი კვირით ადრე შეხვედრის თარიღამდე. ამ შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს სხდომის დღის წესრიგი და ყველა დოკუმენტი, რომლებსაც მოითხოვენ მხარეები, რათა მიიღონ გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, რომლებზეც ისინი კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.

3. საერთო კრების სხდომები საჯაროა, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც განსაზღვრულნი იქნებიან რეგლამენტში.

მუხლი 21 - ხმის მიცემა საერთო კრებაზე

1. თითოეულ წარმომადგენელს საერთო კრებაზე აქვს ერთი ხმა ქვემო მე-2 პუნქტის გათვალისწინებით.

2. დასაშვებია ხმის მიცემა რწმუნებულის მეშვეობით. არცერთ წარმომადგენელს არ შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი რწმუნებული.

3. თუკი კენჭისყრის დროს წარმოდგენილი არ არის უმრავლესობა (უნდა განისაზღვროს), კენჭისყრა გადაიდება. საერთო კრება ხელახლა მოიწვევა დღეში (უნდა განისაზღვროს) იგივე დღის წესრიგით; მაშინვე მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება, მიუხედავად დამსწრე წარმომადგენელთა რაოდენობისა.

4. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი წესდებით, საერთო კრების გადაწყვეტილებები მიიღება ხმების აბსოლიტური უმრავლესობით.

მუხლი 22 - საერთო კრების სხდომისა და დისკუსიების ოქმები

1. სხდომები და დისკუსიები ჩაიწერება ოქმში, რომელიც ეგზავნება ჯგუფის თითოეულ წევრს და მათზე ზედამხედველობისათვის პასუხისმგებელ ხელისუფლების ორგანოებს. ოქმი შედგენილი უნდა იქნას იმ ენაზე ან ენებზე, რომლის გამოყენებაც დადგენილია თითოეული შესაბამისი სახელმწიფოს სამართლით აღმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის ან ხელისუფლების ორგანოს სხდომების და გადაწყვეტილებების მიმართ.

2. ოქმების ასლები ან მათგან ამოღებული ნაწყვეტები სასამართლოში ან ნებისმიერ სხვა ორგანოში წარსადგენად ხელმოწერილი უნდა იყოს ჯგუფის თავმჯდომარის ან საბჭოს მიერ ამ მიზნით სპეციალურად დანიშნული პირის მიერ.

მუხლი 23 - ჯგუფის წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება

1. საერთო კრება რეგულარულად (უნდა განისაზღვროს ვადა) უგზავნის ჯგუფის წევრ იურიდიულ პირებს სრულ მოხსენებას მისი საქმიანობის შესახებ.
2. ჯგუფის წევრების წარმომადგენლებს მოეთხოვებათ რეგულარულად, წერილობით ან ზეპირად მოახსენონ საერთო კრების საქმიანობის შესახებ იმ იურიდიულ პირთა საწესდებო ორგანოებს, რომლებმაც დანიშნეს ისინი; მათ ასევე უნდა მოახსენონ ამ ორგანოებს მათ მიერ საერთო კრებაზე თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების შესახებ.

თავი II - საბჭო

მუხლი 24 - საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო შედგება წევრისაგან (უნდა განისაზღვროს), რომლებსაც ირჩევს ან ნიშნავს საერთო კრება შემდეგი წესით (მითითებული უნდა იქნას პროცედურა)
 2. კანდიდატების წარმოდგენა ხდება ჯგუფში გაწევრიანებული იურიდიული პირების მიერ. აუცილებელი არ არის, რომ კანდიდატები იყვნენ საერთო კრების წევრები. საერთო კრება განსაზღვრავს მათი უფლებამოსილების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს . წელს (ჩართული უნდა იქნას ვადა).
 3. ჯგუფის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და საერთო კრების მიერ ქვემო 30-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარეები წარმოადგენენ საბჭოს ეს ოფიცირულ წევრებს.
 4. საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურება არ მოხდება. ამასთან, საბჭოს შეუძლია აუნაზღაუროს წევრებს სამსახურეობრივ მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო ჯგუფის თავმჯდომარეს წარმომადგენლობითი ხარჯები.
 5. თუკი რაიმე მიზეზით საბჭოში ადგილი ვაკანტური გახდება, საბჭო ნიშნავს დროებით ადმინისტრატორს. იგი იმსახურებს ზემო მე-2 პუნქტის შესაბამისად საბჭოს ახალი წევრის არჩევამდე, რაც უნდა მოხდეს არა უგვიანეს .. თვისა (უნდა განისაზღვროს) ვაკანსიის გაჩენიდან.
 6. საბჭოს წევრებზე ვრცელდება ის აკრძალვები, რომლებიც იმ სახელმწიფოს შიდა სამართლით, სადაც მდებარეობს მისი შტაბ-ბინა, დადგენილი არიან ორგანოთა ისეთ კატეგორიაზე, რომლებსაც მიეკუთვნება ჯგუფი.

მუხლი 25 - საბჭოს უფლებამოსილებები

1. საბჭოს აქვს ყველაზე ფართო უფლებამოსილებები იმ გადაწყვეტილებებისა და ზომების მიღების მხრივ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჯგუფის მიზნების რეალიზაციას.
2. სხვაგვარად ერთად, საბჭოს ამოცანებს წარმოადგენენ:

- საერთო კრების გადაწყვეტილებების მომზადება და განხორციელება და საერთო კრებისათვის წელიწადში ერთხელ მაინც ჯგუფის მართვის შესახებ მოხსენების წარდგენა;
- ყველა საკითხის შემოწმება, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის საქმიანობიდან;
- საერთო კრების მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობის განსაზღვრა;
- საქმიანობის ყოველწლიური პროგრამისა და შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავება;
- ჯგუფის მიერ პირდაპირ დასაქირავებელი აპარატის სამსახურში აყვანისა და დასაქმების პირობების განსაზღვრა;
- ჯგუფისათვის წევრების მიერ უზრუნველყოფილი ან გამოგზავნილი აპარატის წევრების მოვალეობათა განსაზღვრა;
- ჯგუფის მიერ პირდაპირ დასაქმებული აპარატის წევრების დანიშვნა და გათავისუფლება;
- საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის/გენერალური მდივნის დანიშვნა და გათავისუფლება და მისი უფლებამოსილებების განსაზღვრა;
- რეკლამენტის შემუშავება და მისი წარდგენა საერთო კრებისათვის დასამტკიცებლად;
- ყველა უფლებამოსილების განხორციელება, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჯგუფის სხვა საწესდებო ორგანოებს.

3. საბჭო და მისი თითოეული წევრი მიაწვდის მთხოვნილ ინფორმაციას ერთ ან მეტ წარმომადგენელს საერთო კრებაზე ზეპირად ან წერილობით კვირის ვადაში (უნდა განისაზღვროს).

მუხლი 26 - საბჭოს ფუნქციონირება

1. საბჭო იკრიბება წელიწადში არანაკლებ ორჯერ და ისეთი სიხშირით, რითაც ეს მოითხოვება ჯგუფის ინტერესებით. იგი მოიწვევა თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილის მიერ. საგანგებო შესვედრა მოიწვევა რამდენიმე წევრის თხოვნით, რომლებსაც აქვთ ზემოთ მე-მ მუხლში განსაზღვრული საწესდებო უფლებების სულ მცირე ერთი მესამედი. შეტყობინება შესვედრის შესახებ მიუთითებს შესვედრის დღის წესრიგს.

2. საბჭოს სხდომები არ იქნება საჯარო.

3. საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება მიცემული ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. ამ უმრავლესობის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება თავის შეკავება. თუ კენჭისყრის დროს წარმოდგენილი არ არის წევრების უმრავლესობა, კენჭისყრა გადაიდება. საერთო კრება ხელახლა მოიწვევა ორი კვირის ვადაში იგივე დღის წესრიგით; მაშინვე მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება, მიუხედავად დამსწრე წარმომადგენელთა რაოდენობისა.

4. ზემო 24-ე მუხლი ასევე გამოიყენება საბჭოს სხდომებისა და გადაწყვეტილებების მიმართაც.

მუხლი 27 - ჯგუფის წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება

საბჭო მიაწვდის მთხოვნილ ინფორმაციას ჯგუფის ნებისმიერ წევრს ზეპირად ან წერილობით კვირის ვადაში (უნდა განისაზღვროს).

თავი III - ჯგუფის თავმჯდომარე და დირექტორი/გენერალური მდივანი

მუხლი 28 - ჯგუფის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე

1. საერთო კრება ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს მის წევრთა რიგიდან ხელახალი არჩევის უფლებით წლის ვადით (განსაზღვრული უნდა იქნას). თავმჯდომარის

მოადგილე არ უნდა იყოს იმ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის ან ხელისუფლების ორგანოს წევრი, რომლის მოქალაქეც არის თავმჯდომარე.

2. თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე იწვევს და თავმჯდომარეობს საერთო კრებისა და საბჭოს სხდომებს; იგი წარმოადგენს ჯგუფს სასამართლო და არასასამართლო საკითხებში.

მუხლი 29 - ჯგუფის დირექტორი/გენერალური მდივანი

1. თავმჯდომარის წინადადებით საბჭოს შეუძლია დანიშნოს ჯგუფის დირექტორი/გენერალური მდივანი წლის ვადით (განსაზღვრული უნდა იქნას).

2. დირექტორი/გენერალური მდივანი წარმოადგენს საბჭოს აღმასრულებელ მონეტეს; იგი პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ მართვაზე საბჭოსა და თავმჯდომარის ზედამხედველობით და მათ მიერ განსაზღვრული პირობებით. იგი ამზადებს საბჭოს გადაწყვეტილებებს და ასრულებს მათ.

3. მას ექვემდებარება ჯგუფის აპარატი.

4. მესამე მხარეებთან ურთიერთობებში დირექტორს/გენერალურ მდივანს შეუძლია აიღოს ვალდებულებები ჯგუფის სახელით ყველა ზომასთან მიმართებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ჯგუფის მიზნებთან.

თავი IV - სამუშაო ჯგუფები

მუხლი 30 - სამუშაო ჯგუფები

1. საერთო კრებას შეუძლია შექმნას სამუშაო ჯგუფები და განსაზღვროს მისი ფუნქციები და საქმიანობის მეთოდები. იგი ირჩევს ამ სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარეებს მის წევრთა რიგიდან . წლის ვადით (განსაზღვრული უნდა იქნას); მათი უფლებამოსილების ვადაც შეიძლება განაწესებული იქნას.

2. თავმჯდომარეთა წინადადებით საბჭო განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას.

თავი V - ადმინისტრაციული ზედამხედველობა

მუხლი 31 - გამოსაყენებელი სამართალი

ჯგუფის აქტები და გადაწყვეტილებები ექვემდებარება იმ სახელმწიფოს შიდა სამართლით გათვალისწინებულ ზედამხედველობას, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა. ამ სამართლის შესაბამისად, ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოა (განსაზღვრული უნდა იქნას). ხელისუფლების ეს ორგანო ასევე უზრუნველყოფს, რომ სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების ინტერესები დაცულნი იქნან. სათანადო შემთხვევაში:

მუხლი 32 - სხვა სახელმწიფოთა საწინააღმდეგო აზრი მათ იურისდიქციაში შემაჯავლო სუბიექტების ჯგუფში მონაწილეობაზე

სხვა სახელმწიფოთა ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან აცნობონ ჯგუფს, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან მათ დაქვემდებარებაში მყოფმა ადმინისტრაციულ

ტერიტორიულმა ერთეულმა ან ხელისუფლების ორგანომ გააგრძელოს ჯგუფის წევრობა. სათანადო წესით დამოწმებული ასეთი შეტყობინება განიხილება ჯგუფიდან გამოსვლის საფუძვლად, რა შემთხვევაშიც გამოიყენება ზემო მე-10 მუხლი.

მუხლი 33 - ინფორმაციის მიწოდება სხვა ქვეყნების ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოებისათვის

1. ჯგუფმა, იმ სახელმწიფოს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების თხოვნების გარდა, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, ასევე უნდა შეასრულოს სხვა სახელმწიფოთა ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების თხოვნები ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, როდესაც ჯგუფის წევრი ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელი არიან ხელისუფლების ამ ორგანოების წინაშე.

2. ჯგუფის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ხელისუფლების ორგანო აცნობებს ამ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღებასაც იგი აპირებს და ზედამხედველობისას მოძიებული ფაქტების შესახებ, იმ ზომით, რითაც ამ ინფორმაციამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაზე, რომელშიც ჩართულნი არიან ჯგუფში გაწევრიანებული ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები.

ნაწილი IV - ფინანსებთან დაკავშირებული დებულებები

მუხლი 34 - ბიუჯეტის მართვა

1. ჯგუფი მთავრადებს ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს. საერთო კრება ამტკიცებს ამ პროექტს ყოველწლიურად წინა წლის არაუგვიანეს 1 ივლისისა.

2. საბიუჯეტო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. გამონაკლისის სახით, პირველი წელი დაიწყება ამ წესდების ძალაში შესვლის თარიღიდან და მთავრდება იმავე წლის 31 დეკემბერს.

3. თუკი წლის ბოლოს ბიუჯეტში არის დეფიციტი, თითოეულ წევრს მოეთხოვება ანგარიშის დამტკიცებიდან თვის (უნდა განისაზღვროს) ვადაში, ვადარიცხოს ჯგუფის ფონდში მისი წილის შესაბამისი თანხა. გამონაკლისის სახით, თუ სახეზეა ზედმეტი შემოსავალი, იგი გადაიტანება შემდეგი წლის ბიუჯეტში. თუკი ასეთი შემოსავალი სახეზე იქნება, ფინანსური შესატანები შემდგომი წლისათვის შემცირდება შესაბამისად.

მუხლი 35 - ბუღალტერია

ჯგუფის ანგარიშების წარმოება და მართვა ხდება იმ სახელმწიფოს საჯარო/კერძო სამართლის შესაბამისად, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა.

მუხლი 36 - ფინანსური ზედამხედველობა

საერთო კრება ყოველწლიურად ფორმალურად დაამტკიცებს დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ დამოწმებულ ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშს იმ წლის არაუგვიანეს 1 ივლისისა, რომლის შემდეგ წელსაც მოხდება მისი გამოყენება.

დამოუკიდებელი აუდიტორები ინიშნებიან წლის ვადით (განსაზღვრული უნდა იქნას) საერთო კრების მიერ, რომელიც ასევე განსაზღვრავს მათი გასამრჯელოს ოდენობას.

საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებისათვის თანდართულ დოკუმენტებს შორის უნდა იყოს საბჭოსა და დამოუკიდებელი აუდიტორების მოხსენებები, ისევე როგორც, ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში.

მუხლი 37 - სახსრების არასწორი გამოყენების ანაზღაურება

ჯგუფის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ხელისუფლების ორგანოსათვის ხელმისაწვდომი იქნება ყველა ანგარიში, რომელიც ეხება სახელმწიფო სუბსიდიებიდან ვაჭეულ ხარჯებს.

იმ შემთხვევებში, როდესაც ეს სახსრები გამოყენებული იქნენ იმ მიზნებთან შეუსაბამოდ, რომლებსთვისაც განზრახული იყო მათი გამოყენება, ჯგუფი ყველანაირად ეცდება დაფაროს ეს თანხა და აანაზღაუროს იგი.

მუხლი 38 - დაბეგვრა

ჯგუფი და მის მიერ ხელშეკრულებით დასაქმებული აპარატი ექვემდებარებიან იმ სახელმწიფოს სავადასანადო კანონებს, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა.

ნაწილი V - გავრძელება, დაშლა, ლიკვიდაცია

მუხლი 39 - დაშლა, გავრძელება

1. ჯგუფის დაშლა მოხდება იმის ფაქტით, თუ ის ვადა, რომლის ხანგრძლივობითაც მოხდა ჯგუფის შექმნა, ამოიწურება, ან შეწყდება ის საქმიანობა, რომლის განხორციელებასაც ჯგუფი მიზნად ისახავდა. იგი ასევე შეიძლება ვადამდე დაიშალოს საერთო კრების მიერ.

2. ჯგუფის ვადის ხანგრძლივობა შეიძლება გავრძელდეს ერთ ან რამდენიმე შემთხვევაში ვადით, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს თავდაპირველად ჯგუფის შექმნისას დადგენილ ვადას.

3. ჯგუფის ხანგრძლივობის გავრძელების ან მისი ვადამდე დაშლის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით (უნდა განისაზღვროს).

მუხლი 40 - ლიკვიდაცია

1. ჯგუფის დაშლა იწვევს მის ლიკვიდაციას. იგი ინარჩუნებს იურიდიული პირის სტატუსს ლიკვიდაციის მიზნებით იმ დრომდე, სანამ არ დასრულდება ლიკვიდაცია.

2. საერთო კრება განსაზღვრავს ლიკვიდაციის პრაქტიკულ დეტალებს და ნიშნავს ერთ ან მეტ ლიკვიდატორს. საბჭოს ფუნქციები წყდება ამ დანიშვნების შემდეგ.

3. ჯგუფის წევრებს შორის დამატებითი შეთანხმება განსაზღვრავს თითოეულის უფლებებსა და მოვალეობებს ჯგუფის დაშლის შემდეგ, იმ კრედიტებისა და ვარანტების ვათვალისწინებით, რომელთა აღებაც მოხდა ჯგუფის საქმიანობის დროს. ბოლო ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ ლიკვიდატორები გაანაწილებენ დარჩენილ ქონებას, ხოლო თუ ქონება არასაკმარისი იქნება, დარჩენილ პასუხისმგებლობას ჯგუფის წევრებს შორის მათი წილების შესაბამისად.

ნაწილი VI - სწავდასწავა დებულებები

მუხლი 41 - ტექსტების ხელმოწერა

ყველა დოკუმენტი, რომლითაც ჯგუფი ვადღებულებას იღებს ვის-ა-ვის მესამე პირების წინაშე, ხელმოწერილი უნდა იყოს თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილის და საბჭოს იმ წევრის მიერ, რომელიც არ არის იმავე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქეა თავმჯდომარე, თუ საბჭო პირდაპირ არ მისცემს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, საბჭოს წევრს ან დირექტორს/გენერალურ მდივანს ხელმოწერის უფლებამოსილებას.

მუხლი 42 - საწესდებო ორგანოებისა და მოხელეების პასუხისმგებლობა

იმ სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად, სადაც მდებარეობს ჯგუფის შტაბ-ბინა, თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს წევრები და დირექტორი/გენერალური მდივანი პასუხს აგებენ ერთობლივად ან ინდივიდუალურად მდგომარეობის შესაბამისად, ჯგუფის ან მესამე პირების წინაშე ამ წესდების დარღვევის ან ჯგუფის მართვისას დაშვებული შეცდომების გამო.

მუხლი 43 - დაგები

ჯგუფსა და ერთ ან მეტ წევრს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დაგვა, რომელიც ეხება ჯგუფის ფუნქციონირებას, განიხილება იმ სასამართლოს მიერ, რომელსაც გააჩნია იურისდიქცია იმ სახელმწიფოს სამართალით, სადაც დაფუძნებულია მოპასუხე.

მუხლი 44 - რეგლამენტი

ჯგუფის წევრების უფლებები და მოვალეობები ჯგუფის ოპერატიულ საშუალებებთან ერთად განისაზღვრება საბჭოს მიერ შემუშავებულ და საერთო კრების მიერ დამტკიცებულ რეგლამენტში.

მუხლი 45 - ენა (ენები)

ეს წესდება და რეგლამენტი შემუშავდება იმ ენაზე ან ენებზე, რომლის გამოყენებასაც თითოეული ხელშეკრული მხარის შიდა სამართალი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ან ხელისუფლების ორგანოების აქტებისა და გადაწყვეტილებების მიმართ.

მუხლი 46 - წესდების შეცვლა

1. საბჭოს და ჯგუფში ვაწევრიანებულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ წარუდგინონ წინადადებები საერთო კრებას ამ წესდების შეცვლის თაობაზე.

2. ცვლილებების შეტანა ამ წესდებაში მოითხოვს საერთო კრების საწესდებო შემადგენლობის უმრავლესობას (უნდა განისაზღვროს).

მუხლი 47 - ძალაში შესვლა

იმ სახელმწიფოთა ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები, რომლებსაც მიეკუთვნებიან ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები ან ხელისუფლების ორგანოები, აცნობებენ ერთმანეთს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ამ შეთანხმების შესასრულებლად მათი შიდა სამართალით

მოთხოვნილი ზედამხედველობის პროცედურების დასრულების შესახებ. შეთანხმება ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ბოლო შეტყობინების თარიღს.

დასკვნითი მუხლი

მხარეები ვალდებულებას იღებენ აცნობონ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ამ შეთანხმების დადების შესახებ და გაუგზავნონ მისი ტექსტი ფაქსით. ანალოგიურად, მხარეები აცნობებენ გენერალურ მდივანს ჯგუფის ხანგრძლივობის გაგრძელების ან მისი დაშლის შესახებ.

ნაწილი VII - გარდამავალი დებულებები

I საბჭოს პირველი შემადგენლობის დანიშვნა

საერთო კრებაზე შეკრებილი ჯგუფის წევრების წარმომადგენლები ნიშნავენ შემდეგ პირებს საბჭოს წევრებად წლის ვადით (უნდა განისაზღვროს):

ა) წარმომადგენს

- ბ-ნი/ქნ-ი (გვარი, სახელი, მისამართი)

- ბ-ნი/ქნ-ი (გვარი, სახელი, მისამართი)

ბ) წარმომადგენს

- ბ-ნი/ქნ-ი (გვარი, სახელი, მისამართი)

- ბ-ნი/ქნ-ი (გვარი, სახელი, მისამართი)

II თავმჯდომარის დანიშვნა

ამგვარად, შექმნილი საერთო კრება ჯგუფის თავმჯდომარედ ნიშნავს ბ-ნი/ქნ (გვარი, სახელი, მისამართი).

III სათანადო შემთხვევაში: დირექტორის/გენერალური მდივნის დანიშვნა

ყოველდღიური მართვა წლის ვადით (უნდა განისაზღვროს) დაეკისრება ბ-ნი/ქნ (გვარი, სახელი, მისამართი).

IV თითოეული წევრის ფინანსური შესატანი

თითოეული წევრის მიერ გადასახდელი ფინანსური შესატანი პირველი წლისათვის განისაზღვროს წევრების ბიუჯეტის შემდეგი პროცენტებით:

- წევრი 1: ბიუჯეტის X%

- წევრი 2: ბიუჯეტის Y%

- წევრი 3: ბიუჯეტის Y%

-

შესრულებულია, წლის თვის დღეს ეგ ზემპლარად ენაზე (ენებზე).

დამატება - განმარტებითი შენიშვნა: დამატება ენება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებისა და წესდების მოდელებს იურიდიული პირის სტატუსის მქონე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჯგუფის შესახებ.

(იხილეთ პუნქტი 1.14)

შენიშვნები:

1 ეს შეთანხმება, კერძოდ, შეიძლება სასარგებლო იყოს სასაზღვრო რაიონების ხელისუფლების ორგანოებისათვის, მაგ; დაბინძურების შემთხვევაში, ხელისუფლების ერთმა ორგანომ შეიძლება შესთავაზოს ხელისუფლების მეორე ორგანოს თანაბარი დაფინანსება, იმ მიზნით, რომ მას საშუალება ჰქონდეს განახორციელოს სამუშაოები მისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც სასარგებლო იქნება ხელისუფლების მეორე ორგანოსათვისაც.

2 რომლის ასოციაციის წესდებაც არის თანდართული დამატებაში.

3 ეს უკანასკნელი დებულება გამოიყენება მხოლოდ იმ სამეურნეო პარკების მიმართ, სადაც ორგანიზებულია ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა.

* აუცილებლობის შემთხვევაში ამოღებული იქნება.

4 ეს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება შეიძლება ეფუძნებოდეს შეთანხმების მოდელ 1.1-ს, რომელიც თან ერთვის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპულ კონვენციას.

5 მაგ; მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა, წყალდიდობა, ხანძარი და სხვ.

6 საზღვრის ორივე მხარეს შესაბამის ხელისუფლების ორგანოებს შეუძლიათ ერთობლივად შექმნან და მართონ მათ ტერიტორიაზე მომხდარ უბედურებათა ფონდები. თავად შეთანხმებაში მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ ეცადებიან შექმნან ასეთი ფონდი, რომლის დაფინანსებაც მოხდება შესაბამის მრეწველობების შემოწირულობათა მეშვეობით.